# სარბიელი

სპორტული გაზეთი · ხუთშაბათი 18 მარტი 1999 №48 (821) · ფასი 1 ლარი

4 **კომპლიმენტი ქართველებს**



იჟოფ საბოს რომ ჰკითხოთ, ქართველები ფრანგებივით თამაშობენ

9 **სფურზი მწყობრად მიდის წინ!**

ინგლისელების პირველი ევროთასი




10 **ელეგანტური ნახევარმცველი ყუმბარისებური დარტყმებით**

ქართველები საბჭოთა ნაკრებში
**სერგო კუტივაძე**



13 **მობილური ინტერვიუ ვლადიმერ სტეფანიასთან**

სიეტლში ქართველებიც არიან, თუ დავპატიჟებ და ბილეთს მივცემ, ჩემს თამაშებზეც დადიან...

გუნდს ჩინებულად შევეწყვე. ყველასთან ნორმალურად ვარ...

პეიტონი თავისებური ბიჭია. ქუჩაში შვიდი პირადი მცველით დადის...

ვინ ბეიკერი ცუდ სეზონს ატარებს, მაგრამ საეჭვოა, უახლოეს მომავალში ხუთეულიდან ამოვაგდო...

დევიდ რობინსონს არაფრით ჩამოვრჩი, მაგრამ მომდევნო შეხვედრები კვლავ სათადარიგოთა სკამზე გავატარე.

# პირველი ქართველი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში

*წუხელ კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე ამოხეთქილი დიდ სიხარულს მცირე ქართული შენაკადიც ერწყმოდა კახი კალაძე, საქართველოს ნაკრების მცველი, ჩვენს თანამემამულეთაგან პირველი გავიდა კონტინენტის უპრესტიჟულესი საკლუბო შეჯიბრების ნახევარფინალში. წუხელვე მილანის „სან სიროზე“ დიდმა „ინტერმა“ დიდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დიდ შეხვედრაში ვერ მოუგო, კაიზერსლაუტერნში გერმანული დერბი დიდი „ბაიერნის“ შთამბეჭდავი გამარჯვებით დასრულდა, ხოლო პირეოსში „ოლიმპიაკოსის“ მოთამაშეთა თავდადებამ დიდი მღელვარება კი გამოიწვია, მაგრამ დიდ „იუვენტუსს“ მაინც ვერ გადაულობა გზა ნახევარფინალისკენ.*

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩების შედეგები იხილეთ მეთექვსმეტე გვერდზე

REUTERS კიევიდან



დინამო — რეალი 2:0. კახი კალაძე ფერნანდო მორიენტესსაც გაუმკლავდა

# ბათუმმა დინამოს ტორპედო აარიდა

მამუკა ლაჩრიას ბათუმიდან



გუშინ ბათუმში. „ბათუმი“ — „ტორპედო“ 2:1: ქუთაისელმა ალექსანდრე შეყრილაძემ თენგიზ სიჭინავა უბურთოდ დატოვა

საქართველოს ჩემპიონატი — 19 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 16 | 3 | 0 | 64:10 | 51 |
| ტორპედო | 19 | 14 | 2 | 3 | 48:17 | 44 |
| ლოკომოტივი | 19 | 9 | 10 | 0 | 23:8 | 37 |
| კოლხეთი | 19 | 9 | 4 | 6 | 42:32 | 31 |
| ბათუმი | 19 | 8 | 7 | 4 | 26:16 | 31 |
| დილა | 19 | 8 | 5 | 6 | 27:24 | 29 |
| მერანი | 19 | 5 | 9 | 5 | 19:20 | 24 |
| იბერია | 19 | 6 | 4 | 9 | 27:33 | 22 |
| სამგურალი | 19 | 6 | 2 | 11 | 18:36 | 20 |
| ოდიში | 19 | 6 | 2 | 11 | 16:30 | 20 |
| არსენალი | 19 | 4 | 8 | 7 | 21:34 | 20 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 19 | 6 | 4 | 9 | 17:19 | 19 |
| სიონი | 19 | 5 | 4 | 10 | 18:37 | 19 |
| გორდა | 19 | 4 | 7 | 8 | 14:26 | 19 |
| თსუ | 19 | 3 | 6 | 10 | 15:26 | 15 |
| გურია | 19 | 3 | 3 | 13 | 21:48 | 12 |

საქართველოს ჩემპიონატი

# 19 ტური

**ბათუმი**
17 მარტი
15 საათი
დინამო
6 500 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 2:1 ტორპედო

1:0 გადელია (20), 1:1 ახვლედიანი (27), 2:1 ხომერიკი (78)
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე (ქუტიძე 82), სიჭინავა, გადელია, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაქაცარია (თორლაშვილი 46), მაჭუტაძე (რუსია 60), ხომერიკი
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; უვაკვე
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი (თურმანიძე 33), ჩხაბერიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მალლაკელიძე, კ. კვეტენაძე (კ. მეტრეველი 80), ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* სტურუა; მაზანიშვილი, კ. ჯანაშია, კვერნაძე, ვაჩიბერაძე
**გაფრთხილება:** ხვადაგიანი (44), შეყრილაძე (75)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე; თ. ხუჭუა (ორივე სამტრედია)
**სფფ-ის კომისარი:** შ. ხინჩაგაშვილი
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**იუზა კაციტაძე ბათუმიდან**


მამუკა დარჩია ბათუმიდან

ქუთაისელთა საჯარიმოში ზოგჯერ ძალიან ცხელოდა

# ჩაყვინთულ-ამოყვინთული

მძიმე დრო დაუდგა ჩვენს ვიცე-ჩემპიონს, თასისა და სუპერთასის მფლობელს. აშკარაა, „ბათუმი" კრიზისშია. ვერც ჩემპიონატში ხეირობს მაინცდამაინც და აგერ ერთი კვირის წინ სათასო გუნდის რეპუტაციაც გვარიანად შეილახა, მეოთხედფინალს ვერ გასცდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა ვითარებაც სუფევდა ამ მატჩის წინ ზღვისპირულ კლუბში. სასოწარკვეთილება, ეჭვი, უნდობლობა. იმასაც მოვკარით ყური, ბათუმელთა თავკაც შოთა ჭეიშვილს ბოლო შანსი ეძლევაო, წარუმატებლობის შემთხვევაში გუნდის დატოვება მოუწევსო. მაგრამ, მოდით, ნუ ვიმარჩიელებთ, უმჯობესი იქნება, რაც გუშინ ვნახეთ, იმაზე ვთქვათ.

ოქროზე დამიზნებულ ტორპედოელებს გუშინ გაუტეხელი, საკუთარ ქომაგთა წინაშე რეაბილიტაციას მოწყურებული, საბრძოლველად შემართული „ბათუმი" დაუხვდა. თამაშის პირველივე წუთებიდან ნათელი შეიქნა, რომ სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს არას დაუთმობდა. გასაკვირიც რაა: ზღვისპირელებზე ნაკლებ არც ტორპედოელებს სჭირდებოდათ გამარჯვება.

მართალია, გუშინ ბათუმში დარი იდგა, მაგრამ წინა დღეებში დანატბორი მინდორი ათიოდე წუთში ისე ატალახდა, ბურთის გორება ჭირდა. ამიტომაც მეტოქეები გრძელი პასებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა. მე-18 წუთზე მეგრელაძემ საჯარიმო მოედნის კუთხეში მიიღო ბურთი და უმალ დააპირა დარტყმა, მაგრამ პაპიძემ ითამაშა თავგანწირვით, ტანით გადაეფარა ბურთს. ორ წუთში ბათუმელებმა შეუტიეს სწრაფად და კუთხურის უფლება მოიპოვეს. მარჯვნიდან ჩაწოდებულს საჯარიმოს წინ უმეთვალყუროდ მიტოვებული გადელია დაუხვდა და დაუხანებლად, არცთუ ძლიერი დაბალი დარტყმით ბურთი მიზანში გაგზავნა. ჭანტურიას მცველები ეფარებოდნენ და, ალბათ, რეაქციაც ამიტომ დაუგვიანდა.

ამ წარმატებამ თითქოს ფრთები შეასხა მასპინძლებს, ორი წუთის შემდეგ მათ ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ. მაჭუტაძემ დაახლოებით 15 მეტრიდან დაარტყა ქუთაისელთა კარში, ჭანტურიამ გაჭირვებით მოიგერია კარის სიახლოვეს, ბათუმელთაგან დამმატებელი კი არავინ აღმოჩნდა.

მერე ტორპედოელები დაეუფლნენ საფუძვლიან ინიციატივას. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე მორიგეობით ცდილობდნენ მასპინძელთა დაცვის გარღვევას, რამდენიმე სწრაფი კომბინაციაც მოაყოლეს და იხეირეს კიდეც. 27-ე წუთზე სტუმრებმა დიდხანს ათამაშეს ბურთი საჯარიმოს წინ, ბოლოს კი მარჯვნივ შეტევაში ჩართულ ახვლედიანს გადააწოდეს. საჯარიმოს კუთხეში მის წინ მხოლოდ გადელია იდგა. ახვლედიანის ფეხის ცრუ მოქნევაზე ბათუმელი ოდნავ გვერდზე გაიწია და ქუთაისელმაც ახლა უკვე ისე მარჯვედ მოიქნია, რომ ბურთი ტოგონიძისგან ახლო „ცხრიანში" შევარდა. გაყაიმების შემდეგ და შესვენებამდე სტუმრები უფრო სოლიდურად გამოიყურებოდნენ. სხვებზე მეტად ჯანაშია აქტიურობდა, ორსამ მცველს იოლად უმკლავდებოდა, მაგრამ რად გინდა, სტუმრები შეტევაში სწორ გაგრძელებას ვერ პოულობდნენ. კიდევ ის არის აღსანიშნი, რომ ქუთაისელებს გოლის გამტანი გამოაკლდათ. მას შემდეგ, რაც გადელია მუხლზე დაახტა, ახვლედიანმა თამაში ველარ გააგრძელა.

მეორე ტაიმიც თითქმის იგივე სცენარით მიმდინარეობდა. მართალია, 57-ე წუთზე სტუმრები პაპიძის დარტყმას გადაურჩნენ, ჭანტურიამ იხსნა თავისიანები, მაგრამ ამ ერთს ქუთაისელებმა სამი მძლავრი იერიშით უპასუხეს. 59-ე წუთზე იონანიძემ ზუსტი გადაცემით ჯანაშია დატოვა ხელსაყრელ პოზიციაში, ამან კი აშკარად დააყოვნა დარტყმა. შემდეგ იყო და, ჯანაშიამ საჯარიმოში მეგრელაძეს უპასა კარგად, ისიც ტოგონიძესთან პირისპირ დარჩა და ბურთის მორგება სცადა, ოღონდ ამასობაში მეკარე ფეხებში ჩაუვარდა და... მეგრელაძე წაიქცა. პენალტს ჰგავდა. მხოლოდ ჰგავდაო და კვარაცხელიამ თამაში განაგრძო. 64-ე წუთზე ჩხეტიანმა, ჯანაშიამ და კვეტენაძემ მართლაც ლამაზი სამკუთხედი გაითამაშეს, ქუთაისელთა კაპიტანი მეკარის ბაქნის კუთხიდან ურტყამდა კარში, მაგრამ ტოგონიძემ იმარჯვა. ბათუმელთა არცთუ ხშირ შეტევებს კი შნო შეცვლაზე შესულმა რუსიამ შემატა. 68-ე წუთზე სწორედ მისი ახლოდან დარტყმულის შემდეგ ხვადაგიანმა იხსნა „ტორპედო" აშკარა გოლისგან. მაგრამ 10 წუთში მასპინძლებს მაინც გაუღიმათ ბედმა. ქუთაისელ მცველთა და მეკარის შეუთანხმებელ თამაშს ის მოჰყვა, რომ მშობლიურ კლუბში დაბრუნებულმა ლევან ხომერიკმა ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. საფინალო სასტვენამდე დარჩენილ დროში სტუმრები ამაოდ უტევდნენ, მათი იერიშები ქაოტური და ხიფათსმოკლებული იყო.

რეპორტაჟს აქ დავასრულებდით, მაგრამ ერთსაც ვიტყვით. თამაშისას მინდვრის კიდესთან გასული მერი თუ გინახავთ ვინმეს? არა?! გუშინ ბათუმში უნდა ყოფილიყავით. ქალაქის თავი ბატონი ასლან სმირბა ხან არბიტრს მოძღვრავდა, ხანაც ბათუმელ ფეხბურთელებს. რას არ მოესწრები!..

**ბოლნისი**
17 მარტი
15 საათი, 10 წუთი
თემურ სტეფანია
2000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:3 დინამო

0:1 აშვეთია (48), 1:1 გაგუა (55), 1:2 ტუღუში (88), 1:3 აშვეთია (90პ)
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (გ. ჩალაძე 14), გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ხიდაშელი, გაგუა
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ნ. ჩალაძე, ფ. არჩვაძე, დ. ჯაფარიძე
**დინამო:** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, მაჭავარიანი, ა. მუჯირი (ა. სახვაძე 34), გუჩუა, ჩომახიძე, ალექსიძე, ქებაძე, წიტაიშვილი (ტუღუში 75), აშვეთია
*სათადარიგონი:* მამალაძე; პ. ჯინჭარაძე, რუხაძე
**გაფრთხილება:** ჯაფარიძე (14), წიტაიშვილი (14), გუჩუა (16), მუჯირი (28), გოგოლაძე (64), ხიდაშელი (77)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ხუციშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ო. ხუცაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**ხვიჩა სანიკიძე ბოლნისიდან**

# საცოდავი ბექემი

მატჩის 28-ე წუთი იყო. ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი დევიდ ბექემი გამახსენდა, ოციოდე წამში კი ძალიან შემეცოდა ალბიონელი ვარსკვლავი...

ალბათ გახსოვთ, საფრანგეთში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინა-ინგლისის მერვედფინალური შეხვედრა. სამხრეთამერიკელი დიეგო სიმეონე ეუხეშა მაშინ დევიდ ბექემს და ინგლისელმა ვერ დაიოკა ნერვები, წაქცეულმა ტერფი განზრახ მიარტყა არგენტინელს. მსაჯმა დაუფიქრებლად წითელი ბარათი აუფრიალა ბექემს, სიმეონე კი გააფრთხილა...

ზუსტად ანალოგიური მომენტი ვიხილეთ გუშინ „თემურ სტეფანიაზე". დინამოელი ამირან მუჯირი საკუთარი ნახევრის მარცხენა ფლანგიდან ბურთს იცილებდა. ბოლნისელი ხიდაშელი უკნიდან ჩაუხტა ფეხებში. არბიტრმა არ დააფიქსირა სიონელის ხისტი თამაში და ბურთის მიმართულებით შებრუნდა. თანამსაჯი ხუციშვილი კი ზუსტად სამი მეტრის მოშორებით იდგა. მუჯირმა მთელი ძალით ამოარტყა ფეხი წაქცეულ ხიდაშელს და საშინელი ღრიალის ხმა გაისმა. ზუსტად მაშინ გამახსენდა ინგლისელი, მაგრამ მისი მოქნეული ტერფი მუჯირის მოქმედებასთან შედარებით მოფერების ჟესტად მოგეჩვენებოდათ.

მთელი სტადიონი წამოიშალა. თამაში შეწყდა. მეშკოვი საქმეში გასარკვევად თანამსაჯთან მივიდა. ხუციშვილმა მეთექვსმეტე ნომრიან მუჯირის ნაცვლად მეორე ნომრით მოთამაშე დინამოელ მიქაძისკენ მიუთითა მთავარ მსაჯს... აი, სწორედ მაშინ უნდა გენახათ მიქაძის გაოგნებული გამომეტყველება. მეშკოვმა ხელი წაიღო ჯიბისკენ და... ყვითელი ბარათი. ლამის გაცოფდნენ ბოლნისელი ფეხბურთელები და გულშემატკივრები. მსაჯი განმეორებით მივიდა თანამსაჯთან, მაგრამ... შემდეგ დინამოელთა ჯგუფიდან მუჯირი გამოვიდა და მეშკოვს ანიშნა, მიქაძე კი არა, მე ვიყავიო. ყვითელი ბარათი მის ცხვირწინ აფრიალდა. არადა, ხუციშვილი ზუსტად სამ მეტრაში იდგა...

ხალხი „სიონის" ფეხბურთელებისგან მოედნის დატოვებას ითხოვდა. გააფთრებული ბოლნისელი გულშემატკივრები მავთულის ზღუდეებს ეკიდებოდნენ. „თემურ სტეფანიაზე" დენთის სუნი ტრიალებდა...

ვინ იცის, იქნებ კაცნაკლულ „დინამოს" მაინც მოეგო „სიონისთვის", მაგრამ ეს ხომ ვარაუდია და მეტი არაფერი. როდის უნდა შეიგნონ ქართველმა მსაჯებმა, რომ საქართველოს ჩემპიონს მათი დახმარება არ სჭირდება, თანაც „სიონის" წინააღმდეგ. როდემდე უნდა იმსაჯონ „დინამოს" თამაშები შიშით?

შეხვედრა ათი წუთით გვიან დაიწყო. თბილისელები 30 ქომაგის ამალით ესტუმრნენ ბოლნისს, მატჩამდე საათნახევრით ადრე. ინსპექტორი და მსაჯები კი 25 წუთის მერე გამოჩნდნენ. სტადიონის საფარი საშინელ დღეში იყო. მურთაზ ხურცილავა შეხვედრის გადადებას ითხოვდა — ამ ტალახში ფეხბურთის თამაში წარმოუდგენელიაო. დურსუნიშმა სათამაშო კარებების სიმაღლეში გაზომვა დაიწყო. აღმოჩნდა, რომ ორივე კარი სტანდარტულზე 9 სმ-ით დაბალი იყო. ინსპექტორი მობილურის საშუალებით სფფ-ს გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას დაუკავშირდა და დირექტივა მიიღო.

კვლავ ნაცნობი სურათი. ნიჩბებით კარის ხაზის ადგილას მიწის ამოღება.

გუშინ ბოლნისში ომი ვიხილეთ. საფეხბურთო ომი კოჭებამდე ტალახში. დიახ, „სიონი" „დინამოს" ეომა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მიუხედავად მარადი ჩემპიონის სრული უპირატესობისა, არჩვაძის შეგირდები მედგრად იცავდნენ თავს. გამორჩევით კი სამი კაცი გამოირჩეოდა, სიონელები — მეკარე დალაქიშვილი, ლიბერო ყიფშიძე და ნახევარმცველი თემურ სამხარაძე შეუდარებელნი იყვნენ.

დინამოელები მთელი 90 წუთი გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ ვერ და ვერ გაიტანეს. არადა, პირველ ტაიმში ოთხჯერ მაინც უნდა აელოთ მასპინძელთა კარი.

მეორე ნახევარშიც ცალკარა იყო. 48-ე წუთზე აშვეთიამ ისარგებლა მცველთა შეცდომით: მეკარესთან ახლოს მდგარმა ანგარიში გახსნა 0:1.

„სიონმა" შვიდ წუთში გაათანაბრა. მარჯვენა ფლანგზე თემურ სამხარაძის შეტევა გოდერძიშვილმა გააგრძელა, საჯარიმოში შეიჭრა და დაბალი პასი გაუკეთა გვარამაძისგან ორ მეტრში მყოფ გაგუას — 1:1.

აქ კი ლამის დაინგრა ტრიბუნები. „დინამოს" ქომაგების მხარდაჭერა ბოლნისელების ყიჟინამ ჩაახშო.

„დინამო" ჩქარობდა. სიონელები კი უშეცდომოდ იცავდნენ კარს. დროც გვარიანად გაჰყავდათ. მსაჯი ხშირად არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდა. უფრო მეტად კი მასპინძლებს სწყალობდა, ალბათ, 28-ე წუთი ახსენდებოდა.

თითქოს ფრე გარდუვალი იყო, მაგრამ წიტაიშვილის ნაცვლად შემოსულმა ტუღუშმა გადაასხა ცივი წყალი მასპინძლებს. ქებაძისგან კარგი გადაცემა მიიღო და ახლოდან გაუტანა დალაქიშვილს, რომელიც იმ დროისთვის მხარს იტკიებდა.

დამატებულ დროში „სიონის" მეკარე ტალახზე დასრიალდა და ბურთი აშვეთიას ჩააბარა. დალაქიშვილს უხეშობის მეტი არაფერი დარჩენოდა. პენალტი დინამოელთა ბომბარდირმა უნაკლოდ შეასრულა — 1:3.

„დინამო" რომ „სიონზე" ათი თავით ძლიერია, ჩვენც ვიცით, მაგრამ მსაჯის მიხმარება არ უნდა სჭირდებოდესო — ჩიოდნენ მატჩის შემდეგ ბოლნისელი ქომაგები, რომლებიც თამაშის დროს ისე ხშირად აგუგუნებდნენ — „ტორპედო", „ტორპედოო", რომ ქუთაისის სტადიონზე გეგონებოდათ თავი...

# ვივა, ოდიში, ვაჲა, გურია!

**ზუგდიდი**
17 მარტი
15 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 4:2 გურია

1:0, 2:0, 3:0 (გოგოხია 10, 50, 54), 3:1 დ. მახარაძე (85), 4:1 ვახანია (83), 4:2 დ. მახარაძე (89პ)
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე (იოსავა 59), ჯავაშვილი, აკობია, ჭურღულია (ტაბაღუა 46), კუტალია (ვახანია 63), მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია, ალანია, თოდუა
**გურია:** ნიკურაძე, ო. ჩხაიძე (ლ. ჩხაიძე 58), ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, სვანიძე, შავშიშვილი, დ. მახარაძე, გულორდავა, ენუქიძე, ბოლქვაძე (ჭიაბრიშვილი 46)
*სათადარიგონი:* გოგუა, ბერძენიშვილი, გ. მაჩიტიძე
**გაფრთხილება:** ჭურღულია (24), ენუქიძე (40), აფაქიძე (43), თ. ჩხაიძე (60), შავშიშვილი (65)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), ა. კრიჭაშვილი (თბილისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი), თ. გიორგაძე (სამტრედია)
**სფფ-ს ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

**თენგიზ გუჩუა ზუგდიდიდან**

„ოდიშს" 14 ნოემბრის შემდეგ გოლი არ გაეტანა და თავისი სუსტი თავდასხმის გადამკიდე შიშით მოელოდა კონკურენტი გუნდის სტუმრობას, მაგრამ თამაშმა საპირისპირო რამ აჩვენა და მასპინძლებმა ამჯერად ოთხჯერ გაიტანეს.

ზუგდიდელებმა პირველივე წუთებიდან სცადეს თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება და ეს გამოუვიდათ კიდეც. რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ „გურია" უკვე გუნდს აღარ ჰგავდა. სტუმრები სცოდავდნენ და ბურთიც მიილეს საკუთარ კარში. ღურწკაია მარჯვენა ფლანგზე მეურვეებს გაექცა და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ზაზა გვიჩიამ თავით გადაუგდო პარტნიორს, კუტალიამაც არ დაახანა — დაარტყა. ამას გოგოხიამ დაამატა და იხეირა კიდეც.

ოდიშელებმა კიდევ რამდენიმე სახიფათო შეტევის განხორციელება მოახერხეს, თუმცა უშედეგოდ. გურულები კი ისე საცოდავად გამოიყურებოდნენ, რომ ზუგდიდელების გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. სტუმრებს პირველი ტაიმის განმავლობაში ერთხელაც არ დაურტყამთ სახიფათოდ.

მეორე ნახევარიც იმავე სცენარით წარიმართა, თუმცა, პირველისგან განსხვავებით, უფრო უხვგოლიანი გამოდგა. პირველივე წუთებზე გოგოხიას სამჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ კარს აცილებდა. 50-ე წუთზე კი მას ხელი ვერავინ და ვერაფერმა შეუშალა — მარკოზიას ჩამოწოდებული ბურთი მიუვიდა და მისკენ წამოსულ მეკარეს თავზე გადაუგდო.

ინერტულად მოთამაშე ჭურღულიას ნაცვლად სოსო ჭედიამ მოედანზე კობა ტაბაღუა გამოიყვანა და ზუგდიდელთა შეტევებიც უფრო გამწვავდა. შედეგმაც არ დააყოვნა: ტაბაღუას ზუსტი გადაცემის შემდეგ გოგოხია კვლავ აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ და ჰეთ-თრიქი შეასრულა.

სამბურთიანმა უპირატესობამ „ოდიში" ოდნავ დაამშვიდა, მაგრამ სტუმრები მაინც ვერ ახერხებდნენ, ხეირიანად შეეტიათ. მხოლოდ თამაშის მიწურულს გამოიჩინა ფხა დავით მახარაძემ და ორჯერ იხეირა: ჯერ მასპინძელთა მცველების შეუთანხმებლობით ისარგებლა და ნაყოფიასთან პირისპირ დარჩენილმა სხვაობა შეამცირა, ბოლოს კი მეტად საეჭვო თერთმეტმეტრიანიდან გაიტანა, თუმცა მანამდე შეცვლაზე შემოსულ ვახანიას მეოთხე ბურთი ჰქონდა გატანილი სტუმართა კარში.

ამ გამარჯვებით „ოდიშმა" დროებით დააღწია თავი სახიფათო ზონას და გუნდის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები საკუთარ ძალებში დაარწმუნა, ხოლო „გურიამ" მხოლოდ ღმერთის იმედი უნდა ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# 19 ტური

# ცოლიანები და უცოლოები

მცხეთა
17 მარტი
15 საათი
არმაზი
1000 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:2 ლოკომოტივი**

0:1 ხუჯაძე (4), 0:2 კოტორაშვილი (39), 1:2 ქორიძე (48)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ი. კაპანაძე, ვ. მაისურაძე, გიორგი ქორიძე, ზ. გვაზავა, მაზიაშვილი (ჭოხონელიძე 46), ერაძე, ა. ბოკერია (გ. გვაზავა 46), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; გვირჯიშვილი, ვ. გოჩაშვილი
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ნ. მინდიაშვილი (ქოიავა 88), ბარნოვი, ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი, კაციაშვილი, შ. ხუჯაძე, ბაქრაძე, კოტორაშვილი (კ. მელქაძე 63), წივწივაძე (გილაური 89)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; ნ. მელაძე, მარღიშვილი, ღუდუშაური
**გაფრთხილება:** ერაძე (16), ბაქრაძე (21), გოგობერიშვილი (33), მაზიაშვილი (36), ზ. გვაზავა (55), არჩვაძე (64), ჯანელიძე (67)
**გაძევება:** გოგობერიშვილი (44)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

სამი გოლი, სამივე ერთ კარში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთიდაიგივე კუთხეში. მცხეთის „არმაზზე" შეკრებილმა გულშემატკივრებმა ფიცხელი ბურთაობა იხილეს. სტუმარმასპინძელს ერთმანეთი არ დაუზოგავს, მეტადრე ვეტერინარებმა მოინდომეს, მაგრამ რკინიგზელთა ძლევამოსილი სვლა ვერ შეაჩერეს.

ალბათ, თავად თემურ მახარაძესაც არ ახსოვს, როდის გაიტანა უშუალოდ თამაშიდან გოლი მისმა გუნდმა. ეს დიდი ხნის წინ იყო. მცხეთაში კი ერთბაშად ორი გოლი შეაგდეს.

„ლოკომოტივი" მცხეთის სარბიელს ნაჩვევია. გუშინ ვერავინ იტყოდა, რკინიგზელები სტუმრად თამაშობენო. „არმაზზე" მათთვის ყველაფერი ნაცნობი იყო.

თამაში ისე დაიწყო, მასპინძლები გაკვირვებული დარჩნენ. მახარაძემ პრინციპებს უღალატაო, ხუმრობდნენ ტრიბუნებზე. არავითარი დაცვითი ტაქტიკა, არავითარი კონტრიერიშები. „ლოკომოტივი" უტევდა. სტუმართა მიერ დებიუტშივე გატანილი გოლიც ვეტერინარი მცველების დაბნეულობის შედეგი იყო. ამისთვის ისინი მზად არ იყვნენ. კაციაშვილმა ჯარიმიდან ბურთი მასპინძელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა, ბაქრაძემ მცველებს საჰაერო დუელი მოუგო და ბურთი საჯარიმოს სიღრმეში ჩააგდო. წივწივაძემ და ხუჯაძემ მცველებთან ბრძოლა გამართეს. მასპინძლები თითქოს შებორჭესო, ბურთისკენ ვერც ერთი წავიდა. ხუჯაძემ არეულობით ისარგებლა, ბურთს ფეხი წაჰკრა და მარჯვენა კუთხეში გაიტანა.

„ლოკომოტივი" ისევ უტევდა, ბრძოლა გამძაფრდა. უჭირდათ მასპინძლებს, თუმცა შეიძლებოდა, გაეტანათ. გვაზავას ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ჯანელიძის წინ დაეცა. წონასწორობადაკარგულ მეკარეს მიწიდან ასხლეტილი ბურთი მხარზე მოხვდა, მერე მცველებმა იყოჩაღეს.

ამასობაში არბიტრმა შალამბერიძემ ააფრიალა ყვითელი ბარათი. ზოგი სამართლიანად დასაჯა, ზოგიერთები კი ნაჩქარევად დაასაჩუქრა. ისე, პრინციპულობა ბოლომდე რომ გამოეჩინა, გაუფრთხილებელი მხოლოდ საკუთარი თავი დარჩებოდა.

სტუმართაგან გატანა წივწივაძეს და მინდიაშვილსაც შეეძლოთ, მაგრამ ორივეს ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმული ბურთი ჭურაძემ ეფექტურ ნახტომში უკუაგდო.

— ამ ბიჭსაც ცხვარი უნდა დავუკლათ, როგორც გოგოლაძეს გამოვულოცეთ, ისე წივწივაძისთვისაც მოგვიწევსო, — ხუმრობდნენ სტუმართა გუნდის თავკაცები.



შალვა ხუჯაძის დარტყმულმა ბურთმა ვეტერინართა ალყაც გაარღვია და მიზანსაც მიაღწია

ტაიმი დასასრულს მიუახლოვდა. ისევ ჯარიმა მასპინძელთა კართან. ისევ დაახლოებით იმ ადგილიდან, ოღონდ ამჯერად მინდიაშვილმა შეასრულა დარტყმა. მცველებმა ბურთი კი მოიგერიეს, მაგრამ მხოლოდ კოტორაშვილის მისამართით. თავდამსხმელის დარტყმული კი ისევ მარჯვენა დაბალ კუთხეში გავიდა.

ერთი წუთის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" სხვაობის შემცირება შეეძლო. ქორიძემ მინდვრის შუაგულიდან წამოილო ბურთი, გზად ყველა დამხვედრი მოატყუა, ჯანელიძესთან პირისპირაც გავიდა და დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთი საჯარიმოში არსებულმა წყლის გუბემ შეაფერხა და მეკარის იოლი ლუკმა შეიქნა.

პირველი ნახევარი იწურებოდა. „ლოკომოტივს" საფრთხეც თითქოს არსაიდან ემუქრებოდა, მაგრამ გოგობერიშვილმა დაალალატა გუნდი. მანამდე მსაჯისგან გაფრთხილებულმა რატომლაც ნერვები ვერ მოთოკა და ბურთი სასტვენის შემდეგ პირით ხაზს იქით გადააგდო. შალამბერიძემაც ჯერ ყვითელი ააფრიალა, რასაც, ბუნებრივია, წითელი ბარათი მოაყოლა.

ორბურთიანი სხვაობა კი შეინარჩუნეს სტუმრებმა, მაგრამ შესვენებაზე ვიქტორ კანევსკიმ ორი შეცვლა გააკეთა. ორიდან ერთმა ძალიან გაუმართლა. გრიგოლ გვაზავას გამოსვლამ მასპინძელთა წინა ხაზი გამოაცოცხლა.

„ლოკომოტივი" ჩვეულ სტილში ათამაშდა. კაცნაკლული სტუმრები თავდაცვაზე გადავიდნენ, თუმცა სწრაფი გოლიც გაუშვეს. მარჯვნიდან კაპანაძის ჩაწოდებულს საუკეთესო ვეტერინარი ქორიძე გამოეხმაურა. ბალაშვილის ზურგსუკან გამომხტარი თავდამსხმელი ჰაერში კამარაშეკრული ვიხილეთ. ბურთი ისევ მარჯვენა კუთხეში შევარდა და ჯანელიძე არც განძრეულა.

რკინიგზელებს ყოფილმა რკინიგზელმა გაუტანა. ალბათ, ესეც ლოგიკური იყო. ამის შემდეგ, მთელი 42 წუთის განმავლობაში მინდორზე ერთი გუნდი — „ვიტ ჯორჯია" დომინირებდა, თუმცა საბოლოოდ მათმა გარჯამ ნაყოფი ვერ გამოიღო.

ათი ლოკომოტიველი თავდაუზოგავად იბრძოდა. სტუმრებმა ყველა ხერხი გამოიყენეს და გამარჯვებას მიაღწიეს. არ გაუმართლათ ახალგაზრდა ვეტერინარებს, არადა, გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ ჯანელიძემ ამის საშუალება არ მისცათ. დათომ ჯერ ჭანკოტაძეს აუღო დაბალ კუთხეში დარტყმული, მერე გრიგოლ გვაზავას თავურზე ისეთი ნახტომი გაჭიმა, მოწინააღმდეგემაც ტაში დაუკრა. მეკარის თავგანწირული რეაქცია იმ წუთს ყველას პირზე ეკერა.

ბოლოს ნაცნობი სურათი, წვრილწვრილი ეშმაკობები, დროის გაყვანა და თამაშის ტემპის დაგდებაც ვნახეთ. არც იყო გასაკვირი. „ლოკომოტივი" გამოცდილი, დალვინებული კლუბია, „ვიტ ჯორჯია" კი უფრო მომავლის გუნდი. ვეტერინართაგან ყველა დაუოჯახებელი ფეხბურთელია, ახალგაზრდა, ჯერაც უწვერული, ტალიკტალიკი ბიჭები აბა, ცოლიანებთან რას გააწყობდნენ. გასათხოვარ გოგონებს შეუძლიათ მცხეთის „არმაზს" მიაკითხონ, ვინძლო, ცხოვრების თანამგზავრიც იპოვონ და „ვიტ ჯორჯიაც" უფრო მომაგრდეს.

ჯერჯერობით კი „ლოკომოტივი" ისევ დაუმარცხებელია, თუმცა ვეტერინარებისთვის ფორტუნასაც რომ გადმოეხედა, არავინ იცის, რა იქნებოდა.

# მორიგი სკანდალი ფაზისზე

ფოთი
17 მარტი
15 საათი
ფაზისი
1000 (ტევადობა 12 000)

**კოლხეთი 2:3 დილა**

0:1, 0:2 ახალკაცი (30, 36), 1:2 ღლანიძე (85), 1:3 მინდიაშვილი (88პ), 2:3 შავგულიძე (90)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, მ. ქობულაძე (შავგულიძე 46), ამაშუკელი, ღლანიძე, ჩადუნელი, კალანდაძე, ე. გვასალია, ტრაპაიძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, ანჯაფარიძე, ებრალიძე, ბულუხია, კრასოვსკი
**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, გაგნიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი (სულთანიშვილი 90), ლომიძე, რ. ახალკაცი (მ. მინდიაშვილი 77), შატაკიშვილი (არუთინიანი 84)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; სირალიშვილი
**გაფრთხილება:** კალანდაძე (37), ლომიძე (86), ჩადუნელი (90)
**მსაჯები:** ვ. ელოევი (ცხინვალი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**გოჩა ჯანაშია ფოთიდან**

გორელები ამ ბოლო წლებში მეორე წრეს სტაბილურად აგდებენ და გამონაკლისს, ალბათ, არც წელს უნდა ველოდოთ. თუმცა მათგან ნებისმიერი ხიფათია მოსალოდნელი, რაც ამ თამაშშიც ნათლად გამოჩნდა. ბევრს მიაჩნდა, რომ გუშინდელი მატჩის პროგნოზირება წესით ადვილი საქმე უნდა ყოფილიყო. ნურას უკაცრავადო, უთქვამს „დილას" და თავიდანვე ცხადი მხოლოდ ის იყო, რომ სტუმრები არავისთან არაფრის დათმობას არ აპირებდნენ. პირველი წუთებიდანვე ისინი ტოლ-სწორად შეებნენ მასპინძლებს და უფრო მეტიც, ორი ბურთითაც დაწინაურდნენ. ფოთელებს მხოლოდ პირველ 10 წუთში ჰქონდათ ასე თუ ისე სახიფათო მომენტი. პირველად ჩადუნელის ფლანგურ შეტევას კარის გასწვრივ სახიფათო გადაცემა მოჰყვა, თუმცა გვასალიას ცოტა დააგვიანდა. ორ წუთში უკვე ტრაპაიძემ იგივე მარცხენა ფლანგიდან მოამარაგა იგივე გვასალია, რომლის დარტყმული ბურთი კარგა გვარიანად ასცდა შუმახერას კარს. ამის შემდეგ თვალსასეირო არაფერი შექმნილა, მაგრამ მოულოდნელად გაიბრწყინა რომან ახალკაცმა, რომელმაც 6 წუთის ინტერვალში ორჯერ გაამწარა კოლხები. პირველად ეს 30-ე წუთზე მოხდა, როცა კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ ახალკაცმა ეფექტური დარტყმით გვასალიას შანსი არ დაუტოვა. ამას მალე ქობულაძის უხეში შეცდომა მოჰყვა — ბურთი მარეხაშვილს ჩააბარა, რომელმაც უმალ ახალკაცი მოძებნა. ამან ჯერ გოროზიას ლამაზად გადაუტარა ბურთი თავზე და შემდეგ მოხდენილადაც დაურტყა ფოთელთა კარის დარაჯს. ბურთი მარჯვენა ძელს მოხვდა და კარში შეგორდა.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ მატჩს დიდებული ინტრიგა შესძინა. თუმცა პირველ ტაიმში აღარაფერი შეცვლილა. განახლდა თამაში, ფოთელებმა მარცხის საშიშროება იგრძნეს და სტუმართა საჯარიმოსთანაც ჩასახლდნენ. მომენტებიც საკმაოდ შექმნეს. ამათგან აღსანიშნავი უფრო ღლანიძის ჯარიმა იყო, თუმცა სოლოლაშვილმა იყოჩაღა და ნახტომში ბურთი კუთხურზე უკუაგდო. ეს სადღაც ტაიმის შუაწელში მოხდა. დრო გადიოდა, მასპინძლები გატანას ჩქარობდნენ და შეცდომებსაც უშვებდნენ. გორელები დაცვაში უშეცდომოდ ირჯებოდნენ, თან კონტრშეტევებისთვისაც იცლიდნენ. ერთი ჩინებული შანსი შატაკიშვილს მიეცა და რატომ ვერ გაიტანა გოლი, საკითხავი ეს იყო.

ამასობაში ღლანიძემ მაინც თავისი გააკეთა და 25 მეტრიდან სოლოლაშვილს მაინც გაუტანა ჩვეული საჯარიმო დარტყმა. ამან კოლხთა ბოლო შტურმს დაუდო სათავე, მაგრამ უშედეგოდ. პირიქით, ფეზუაშვილის ბრწყინვალე რეიდს მარეხაშვილის საჯარიმოში წაქცევა მოჰყვა. ელოევმა გოროზიას ქმედება უხეშობად ჩათვალა და პენალტიც დანიშნა. მატჩის შემდეგ როცა ნახეს, ფირზე აღბეჭდილი ეპიზოდი ერთობ საეჭვო ჩანდა და ამას თვით ანატოლი მილჩენკოც დაეთანხმა. მაგრამ ამით ზღვისპირელებს რა? არც არაფერი. მინდიაშვილის გამოყენებულ პენალტს, მსაჯის წამატებულ წუთებში შავგულიძის პრესტიჟის გოლი მოჰყვა. აი, თამაშის დასრულებას რა მოჰყვებოდა, ეს ძნელი გამოსაცნობი არ არის. გაავებულმა მაყურებელმა გინების კორიანტელი დააყარა მსაჯთა ბრიგადას და სამართალდამცავებს რომ არ ეყოჩაღათ, შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო.

მატჩის შემდეგ კოლხთა გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ ასეთი კომენტარი გააკეთა — რა ხდება, ვერ გამიგია, მეორე წრის ოთხივე თამაშში მსაჯობა აბსოლუტურად არაობიექტური იყო და ამან თამაშის შედეგზეც იქონია გავლენა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მავანთ ხელს აძლევთ ჩვენი დაღმასვლა და ვილაცეებს გზას უკვალავენ. ასე არ უნდა გაგრძელდეს, ყველაფერს საზღვარი აქვს. ასე რომ, ფეხბურთის ფედერაციამ სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს ამ ფაქტზე.

ამის შემდეგ მატჩის ინსპექტორს ანატოლი მილჩენკოს გავესაუბრეთ, რომელსაც დანა პირს არ უხსნიდა. იგი ძალიან უკმაყოფილო იყო მსაჯის მოქმედებით. პენალტიც მოგონილად ჩათვალა და შეცდომებიც ბევრი დააფიქსირა, რაც იმას მოასწავებს, რომ ელოევს დისკვალიფიკაცია ნამდვილად არ ასცდება.

# იბერიამ ნავსი გატეხა

სამტრედია
17 მარტი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 15 000)

**იბერია 3:1 არსენალი**

1:0 ივეჩიანი (15), 1:1 გველესიანი (43), 2:1 ლურსმანაშვილი (55), 3:1 ხუჭუა (75პ)
**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე (ცომაია 80), თოდუა, ი. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (მუმლაძე 82), ვარდიაშვილი (ფილიპაშვილი 84)
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ზ. ფხაკაძე, ნ. გიორგაძე
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე, ლაცაბიძე, ვ. გველესიანი, დ. კაპანაძე, მ. მაისურაძე, ხოსროშვილი, კაკუბავა, სულაძე (ზ. მეტრეველი 75), გაბისონია, კვირკველია
*სათადარიგონი:* აბაშიძე; აბაზაძე, ვ. გაგუა, ყუფარაძე
**გაფრთხილება:** ცოტაძე (28), კაკუბავა (65), თოდუა (71)
**მსაჯები:** ს. შალამბერიძე, ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ეჯიბია

**მამუკა გიგიაძე სამტრედიიდან**

„იბერიას" ათი ტურია ამ მატჩამდე არ ემარჯვა და როგორც იქნა მოახერხა ნავსის გატეხვა. მასპინძლებმა თავიდანვე პრესინგს მიმართეს და აიძულეს მეტოქე შეცდომები დაეშვა. მე-8 წუთზე ვარდიაშვილმა არმიელთა ლიბეროს კაპანაძეს ბურთი კუთხურის ხაზთან მოპარა, საჯარიმოში შეჭრილმა მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ ჩლაიძემ იმარჯვა. მე-12 წუთზე ივეჩიანი კარგად დაუსხლტდა მეურვეს, დაარტყა კიდეც, ბურთს ჩლაიძე იოლად დაეუფლა. სამი წუთის შემდეგ მოედნის ცენტრში ისევ კაპანაძე შეცდა, ბურთზე ფეხი აუცდა, ბურთი ხუჭუამ მოიგდო, კუთხურის ხაზამდე ჩაიტანა და საჯარიმოში შეჭრილ ივეჩიანს უპასა, მანაც თაური დარტყმით გახსნა ანგარიში.

33-ე წუთზე სოსო გიგიაძე მარჯვნიდან აწვდის ჯარიმას, „არსენალის" მცველები ცდებიან. ამ ეპიზოდში ქველაძეს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მისი დარტყმა კი მიზანს ასცდა.

43-ე წუთზე „არსენალის" ერთ-ერთი იშვიათი შეტევისას მცველ გველესიანის ოცდასამი მეტრიდან დარტყმული ბურთი საჯარიმოში მიწაზე დაეცა და გუბაზ დოლიძეს მარჯვენა კუთხეში გაუვიდა.

შესვენების შემდეგ მაისურაძეს შეეძლო დაეწინაურებინა თავისიანები. კაკუბავას მოწოდებული კუთხურიდან თავური ოდნავ ააცილა კარს.

52-ე წუთზე ვარდიაშვილი კარგად შევიდა მარჯვნიდან, ჩაწოდებამაც არ დაახანა, შეტევაში ჩართულმა მიქელთაძემ ნახტომში თავური უხეიროდ დაარტყა.

სამიოდე წუთში იბერიელთა მორიგ შეტევას ლურსმანაშვილის გოლი მოჰყვა. ეს გოლი არმიელი გველესიანის გატანილ ბურთს ტყუპისცალივით ჰგავდა.

„არსენალს" დასაკარგი არაფერი ჰქონდა, მთელი გუნდით გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ სახეირო ვერაფერი შექმნეს. 75-ე წუთზე გეგეშიძემ საკუთარი ნახევრიდან შორეული გადაცემით ხუჭუა დატოვა მეკარესთან პირისპირ, ჩლაიძემ საჯარიმოში შეჭრილ ხუჭუას წაქცევის მეტი ვერაფერი მოუხერხა. პენალტი თავად დათომ შეაგდო.

„იბერიას" შეეძლო კიდევ ერთხელ ეხეირა. შეცვლაზე შემოსული ფილიპაშვილი კარგად შევიდა მარჯვნიდან, დაარტყა კიდეც, მაგრამ ჩლაიძემ აჯობა.

„იბერიამ" ღირსეულად გაიმარჯვა, ამ მოგებით გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, „არსენალმა" კი...

საქართველოს ჩემპიონატი **19 ტური**

# თოვლის ნაკვალევზე

რუსთავი
17 მარტი
15 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 0:3 მერანი**

0:1 ამბიძე (14), 0:2, 0:3 ჩუხუა (23, 50)
გორდა: მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბექაური (ტარტარაშვილი 64), თ. ჩიგოშვილი (ბერიძე 52), გაბელაია, ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი, მენთეშაშვილი (ლ. ალადაშვილი 40), მიშველიძე
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე, მ. სახვაძე, ლაბაძე, რ. მახარაძე
მერანი: ლომაია, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე (კარიაული 46), ჭინჭარაული, გელა ქორიძე (დ. ჭელიძე 83), ჯიშკარიანი, თოლორდავა, ჩუხუა, ხუციშვილი, დავითაშვილი (ხარებავა 85)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ჩანადირი
მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი), ლ. ფანიაშვილი, ლ. სილაგავა, დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. იაშვილი

ვანო ოქროპირიძე რუსთავიდან

თბილისის „მერანმა" რუსთავში მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა, „გორდას" კი ერთობ გაურთულა ისედაც არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა. გუშინდელმა მატჩმა დაადასტურა, რომ მერანელები რუსთაველებზე ერთი თავით მაღლა დგანან. შეიძლება ითქვას, ტრანსპორტელებს გამარჯვების მიღწევა არ გასჭირვებიათ, მათ ყველა კომპონენტში აჯობეს მეტოქეს და დამსახურებულად მოიგეს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან მათ შემადგენლობაც უკეთესი ჰყავთ და პირობებიც ბევრად უფრო კარგი აქვთ.

მატჩი რომ არც ისეთი კარგი სანახავი გამოდგა, ამაში უვარგისმა მინდორმაც შეიტანა თავისი წვლილი. ორი დღის წინანანდელმა თოვლმა მიწა დაასველა და გუნდების მატჩისწინა მოთელვის შემდეგ მოედანი ნაომარს დაემსგავსა (როგორი იქნებოდა იგი თამაშის შემდეგ, თავად წარმოიდგინეთ). ფეხბურთელებსაც წამდაუწუმ უსხლტებოდათ ფეხი, რის გამოც არაერთი შეტევა იშლებოდა.

„გორდამ" ძალიან მოინდომა, მაგრამ კლასი აშკარად არ ეყო. რუსთაველებმა მატჩი შეტევებით დაიწყეს, პირველი ხუთი წუთის განმავლობაში „მერანი" ცენტრს არ გადააცილეს, მაგრამ სახიფათოდ ვერც თავად დაემუქრნენ სტუმართა კარს. თბილისელთა თავკაცმა სერგო გაბელაიამ ნამდვილად სწორი ტაქტიკა აირჩია. აშკარად ჩანდა, „მერანი" დაცვაზე ამახვილებდა ყურადღებას და შესაძლებლობისთანავე სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდა. გაბელაიამ თავდასხმაში სამი კაცი განამწესა — ჩუხუა, ხუციშვილი და დავითაშვილი, თუმცა რუსთაველთა იერიშებისას (თუ იმას იერიში ერქვა) ხუციშვილი და დავითაშვილი დაცვაში ჩამოდიოდნენ და გუნდისთვის საკმაოდ დიდი სარგებელიც მოჰქონდათ. ჯუბა ჩუხუა კი მუდმივად წინ იყო და „გორდას" მცველებს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა.

ანგარიში კი მე-14 წუთზე გაიხსნა: ედიშერ ალადაშვილმა კარგი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ჩუხუა, მაგრამ მამუკა ქორიძე დროულად გამოვიდა კარიდან და ბურთი თავით ბახვა ამბიძის მხარეს მოიგერია. ბახვამაც დაახლოებით 35-40 მეტრიდან ცარიელ კარს დაუმიზნა ბურთი. ხუთ წუთში სტუმრებს ანგარიშში სხვაობის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ თოლორდავას პასით ხუციშვილის ახლოდან დარტყმული ბურთი ქორიძემ კარის ხაზზე გააქვავა. თუმცა მეორე გოლს რუსთაველები მაინც ვერ გადაურჩნენ. 23-ე წუთზე დავითაშვილმა მარცხენა ფლანგზე მეურვე მოატყუა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს ჩუხუა დახვდა — მან მახვილი კუთხიდან თავით ლამაზი გოლი გაიტანა. თამაშის ბედიც აქ გადაწყდა. ტაიმის ბოლოს რუსთაველები კი გააქტიურდნენ, მაგრამ ზირაქაძისა და ინასარიძის სახიფათო დარტყმებს შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „მერანმა" რუსთაველთათვის კატასტროფული გახადა ანგარიში. ეს იმ ფეხბურთელმა გააკეთა, ვისაც პირველ წრეში „გორდასთვის" გაჰქონდა გოლები. ჩუხუა პირველ წრეში „მეტალურგის" ღირსებას იცავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და ყოფილი თანაგუნდელები არ დაინდო. ჯუბას მეორე გოლში მნიშვნელოვანი წვლილი მიხეილ ხუციშვილმა დაიდო. მან ცენტრიდან წაიღო ბურთი, საჯარიმოში შევიდა და კარის წინ უყურადღებოდ დატოვებულ ჩუხუას პასი მიაწოდა, ამასაც თავით აღარ გასჭირვებია გატანა. „გორდამ" პრესტიჟის გოლის შეგდება სცადა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია, ის კი არა, ბოლო წუთებზე კინაღამ მეოთხედ დამწუხრდა: დავითაშვილმა რუსთაველთა ნახევარზე ბოლომდე იბრძოლა, დაკარგული ბურთი დაიბრუნა, საჯარიმოში შევიდა და იქვე მდგარ ხუციშვილს დაუგორა ბურთი, მაგრამ მის დარტყმულს ქორიძე გადაელობა.



გურამ ფოლუნჯაშვილის ფოტო

მერანელი სულიკო დავითაშვილის ჩაწოდებას ბახვა ამბიძე და ჯუბა ჩუხუა უდარაჯებენ

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. 20 მარტი. თბილისი. ეროვნული.

## საქართველო — უკრაინა

...მაშინ უკრაინელებმა ჩვენებურები არ დაინდეს. უმოწყალოდ გაუსწორდნენ, დიდი სირცხვილი აჭამეს. ოთხი უპასუხო გოლი, თითქმის ამდენივე რეალური მომენტი, ყველანაირი უპირატესობა, რაც კი შეიძლება ფეხბურთის თამაშისას გქონდეს. აი, ის რითაც შარშან, 19 აგვისტოს, გაუმასპინძლდა უკრაინა საქართველოს ნაკრებს. „კიევის ზეცამ ჯერ მზრუნველი დიასახლისივით მსუბუქად დაგვნამა, მაგრამ ცოტა ხანში ზედმეტი მოუვიდა და უკრაინულმა ეშმაკის მანქანამაც, წინ და უკან მონდომებით რომ დაქშიტინებდა, პირწმინდად დაგვაუთოვა" — ეს ციტატა იმ „სარბიელიდანაა" მატჩის მეორე დღესვე რომ გაახლეთ.
რა იქნება ახლა? რას დავწერთ? ნუთუ მსგავს? ღმერთმა ნუ ქნას. ჩვენებურთა მწვრთნელი რევანშის მოლოდინშია. მას სჯერა თავის ბიჭების, სჯერა გამარჯვებისა. ყველას აიმედებს, ბრძოლასა და თავდადებულ თამაშს ჰპირდება. 20 მარტს ნოსტალგიაც იქნება — წარსულის მოგონება და უამრავი მეგობრული ჟესტი. იქნება სიხარული, იქნება ქართულად დახვედრაც. და რაც მთავარია, ფეხბურთი: საქართველო — უკრაინა.



იოჟეფ საბო გპირდება, თბილისში უძლიერეს შემადგენლობას ჩამოიყვანო

# კომპლიმენტი ქართველებს

## იოჟეფ საბოს რომ ჰკითხოთ, ქართველები ფრანგებივით თამაშობენ

საქართველოს ეროვნული გუნდი ტრავმირებული ვლადიმერ გუცაევის თავკაცობით საამატჩო სამზადისს დღეიდან შეუდგება. მწვრთნელს შეთხელებულ-შესუსტებული შემადგენლობის დამოძღვრა მოუწევს, იმათი, რომელთა უმეტესობასაც კიევის „ოლიმპიურზე" არც უთამაშია.

უკრაინელები კი ხვალ, ნაშუადღევს, სრული საბრძოლო შემადგენლობით გვესტუმრებიან. იმ თერთმეტეულიდან, რომელიც მწვრთნელმა იოჟეფ საბომ აგვისტოს თამაშის წინ ჩამოთვალა, სტუმრებს მხოლოდ ევტუშოკი დააკლდებათ. დანარჩენები მის განკარგულებაში იქნებიან. ეს ამბავი თავად საბომ გვითხრა, მწვრთნელმა, რომელიც დაუფიქრებლად დათანხმდა „სარბიელს" მატჩისწინა სატელეფონო ინტერვიუზე.

**— კიევში ქართველების განადგურების შემდეგ თბილისშიც იოლ გამარჯვებას ელით?**

— მოგება კი გულით გვწადია, მაგრამ სიიოლის რა მოგახსენოთ. დარწმუნებული ვარ, დაძაბული, საინტერესო მატჩი იქნება. კიევური 4:0 ძალთა თანაფარდობას არ ასახავს. ქართველებს კარგი ნაკრები გყავთ, ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. წაგებით კი ყველას წაუგია. იმ დღეს ამინდიც ჩვენკენ იყო, თუ გახსოვთ, თავსხმა წვიმაში ვითამაშეთ.

**— მაშინ წვიმაში, ახლა კი საქართველოს ნაკრების შესუსტებული შემადგენლობის წინააღმდეგ მოგიწევთ ჭიშპობა.**

— მერე რა? ვიცი თქვენი ამბავი. საქართველოში ხომ უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელია. ვინც გაკლიათ, მათი შემცვლელებიც მოგეძებნებათ.

**— თბილისური მატჩისას მთავარი შედეგი იქნება, თუ ოფიციალური თამაშებისთვის შემადგენლობის კიდევ ერთხელ გასინჯვა?**

— მთავარი? როგორ გითხრათ, ალბათ, ერთიც და მეორეც. მოგება ძლიერ გამიხარდება, თუმცა არც წაგებაზე ვინერვიულებ. ორი აზრი არაა, ეს მატჩი თქვენც წაგადგებათ, ჩვენც, რა თქმა უნდა.

**— დღეს უკრაინის ნაკრებს საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს, წაგების შემთხვევაში კი...**

— ამხანაგურ თამაშში ხომ ქულები არ ირიცხება. არა მგონია, მარცხით ავტორიტეტი შეგველახოს, თანაც ქართველებთან. თქვენი ძალა ყველას მოეხსენება.

**— ტაქტიანი ბრძანდებით.**

— მერწმუნეთ, ეგრეა. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია.

**— ალბათ, გეცოდინებათ თბილისში თქვენი თამაშის დასაზვერად ფრანგთა მწვრთნელი როჟე ლემერი რომ ჩამოდის...**

— დიდი მადლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. მათ გვაცნობეს ამის თაობაზე. ისე, არ ჩამოსულიყო, სჯობდა.

**— რატომ? ახლა სხვანაირად ითამაშებთ?**

— ჩვენ ჩვენი საიდუმლო გვაქვს და აბა, ყველაფერი თუ ლემერს გავუმხილეთ, რა გამოვა. ბუნებრივია, რაღაცას დავმალავთ, მაგრამ ბევრს ვერაფერს. თბილისში, თანაც ამ დროს თამაში იმიტომ დავნიშნეთ, რომ ნაწილობრივ მანერით ქართველები ფრანგებს მოგვაგონებს. ცოტა ექსპერიმენტიც უნდა ჩავატაროთ. შესაძლოა რამდენიმე ფეხბურთელს ამპლუა შევუცვალოთ. ტაქტიკურადაც სხვანაირად თამაში გვაქვს ჩაფიქრებული.

**— არ გვეტყვით?**

— როგორ გითხრათ, მაშ, ჩემთვის რალა დავიტოვო. თუმცა, ჯერ გადაწყვეტილიც არაფერი მაქვს, თქვენთან მატჩამდე მწვრთნელები შევიკრიბებით და მოვიფიქრებთ რა, როგორ აჯობებს.

**— ფრანგებს რითი გვამსგავსებთ?**

— პირველყოვლისა ნახევარდაცვის თამაშით. ტექნიკითაც. ვნახოთ, ჩვენი უძლიერესი შემადგენლობა დავალებას როგორ შეასრულებს.

**— თითქოს თბილისში კიევის დინამოელების ჩამოყვანას არ აპირებდით.**

— არა, ეგ ვინ თქვა. თბილისს ოპტიმალური შემადგენლობით გესტუმრებით. ყველა გამოძახებული დინამოელიც ჩამოვა. ისინი ნაკრებს 18-ში საღამოს შეუერთდებიან, ჯერ მადრიდის „რეალთან" უნდა ითამაშონ. „დინამოდან" 11 კაცი მოვიწვიეთ. სულ თბილისში იმ 22 ფეხბურთელს წამოვიყვანთ, რომლებსაც 27 მარტს ფრანგებთან, 31-ში კი ისლანდიელებთან გამოვიყენებთ.

**— ფრანგებთან მატჩზე ცალკე უნდა გკითხოთ. თქვენი მეტოქე ხომ მსოფლიოს ჩემპიონია.**

— ვოცნებობ, საფრანგეთს მოვუგო! მითხრეს, რომ „სტად დე ფრანსზე" ყველა ბილეთი გაყიდული ყოფილა. წარმოიდგინეთ, როგორ გაგვიჭირდება. თანაც ნუ დაივიწყებთ, ფრანგებს უეჭველი მოგება სჭირდებათ, სხვა შემთხვევაში, პირველობა გაუჭირდებათ. ჩვენთან შეხვედრა მათთვის ბევრს ნიშნავს.

**— რაკი თქვენებური „დინამო" ასე ყოჩაღობს, არც ის იქნება გასაკვირი, ფრანგები რომ დაამარცხოთ.**

— გმადლობთ. მეც ამის იმედი მაქვს. ისე, ფრეზეც ყაბულსა ვარ.

**— და ერთიც, თბილისში რამდენი ხანია, რაც არ ყოფილხართ?**

— აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიყავი. ალალად გეტყვით, მომენატრა საქართველო, თბილისის სტადიონი, ქართველი მეგობრები... ბურიაკი, ვერემეევი, ბაზილევიჩი, ლობანოვსკი — ყველას ერთი სული გვაქვს როდის გესტუმრებით.

კობა ინასარიძე

16 UEFA UNDER-16 Championship

# გვეღირსა! თბილისში ოფიციალური ევროპული ტურნირი მოეწყობა

გუშინ უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კარგი ამბავიც ახარა და ოფიციალურადვე მიულოცა. გაგიკვირდებათ, მოსალოცი ნეტავ რა გვაქვსო. 2000 წლის თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ქვეჯგუფს წლეულს ოქტომბერში თბილისი უმასპინძლებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფასთვის ოფიციალურად მიუმართავს შესარჩევი ტურნირის მასპინძლობის სურვილით. იგივე ჩვენებურთა თანაჯგუფელ ხორვატიასაც მოუწადინებია, მაგრამ რაკი ბოლომდე აღარ გამოუდვია თავი, უეფამ ეს უფლება საქართველოს მიანიჭა.

ჩვენი თექვსმეტწლამდელები ფინალური ეტაპის საგზურს ხორვატთა გარდა საბერძნეთს და ბულგარეთს შეეცილებიან.

ახლახან საქართველოს ამ ნაკრების სათავეში რევაზ გაგუა დაბრუნდა. ეს კი, ტურნირის მასპინძლობასთან ერთად, ჩვენებურთა შანსს ერთიორად ზრდის. რევაზ გაგუა ხომ ის მწვრთნელია, ვინც საქართველოს ნაკრები პირველად ათამაშა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ეს 1997 წელს იყო გერმანიაში, სწორედ ბულგარელთა და ბერძენთა ძლევის შემდეგ.

თუ გული გულობს, თბილისში თურმე ოფიციალური ევროპული ტურნირის ჩატარებაც შეიძლება, რაშიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სურვილმა და მოწადინებამ დაგვარწმუნა.

ვახტანგ გზირაძე

# გუცაევით, ოღონდ მინუს ოთხით

საქართველოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელთა მცდელობის მიუხედავად მაინც არაფერი შეცვლილა — ეროვნულ გუნდს მწვრთნელთათვის სასურველი ოთხი ფეხბურთელი დააკლდება: ყაველაშვილი, დარასელია, დევაძე და ჯამარაული უკრაინელებთან ნათამაშევთ 22 მარტს შეუერთდებიან.

ისინი კი, ვინც 20-ში სლავებს უნდა დაუპირისპირდნენ, დღეს, 12 საათზე ფეხბურთის ფედერაციასთან იკრიბებიან, შემდეგ საბურთალოზე, სასტუმრო „მესაზღვრეს" მიაშურებენ, ცალ-ცალკე ნომრებში მოისვენებენ და ხუთ საათზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად ივარჯიშებენ. ზაზა ჯანაშიასა და კახა კალაძის გარდა ყველა ლეგიონერის ჩამოსვლას დღეისთვის ელიან. კალაძე ხვალ უკრაინელებთან ერთად ჩამოფრინდება, ჯანაშია კი ალბათ თელ ავივ — სტამბოლ — თბილისის რეისს ჩამოჰყვება. მოგეხსენებათ, ჯანაშიასა და მის „ლოკომოტივს" დღეს თასების თასის მეოთხედფინალური მატჩი აქვთ ხაიფის „მაკაბისთან".

სასიამოვნოა ისიც, რომ ამ დღეებში შეუძლოდ მყოფი ვლადიმერ გუცაევი გუნდს დღესვე შეუერთდება და ბიჭებს საუკრაინოდ თავად მოამზადებს.

კობა ინასარიძე



კიევის „დინამოს" თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ (მარჯვნივ) კვირას უკრაინის ჩემპიონატის მე-17 ტურში მარიუპოლის „მეტალურგთან" ითამაშა, გუშინ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალში მადრიდის „რეალთან", შაბათს კი საქართველოს ნაკრებთანაც ეცდება გატანასო, გვარწმუნებს უკრაინის ნაკრების თავკაცი იოჟეფ საბო. აღდგომა და ხვალეო, იქნებ მართლა იხილონ ბოლო ხანს ევროპაში ასე სახელგავარდნილი „შევა" ქართველმა გულშემატკივრებმა ზეგ ეროვნულ სტადიონზე.



საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი გიორგი ჩიხრაძე

# შორს ჩინეთის კედლიდან

## გიორგი ჩიხრაძე კარიერას საქართველოში გააგრძელებს

სოხუმის „ცხუმი", შეპეტოვკის „ტემპი", დონეცკის „შახტიორი", თბილისის „დინამო" — ეს ის კლუბებია, სადაც სხვადასხვა დროს საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი გიორგი ჩიხრაძე გამოდიოდა. მეტიც, ქართველ ფეხბურთელს შორეულ აღმოსავლეთში თამაშიც აქვს დაჭაშნიკებული — ცოტა ხნის წინ იგი ჩინეთის საფეხბურთო ლიგაში ირჯებოდა.

სიმართლე გითხრათ, ეს ფეხბურთელი პირადად „ცხუმში" თამაშით და ეროვნულ გუნდში გამოსვლით დამამახსოვრდა. უშიშარი, საიმედო მცველი — ასე ახასიათებდნენ ნაკრებში პარტნიორები ჩიხრაძეს. ეგ არის, გიორგი შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ თავის შესაძლებლობის გამოვლენას ბოლომდე ვერ ახერხებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, მის უცხოეთში გატარებულ პერიოდს უკავშირდება — „შახტიორში" მის მიერ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობას სოლიდურს ნამდვილად ვერ უწოდებ. ხან ჭირვეული მწვრთნელი, ხანაც გაუთავებელი ტრავმები, რასაც ბევრჯერ სასურველი ფორმის დაკარგვა მოსდევდა.

წლის დასაწყისში ლაპარაკი იყო ჩიხრაძის „შახტიორში" დაბრუნებაზე. თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. ცოტა ხნის წინ უფრო რეალურად მისი „დინამოში" გადასვლა ჩანდა, აქედანაც არაფერი გამოვიდა, თუმც ფეხბურთელი არ უარყოფდა, რომ საქართველოში თამაში სურდა. ორი დღის წინ შევიტყვეთ, რომ ვეტერანი მცველი სეზონს წყალტუბოს „სამგურალის" რიგებში ჩაამთავრებს. გაიოზ დარსაძემ, წყალტუბოელთა თავკაცმა, ჩიხრაძის თავის გუნდში გადაბირების სურვილი რეალობად აქცია და იმერლებიც ახალი შენაძენით საგრძნობლად გაძლიერებულნი შეხვდებიან კარს მომდგარ თასის ნახევარფინალურ შეხვედრებს.

პაატა ქვანტალიანი

# მიხეილ ფოცხვერია დნეპრშიც ქართველია

დროებით, მაგრამ ესეც საქმეა — „შახტიორის" ქართველი ფორვარდი მიხეილ ფოცხვერია დონეცკურ კლუბსა და მწვრთნელ იარემჩენკოს დაეხსნა.

ათვლა წუხელ დაიწყო. ფოცხვერია სამი თვით დნეპროპეტროვსკის „დნეპრში" ითამაშებს. ასე გადაწყვიტეს ფეხბურთელმა და კლუბის ხელმძღვანელობამ. იარემჩენკოს უთქვამს, მიშას განათხოვრება ჩვენთვის სტრატეგიულადაც ხელსაყრელია, ეგებ მისი დახმარებით დნეპრისპირელებმა ჩვენი უშუალო კონკურენტი კიევის „დინამო" დაამარცხონ და ქვეყნის ჩემპიონები გავხდეთო.

ფოცხვერიას „დნეპრის" შემადგენლობაში პირველად 21 მარტს უნდა ეთამაშა, მაგრამ ქვა აუგდია და თავი შეუშვერია, რაც გინდათ, ის გიქნიათ, მე საქართველოს ნაკრებში გამომიძახეს და თბილისს მივფრინავო. კლუბის უფროსობა ჩვენებურის სურვილს წინ არ აღუდგა და მიშაც თბილისში დღეს ჩამოფრინდება.

კობა ინასარიძე

# ესეც ხუთშაბათი!

დღეს გახდება ცნობილი, რომელი გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალში. როგორც იცით, ნახევარფინალში თამაშის პატივი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორ-ორმა გუნდმა მოიპოვა. „ლოკომოტივი", „არსენალი", „ტორპედო", „სამგურალი" — ამ გუნდებიდან ერთ-ერთი 26 მაისს თასის ახალი მფლობელის რანგში მოგვევლინება. მაისამდე ჯერაც შორსაა, თუმცა ნახევარფინალურ კენჭისყრის შედეგებზე უდავოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული (მიუხედავად იმისა, რომ მარტივი სამსვლიანი პროცესია). ჩვენის მხრივ კი იმედს ვიტოვებთ, რომ ყბადაღებული, გაყინული კაფსულებით მანევრირების დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს 12 საათზე, სპორტის დეპარტამენტში, ლოტოტრონთან!

პაატა ქვანტალიანი

მეო... ჯგუ...

## აღმოსავლეთი

### „ა" ქვეჯგუფი

XVI ტური

14 მარტი

**მრეტები 0:2 აკადემია**

0:1 ჯულელი (2), 0:2 დ. ბახტაძე (903)
გაფრთხილება: ვ. ძაგნიძე (მრეტები), ვ. კაკაშვილი (აკადემია)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**კახეთი 2:0 არსენალი 2**

1:0 ნუსხელიძე (39), 2:0 მედოევი (49)
გაფრთხილება: თ. მაისურაძე, კობაიძე, მედოევი (ყველა კახეთი), თ. გოგიჩაიშვილი (არსენალი 2)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ჭაბუკიანი 1:0 ყვარელი**

1:0 ომანიშვილი (23)
გაფრთხილება: გუნია (ჭაბუკიანი), სომხიშვილი (ყვარელი)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

**ხალიბი 0:0 ალგეთი**

გაფრთხილება: სოხაძე, ლ. კაპანაძე (ორივე ხალიბი), ტოროშელიძე, ნაცვლიშვილი, მურადაშვილი (ყველა ალგეთი)
გაძევება: ნაცვლიშვილი (68, ალგეთი)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**ქანაგკო 0:1 უნივერსიტეტი იბერია**

0:1 ოდიკაძე (9)
გაფრთხილება: გოგოჭური, ხუცურაული (ორივე ქანაგკო), ხორავა, ადეიშვილი, მგელაძე, ციხაძე (ყველა უნივერსიტეტი იბერია)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

15 მარტი

**ღარწყალი 1:0 ალაზანი**

1:0 წიკლაური
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**ზოოვეტი 1:1 დინამო 3**

0:1 სალარეშვილი (38), 1:1 ი. ნადირაძე (89)
გაფრთხილება: ბოსტოლანაშვილი (ზოოვეტი), სახურია, ჩივაძე (ორივე დინამო 3)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 15 | 13 | 1 | 1 | 38:5 | 40 |
| ღარწყალი | 15 | 11 | 4 | 0 | 32:11 | 37 |
| ყვარელი | 15 | 11 | 3 | 1 | 30:7 | 36 |
| ხალიბი | 15 | 9 | 1 | 5 | 28:15 | 28 |
| ჭაბუკიანი | 15 | 9 | 1 | 5 | 24:17 | 25 |
| არსენალი 2 | 15 | 7 | 2 | 6 | 23:16 | 23 |
| დინამო 3 | 15 | 7 | 2 | 6 | 18:22 | 23 |
| ალგეთი | 15 | 7 | 1 | 7 | 26:20 | 22 |
| ზოოვეტი | 15 | 6 | 4 | 5 | 29:25 | 22 |
| კახეთი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:24 | 21 |
| უნივერსიტეტი იბერია | 15 | 4 | 4 | 7 | 15:20 | 16 |
| სამგორი | 14 | 3 | 3 | 8 | 20:27 | 12 |
| მრეტები | 15 | 1 | 1 | 13 | 13:36 | 4 |
| ალაზანი | 15 | 1 | 0 | 14 | 11:50 | 3 |
| ქანაგკო | 15 | 1 | 2 | 12 | 10:42 | 2 |

*„ჭაბუკიანს" და „ქანაგკოს" დაკლებული აქვთ 3-3 ქულა.*

### „ბ" ქვეჯგუფი

XIV ტური

14 მარტი

**მესხეთი 1:1 ივერია**

0:1 გოგალაძე (39), 1:1 მერაბიშვილი (73)
გაფრთხილება: ბერძენიშვილი (მესხეთი), ხმალაძე, ჯობაძე, გოგალაძე (ყველა ივერია)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**საუ 3:3 ლოკომოტივი 2**

0:1 სადალაშვილი (9), 1:1 საბიაშვილი (25), 1:2 გ. ჯანელიძე (27), 2:2, 3:2 საბიაშვილი (57, 70), 3:3 გილაური (88)
გაფრთხილება: ელბაქიძე, დ. თალაკვაძე (ორივე საუ), მორჩილაძე, სადალაშვილი (ორივე ლოკომოტივი 2)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**განთიადი 3:0 დილა 2**

1:0 ფეიქრიშვილი (40), 2:0 მურადელი (47), 3:0 ფეიქრიშვილი (75)
გაფრთხილება: გაბიდაური, ნარუზაშვილი, მურადელი, შერმადინი (ყველა განთიადი), გოგშელიძე (დილა 2)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**დინამო 2 4:0 ვარძია**

1:0, 2:0 გივი კვარაცხელია (15, 34), 3:0, 4:0 გ. მიქაძე (59, 86)
გაფრთხილება: ლ. ბურდული, სულაქველიძე, გივი კვარაცხელია (ყველა დინამო 2), შ. თარხნიშვილი, ხითარიშვილი (ორივე ვარძია)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

**ჟინერი 0:3 ქარელი**

„ჟინერი" არ გამოცხადდა

15 მარტი

**თორი 0:2 ცხინვალი**

0:1 ნასუაშვილი (52), 0:2 ტილკავაშვილი (82)
გაფრთხილება: ხარაზიშვილი, გ. ციცქიშვილი, ქობესაშვილი (ყველა თორი), მარგიევი (ცხინვალი)
გაძევება: გ. ციცქიშვილი (70, თორი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ცხუმი 1:0 იბერია**

1:0 ბოჯგუა (65)
გაფრთხილება: გოგუა (ცხუმი), ტარუგიშვილი, ჭანტურია, არეშიძე (ყველა იბერია)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 14 | 12 | 0 | 2 | 38:12 | 36 |
| ცხინვალი | 14 | 11 | 1 | 2 | 40:10 | 31 |
| ქარელი | 14 | 10 | 1 | 3 | 28:9 | 31 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 9 | 2 | 3 | 41:20 | 29 |
| ივერია | 14 | 8 | 4 | 2 | 36:16 | 28 |
| განთიადი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:21 | 24 |
| ცხუმი | 14 | 6 | 2 | 6 | 28:21 | 20 |
| იბერია | 14 | 5 | 1 | 8 | 31:31 | 16 |
| საუ | 14 | 4 | 4 | 6 | 22:26 | 16 |
| მესხეთი | 14 | 4 | 4 | 6 | 23:29 | 16 |
| თორი | 14 | 4 | 1 | 9 | 17:25 | 13 |
| დილა 2 | 14 | 2 | 2 | 10 | 21:37 | 8 |
| ჟინერი | 14 | 1 | 2 | 11 | 18:76 | 5 |
| ვარძია | 14 | 0 | 4 | 10 | 9:43 | 4 |

*„ცხინვალს" დაკლებული აქვს 3 ქულა.*

# მხიარული, სასიამოვნო საღამო

UEFA CUP

## უეფას თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

**სელტა 0:0 მარსელი (1:2)**

**სელტა:** დუტრუელი, სალგადო, კასერესი, ჯოროვიჩი, ვალესი (ჰერვასი 73), მაკელელე, მაზინიო, კარპინი (სანჩესი 64), მოსტოვოი, რევივო, პენევი (გუდელი 62)

**მარსელი:** პორატო, გალასი, ბლანი, დომორო, ლუსინი, პირესი, ისა (და სილვა 80), ბრანდო, დუგარი (კამარა 87), ბრავო, მორისი (გუელი 77)

როგორც ჩანს, ვიგოს „სელტა" ჯერ არაა მზად ევროთასებისთვის საბრძოლველად. კი, კლუბი ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, მაგრამ შინაურ სარბიელზე პირველობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ევროპაში საუკეთესო ხარ.

ვიგოს „სელტა", რომელმაც უეფას თასის გათამაშებიდან ჯერ „ასტონ ვილა", ხოლო შემდეგ „ლივერპული" ჩამოიცილა, თავად გადგა გვერდზე — მასავით შინაური ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „მასელმა" ვიგოელთა თავდამსხმელები შებოჭა, შესაბამისად, ჩაუკლა კიდეც მასპინძლებს შემტევი სული და გაიმარჯვა.

უგოლო ფრემ სტუმარი მარსელელები სავსებით დააკმაყოფილა — ევროთასის მფლობელი პირველი ფრანგული კლუბი უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა.

— ჩვენ ვითამაშეთ ისე, როგორც ხელს გვაძლევდა. უკანახაზელების მოქმედებით კმაყოფილი ვარ. მთლიანობაში გუნდსაც არა უშავდა რა. მთავარი მაინც გამარჯვებაა. „მარსელი" ნახევარფინალში გავიდა! — სტუმართა მწვრთნელი როლან კურბისი თავის სიხარულს საჯაროდ არ გამოხატავდა, თუმცაღა, თქმა არ უნდა, მარსელელთა თავკაცი ესპანელთა ძლევის შემდეგ მოილხენდა.

ამ დროს „სელტას" მწვრთნელ ვიქტორ ფერნანდესს დანა პირს არ უხსნიდა. ერთადერთი, რაც ვიგოელთა მწვრთნელმა თქვა, ბედი არ გვწყალობდაო.

მასპინძლებს იღბალმა ერთადერთხელ აქცია ზურგი, ისიც ბოლო წამებზე, დანარჩენ დროს ესპანელები ამაოდ ცდილობდნენ „მარსელის" დაცვის გარღვევას. სტუმრებმა შესაბამისად ითამაშეს დაცვაში და განაპირობეს ის, რომ პორატომ კარი ბოლომდე დაიცვა.

ზემოთ ვთქვით, ვიგოელებს ბედმა ბოლო წუთებზე უმტყუნაო. მსაჯის მიერ დამატებულ დროში სტუმრებმა, ალბათ, ერთადერთი და ძალიან უხეში შეცდომა დაუშვეს დაცვაში, რის შემდეგაც ბურთმა „მარსელის" ცარიელი კარის წინ ჩაიარა. მასპინძელთათვის სამწუხაროდ, ვერც ერთმა ვიგოელმა ვერ წაჰკრა მას ფეხი, არადა, ძალიან ახლოს იყვნენ ბურთთან.

— სამწუხაროა, გათამაშებას რომ გამოვეთიშეთ. ალბათ, ჯერ არ დამდგარა ის დრო, როცა „სელტა" ევროპის საფეხბურთო მწვერვალს დაიპყრობს — განაცხადა ვიგოელთა ებრაელმა თავდამსხმელმა ჰაიმ რევივომ. სხვათა შორის, ისრაელის ნაკრების ფეხბურთელი სამშაბათის მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

რა გასაკვირია, რომ რევივო მოწყენილი საუბრობდა. მასავით თავდამსხმელი, ოღონდ „მარსელისა" — კრისტოფ დიუგარი კი ჟურნალისტთა კითხვებს მომღიმარი პასუხობდა: „წლეულს ორი მიზანი გვაქვს — საფრანგეთის ჩემპიონობა და უეფას თასი. 1996 წელს მე უეფას თასის ფინალში დავმარცხდი, ახლა კი ძალიან მინდა, გადამწყვეტი მატჩი მოვიგოთ". ამ თამაშის მხილველები, ალბათ, შეამჩნევდით, რომ მასპინძლები დიუგარის გამორჩეულად უხეშად ეთამაშებოდნენ, შესაბამისად, ისჯებოდნენ კიდეც.

გუშინწინდელი მატჩი უკვე წარსულია. წინ ნახევარფინალებია — ვიგოს მძლეველ „მარსელს" გაცილებით დაძაბული შეხვედრა ელის, ვიდრე მეოთხედფინალი იყო.

**ირაკლი ილაშვილი**



REUTERS ვიგოდან

სელტა — მარსელი 0:0. მასპინძელმა კამარამ (მარცხნივ) სულ 13 წუთი ითამაშა, სტუმარმა მაკელელემ — 90

**პარმა 6:0 ბორდო (1:2)**

1:0 კრესპო (37), 2:0 კიეზა (43), 3:0 ვერონი (48), 4:0 კიეზა (59), 5:0 კრესპო (66), 6:0 ბალბო (893)

**პარმა:** ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი (ასპრილია 81), ვანოლი, ვერონი, კრესპო (ფიორე 72), კიეზა (ბალბო 69)

**ბორდო:** რამე, ალიკარტე, საველიჩი, გრენე, მესტრი, მიკუ, პავონი, დიაბატი (მუსამპა 68), ბენარბია, ვილტორდი, ლასლანდი

ცოტა არ იყოს, ძნელია, ისაუბრო მატჩზე, რომელშიც ერთმა გუნდმა მეორეს 6:0 მოუგო. თანაც ეს არა საკვალიფიკაციო ეტაპზე, ანაც ოცდამეთორმეტედფინალში, არამედ მეოთხედფინალში მოხდა. და რაც ყველაზე გასაკვირია — ასე საქვეყნოდ იტალიის სერია A-ს პირველობისთვის მებრძოლმა კლუბმა საფრანგეთის, მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნის, ჩემპიონატის ლიდერი შეარცხვინა. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ სერია A-ს პირველობის დარი ძლიერი ტურნირი დღესდღეობით ევროპაში არ ტარდება.

„პარმამ" ორი კვირის წინ მსოფლიო მელვინეობის მექაში „ბორდოსთან" 1:2 წააგო და შინ ფრანგებს მეტად აგრესიულად დაუხვდა, ძალიან გაბრაზებული. ხოლო როდესაც ტურამი, კანავარო, ვერონი, დინო ბაჯო, კრესპო და ძმანი მათნი გაბრაზებულები არიან, რბილად რომ ვთქვათ, ფრთხილად უნდა იყო. ბორდოელები ფრთხილობდნენ კიდეც, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — ფრანგებს, უბრალოდ, კლასი და შემართება არ ეყოთ ერთგვარი პლანეტის ნაკრებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. მათ ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნეს ბუფონის კართან — სილვენ ვილტორდმა საჯარიმოდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ რუსთავში ნამყოფი და ქართველ ყმაწვილთაგან გაწბილებული მეკარე ბურთს ადგილზე დაუხვდა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მოედანზე მხოლოდ ყვითელფორმიანი ფეხბურთელები დაჰქროდნენ.

პარმელთა მიერ გატანილი 6 გოლიდან 4 არგენტინელების ანგარიშზეა — ერნან კრესპომ დუბლი შეასრულა, ხუან ვერონმა და ბებერმა აბელ ბალბომ კი თითო-თითო შეაგდეს. ამ უკანასკნელმა მეტად კურიოზული შემთხვევის შემდეგ დანიშნული პენალტიდან: მასპინძელთა მორიგი შტურმის დროს ფრანგთა საჯარიმოში ისეთი პანიკა შეიქმნა, რომ ერთ-ერთმა ბორდოელმა მცველმა თავისი დანიშნულება და ფეხბურთის წესები დაივიწყა და საკმაოდ ოსტატურად დაიჭირა ბურთი ხელით. სტუმართა საცოდაობაზე ისიც მეტყველებს, რომ მსაჯმა ამ დარღვევისთვის მცველს წითელი ბარათი არ ანახა.

— ასეთი მხიარული და სასიამოვნო საღამო აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის იყო. ძალიან გამაკვირვა „ბორდოს" ამგვარმა უსუსურმა თამაშმა. პირველ მატჩში ფრანგები უფრო მედგრად გვებრძოდნენ და დამსახურებულადაც მოგვიგეს. თუმცა ამ ლამაზ გამარჯვებაში „ბრალი" ყველაზე მეტად ჩვენ მიგვიძღვის — დღეს „პარმას" შემჩერებელი არავინ იყო — კრესპოს დარად დუბლის შემსრულებელი ენრიკო კიეზა, რაღა თქმა უნდა, ჩინებულ ხასიათზე ბრძანდებოდა.

კიეზას თქმის არ იყოს, „პარმას" შეჩერება დღითიდღე სულ უფრო ჭირს — ალბერტო მალესანის ბიჭები სერია A-ში გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად იბრძვიან, იტალიის თასის ფინალშიც გავიდნენ, სადაც „ფიორენტინასთან" უნდა გაარკვიონ ურთიერთობა და აგერ, უეფას თასის გათამაშებაშიც რიხიანად შეცვივდნენ ოთხ უძლიერეს გუნდს შორის.

**დავით ძოწენიძე**



REUTERS რომიდან

რომა — ატლეტიკო 1:2. რომაელი დი ბიაჯო (მარცხნივ) და მადრიდელი იუგოვიჩი

**რომა 1:2 ატლეტიკო (1:2)**

1:0 დელვეკიო (32), 1:1 აგილერა (59), 1:2 ფრესნედოსო (89)

**რომა:** კიმენტი, ვომე, ალდაირი, ძაგო, კაფუ, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო (ფაბიო ჟუნიორი 78), ალენიჩევი, პაულო სერჟიო (კანდელა 35, ტომაზი 78), ტოტი, დელვეკიო

**ატლეტიკო:** მოლინა, შამოტი (გონსალესი 65), სანტი, ტონი, აგილერა, სერენა, იუგოვიჩი, მენა (ფრესნედოსო 57), ბარახა (ნიეგუსი 57), ხოსე მარი, ჟუნინიო

**გაძევება:** ვომე (28), ტოტი (90)

ფიქრობდნენ, რომ „ატლეტიკო" დამარცხდებოდა. ვერ გამოიცნეს.

ფიქრობდნენ, რომ „რომა" მეტოქეს გაანადგურებდა. ვერ გამოიცნეს.

ფიქრობდნენ, რომ იტალიელები ესპანელებს გაანადგურებდნენ. ცხადია, ვერ გამოიცნეს.

არავის უფიქრია, რომ სავსებით შესაძლებელი იყო, „ატლეტიკოს" მოეგო.

არავის უფიქრია, რომ „რომა" შინ წააგებდა.

არავის უფიქრია, რომ „ატლეტიკო" „რომას" აჯობებდა.

...რობერტო ფრესნედოსო შეცვლაზე შევიდა, შეხვედრის დასრულებამდე წუთით ადრე კი გადამწყვეტი გოლიც გაიტანა — 1:2 და „ატლეტიკომ" ნახევარფინალში გააღწია.

ამას, ალბათ, ძალიან, ძალიან ცოტა თუ ელოდა.

„ატლეტიკოს" ბოლო ხანებში ძალიან უჭირს — ქვეყნის ჩემპიონატში თამაშს თამაშზე აგებს.

„რომას" ძალიან არ ულხინს, მაგრამ მეტოქესთან შედარებით...

ფავორიტად „რომა" ითვლებოდა.

ფავორიტი დამარცხდა.

ასეთი რამ ადრეც მომხდარა და კიდევ ერთხელ მოხდა.

ნახევარფინალში „რომა" რომ გასულიყო, უეფას თასის ისტორიის მანძილზე იტალია პირველად იქნებოდა ნახევარფინალში სამი კლუბით წარდგენილი. ასე არ მოხდა და, ალბათ, ერთი მხრივ კარგიცაა.

...32-ე წუთზე მასპინძელთა საუკეთესო ბომბარდირმა მარკო დელვეკიომ ანგარიში გახსნა. თითქოს რომშიც იგივე უნდა დაწყებულიყო, რაც პარმაში, მაგრამ ნურას უკაცრავად...

ესპანელებმა შესანიშნავად ითამაშეს. აჯობეს მეტოქეს მეორე ნახევარში და ნახევარფინალშიც გააღწიეს.

— ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ხანდახან 99 პროცენტით გადაწყვეტილი საქმეც შეიძლება ჩაიშალოს. არ მესმის, რატომ ითვლებოდა „რომა" ფავორიტად. სხვა თუ არაფერი, პირველი შეხვედრა ჩვენ მოვიგეთ — ვლადიმირ იუგოვიჩი, სერია A-ში გამობრძმედილი ნახევარმცველი სიხარულს ვერ მალავდა.

ფავორიტად მაინც „რომა" ითვლებოდა. მიუხედავად მადრიდში „ესტადიო ვინსენტე კალდერონზე" წაგებული მატჩისა, გამარჯვებას მაინც იტალიელებს უწინასწარმეტყველებდნენ...

დღეს „ატლეტიკო" ნახევარფინალშია. დიდი შანსია, მეტოქე ამჯერადაც აპენინის ნახევარკუნძულიდან შეხვდეს.

**ქოტე ვაიტაძე**

**ლიონი 2:0 ბოლონია (0:3)**

1:0 კავეგლია (16), 2:0 ჟობი (39)

**ლიონი:** კუპე, კარტერონი (ბრაზატი 88), ლავილი, ფურნიე, დელმოტი, მალბრანკი (ლინარესი 65), ვიოლო (ბაკი 84), დორასო, კოკარდი, ჟობი, კავეგლია

**ბოლონია:** ანტონიოლი, რინალდი, ბია, მანგონე (პაგანინი 26), პარამატი, ბინოტო (ბოზელი 46), ინგესონი, მაროკი, ნერვო (კაპიოლი 46), სინიორი, ანდერსონი

**გაძევება:** ლავილი (86)

მეორე ფრანგულ-იტალიური დუელი ფრანგებმა გაცილებით ღირსეულად წარმართეს, თანაც, „ბორდოსგან" განსხვავებით, მათ პირველი მატჩი 0:3 ჰქონდათ წაგებული და თითქოს „ბოლონიას" ნახევარფინალში გასვლაც გადაწყვეტილი იყო. მაგრამ ისევე, როგორც შარშან, როდესაც ამავე ტურნირში „ლიონმა" უეფას თასის მომავალ მფლობელ „ინტერს" დააწყვიტა ნერვები, ამჯერადაც მასპინძლებმა ბლომად ადრენალინი გამოადინეს ბოლონიელებს.

პირველი ტაიმი 2:0 დასრულდა. ჯერ დორასო-მალბრანკ-კავეგლიას კომბინაციის შემდეგ გაიტანა ფრანგთა კაპიტანმა (კავეგლიამ), მალე კი პატრიკ კარტერონმა თავით ზუსტი პასი მიაწოდა კამერუნელ თავდამსხმელ ჟოზეფ-დეზირე ჟობს და ამ უკანასკნელმაც საკმაოდ ლამაზად, მახვილი კუთხიდან მოათავსა ბურთი ანტონიოლის კარის ბადეში.

„ბოლონიას" საფრთხის სუნი ეცა და მხოლოდ ამის მერე გამოცოცხლდა. მეორე ნახევარში იტალიელთა დაცვაში ორი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა (ბოზელი, კაპიოლი) და სტუმრებმა საკუთარ საჯარიმოში მდგომარეობა ასე თუ ისე გამოასწორეს. ჰოდა, როგორც მოგეხსენებათ, საუკეთესო თავდასხმა კარგი დაცვაა და „ბოლონიამაც" ნელ-ნელა მეტოქის სამფლობელოში გადაინაცვლა.

აპენინელთა გააქტიურებამ განსაკუთრებით ბოლო წუთებზე გამოიღო შედეგი. ჯერ ერთი — ფრანგები საკუთარ საჯარიმოს მიეჯაჭვნენ, მეორე — 86-ე წუთზე სტუმართა ვეტერან ნახევარმცველ ჯანკარლო მაროკისთან უხეშობისთვის „ლიონის" ცენტრალური მცველი ფლორენ ლავილი მსაჯმა წითელი ბარათით დაასაჩუქრა, მესამე — მატჩის მიწურულს „ბოლონიამ" ორი ხელსაყრელი მომენტი შექმნა სანუკვარი გოლის გასატანად. მიზანთან ახლოს შვედი კენეტ ანდერსონი და უბერებელი ჯუზეპე სინიორი იყვნენ, მაგრამ მხოლოდ ახლოს.

„ლიონმა" ვაჟკაცურად იომა და ცოტათი იღბალსაც რომ გაეღიმა, ევებ ნახევარფინალში საფრანგეთს ერთი კლუბი მაინც ჰყოლოდა.

— კარგად ვითამაშეთ, ჩვენს თავს ვაჯობეთ, მაგრამ კლასი არ გვეყო. სწორედ ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი „ლიონის" წარუმატებლობაში — ფრანგთა თავკაცი ბერნარ ლაკომბი დაღონებული იყო, მაგრამ ღირსეულად შეხვდა წაგებას.

„ბოლონიას" მცველი მიქელე პარამატი: „პირველ ტაიმში გაშვებულმა ორმა გოლმა ჩვენზე ისე იმოქმედა, თითქოს ცივი წყალი გადაგვასხესო. შესვენებამ დროულად მოგვისწრო, დავლაგდით და მეორე 45 წუთში მეტოქეს ისეთი ტემპი შევთავაზეთ, რომელსაც მან ვერ გაუძლო. რა თქმა უნდა, ნახევარფინალში გასვლამ ძალიან გამახარა".

**ნოდარ ძასრაძე**

# ხალხის ინტერესის დასაცავად

როგორც ირკვევა „მანჩესტერ იუნაიტედის“ კორპორაცია BSKyB-სთვის მიყიდვის საქმე იშლება. ბრიტანეთის მონოპოლიათა და შერწყმის კომისიამ გარიგებას ტაბუ დაადო.

„დეილი ტელეგრაფმა“ გამოაქვეყნა ვაჭრობისა და ინდუსტრიის დეპარტამენტთან დაახლოებული ხალხის ნაუბარი. თურმე ზემოხსენებულ კომისიას დაუდგენია, რომ BSKyB-მ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი და მდიდარი კლუბი რომ იყიდოს, ამით ხალხის ინტერესი შეიბღალება. არადა, მოგეხსენებათ, საუბარი არც მეტი, არც ნაკლები, 625 მილიონ გირვანქაზე იყო.

გაზეთის თანახმად კომისიას არ მოსწონებია ის გარემოება, რომ BSKyB ერთდროულად იქნება როგორც პრემიერლიგის ერთ-ერთი კლუბის მეპატრონე, ასევე ის ტელეკომპანია, რომელსაც ამავე პრემიერლიგის ყველა შეხვედრის ტრანსლაციის უფლება აქვს ნაყიდი. კომისიას ჩაუთვლია, რომ ასეთი რამ უსამართლობაა.

ახლა ყველაფერი ვაჭრობისა და ინდუსტრიის მინისტრზე, სტივენ ბაიერსზეა დამოკიდებული. მისტერ ბაიერსი აპრილის შუა რიცხვებამდე იფიქრებს და მერე იტყვის თავის საბოლოო სიტყვას, კომისიაა მართალი თუ BSKyB.

როდესაც ჟურნალისტებმა ვაჭრობისა და ინდუსტრიის დეპარტამენტს მიაკითხეს, იქაურმა პრესატაშემ ასე მიუგო:

„მონოპოლიათა და შერწყმის კომისიის საჯარო განცხადებებს ჩვენ კომენტარს ვერ გავუკეთებთ. კომისიამ მინისტრის სახელზე ოფიციალური განცხადება 12 მარტს შეიტანა. მისტერ ბაიერსი შეძლებისდაგვარად მალე იტყვის თავის პასუხს“.

BSKyB, რომლის მეპატრონეც ავსტრალიელი მილიარდელი რუპერტ მერდოკი გახლავთ, პრემიერლიგის თამაშების ტრანსლაციის უფლებას 2001 წლამდე ფლობს.

ბრიტანეთის კომერციული ტელესაქმიანობის მარეგულირებელმა კომისიამ მონოპოლიათა შერწყმის კომისიის დასკვნის პასუხად განაცხადა, პრემიერლიგის მატჩების ტრანსლაციათა უფლების ქონა და იმავდროულად კლუბის ფლობა რამდენად უსამართლო და სახიფათოა, გამოძიების შედეგად უნდა გაირკვესო.

BSKyB-ისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარიგების წინააღმდეგი გახლავან ბრიტანეთის სპორტის მინისტრი ტონი ბენქსი და ფეხბურთის ტასკფორსის თავმჯდომარე დევიდ მელორიც. ისინი შიშობენ, რომ ჯერ ერთი მცირებიუჯეტიანი კლუბები დაისჯებიან, მეორეც, ყველა წამყვან გუნდს ამიერიდან მდიდარი ტელეკომპანიები შეიძენენ.

# სტამბოლი ნაცნობი ქალაქია

REUTERS სტამბოლიდან



კარლ-ჰაინც ფელდკამპი სტამბოლში პირველ ვარჯიშს ატარებს

კარლ-ჰაინც ფელდკამპი, გერმანელი მწვრთნელი, თურქულ „ბეშიქთაშში“ ჯონ ტოშაკის საქმეს გააგრძელებს. ეს ცნობა სტამბოლელთა პრესატაშემ დაადასტურა.

„ფელდკამპი მუყაითი კაცია და სამშაბათ შუადღისას უკვე ჩაატარა პირველი ვარჯიში“ — განუცხადა პრესატაშე ქალბატონმა სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს.

ორშაბათ საღამოს ფელდკამპმა „ბეშიქთაშთან“ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

გერმანელი მწვრთნელისთვის სტამბოლი ნაცნობი ქალაქია. აქ იგი 1992-93 წლებში „გალათასარაის“ თავკაცად მუშაობდა.

რაც შეეხება უელსელ ჯონ ტოშაკს, მოგეხსენებათ იგი თებერვალში ესპანეთს გაემგზავრა, სადაც მადრიდის „რეალს“ ჩაუდგა სათავეში.

„ბეშიქთაში“ დღეისათვის თურქეთის პირველ დივიზიონში მესამე ადგილზეა. იგი ლიდერს, „გალათასარაის“, ხუთი ქულით ჩამორჩება.

# თუ სასწაული არ მოხდება, არაუშავს

ბერტი ფოგტსი, რომლის შემწეობითაც მიონხენგლადბახის „ბორუსია“ 70-იან წლებში ხუთჯერ გერმანიის ჩემპიონი, ორჯერ კი უეფას თასის მფლობელი გახდა, დარწმუნებულია, რომ მისი ყოფილი გუნდი წლეულს ბუნდესლიგიდან გავარდნას თავს ვერ დააღწევს.

„მიონხენგლადბახელებმა უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება რომ მოავხერხოთ, ძალიან გამიკვირდება“ — განუცხადა გერმანიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა „შპორტ ბილდს“.

სხვათაშორის, ფოგტსმა თებერვალში თავად დაიწყო მუშაობა „ბორუსიაში“. იგი დირექტორი გახდა.

„ისე, დანებება დაუშვებელია. ვინც ყურების ჩამოყრას აპირებს, ჯობია გვითხრას. დარჩენილ 12 შეხვედრაში უკლებლივ ყველამ ყველაფერი უნდა გაიღოს სასწაულის ჩასადენად“ — დასძინა დირექტორმა.

მიონხენგლადბახის „ბორუსია“, რომელიც დღეს ბუნდესლიგის ცხრილში ბოლო ადგილზეა, უძლიერესთა დივიზიონიდან არ გავარდნილა, იქ კი 1965 წლიდანაა.

„ბორუსიაზე“ საუბრისას ნაკრების მწვრთნელობიდან გასული წლის სექტემბერში გადამდგარმა ფოგტსმა თქვა, რომ გუნდი ბუნდესლიგიდან რომც გავარდეს, მაინც ექნება მომავალი. ამ სიტყვების განსამტკიცებლად დირექტორმა „კაიზერსლაუტერნის“ მაგალითი მოიტანა, რომელმაც მეორე ბუნდესლიგიდან ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისკენ დიდებული სვლა განახორციელა.

„არც მიონხენგლადბახია დიდი ქალაქი და არც კაიზერსლაუტერნი, მაგრამ ერთგან „ბეტცენბერგია“, მეორეგან კი „ბეკელბერგი“ — ფოგტსმა სტადიონები დაასახელა, რითაც გულშემატკივართა მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„ამ ორი გუნდის სტრუქტურა ერთნაირია, ასე, რომ თუ ბუნდესლიგიდან გავვარდებით, ჩვენც შეგვიძლია „კაიზერსლაუტერნის“ მსგავსად შევინარჩუნოთ გუნდი და ისე მოვახერხოთ, რომ ვინც ლიგა დასტოვა, სწორედ იმ ფეხბურთელებმა ჩაუყარონ საფუძველი მომავალ დიდებას“ — დააგვირგვინა ფოგტსმა.

სარბიელის არქივიდან



ბერტი ფოგტსი

## ფეხბურთის რუკასთან

ესპანეთის ნაკრებს „ბარსელონას“ ფეხბურთელი ლუის ენრიკე დააკლდება, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ესპანიოლთან“ შეხვედრის დასაწყისში მარჯვენა ფეხი იტკინა. გამოცდილი ნახევარმცველი იმ შეხვედრის მე-18 წუთზე შეიქნა შესაცვლელი, ექიმებმა კი ტრავმა დაუდგინეს. კარგად მოგეხსენებათ, რომ მარტის ბოლოს ესპანეთის ნაკრებს ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი ელის 27 მარტს ავსტრიასთან და ოთხი დღის შემდეგ სან მარინოსთან. ექიმების პირველადი დასკვნით, ლუის ენრიკე რამდენიმე კვირა იძულებით დაისვენებს.

**საფრანგეთის ნაკრებისა და „მონაკოს“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა დავიდ ტრეზეგემ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ახლა „მონაკოში“ 2004 წლამდე დარჩება. არგენტინის ქალაქ რუანში დაბადებული ბიჭის გადაბირება მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე იტალიურ „რომას“ უნდოდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა „მონაკოში“ დარჩენა ამჯობინა. კლუბის პრეზიდენტ ჟან-ლუი კამპორას თქმით, ახალი კონტრაქტის თანახმად დავიდ ტრეზეგეს ხელფასიც გაიზრდება. „ახლა მეც და გუნდიც მშვიდად ვიქნებით. ერთად შეხმატკბილებული ვიმუშავებთ ხელშეკრულების დასრულებამდე“ — განაცხადა 21 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ამ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ცნობისთვის: დავიდ ტრეზეგე „მონაკოში“ 1995 წლის ზაფხულში გადავიდა არგენტინული „პლატენსედან“.**

გერმანელმა მარიო ბასლერმა განაცხადა, რომ იგი მზადაა, ნაკრებში ითამაშოს, თუ ამას ქვეყნის პირველი გუნდის ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის. მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველს გერმანიის ნაკრებში დეკემბერში, ჰოლანდიელებთან ფრედ 1:1 დასრულებული შეხვედრის შემდეგ აღარ უთამაშია. „მზად ვარ ყოველთვის, თუ რიბეკი საჭიროდ ჩათვლის, გუნდს დავეხმარო“ — განაცხადა ფეხბურთელმა „ჰამბურგ აბენდბლატისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ბასლერმა ტრავმა ახლახანს მოიშუშა. ავადმყოფობის გამო კი ნაკრებში ორი ამხანაგური მატჩი გამოტოვა ამერიკასთან და კოლუმბიასთან.

**იაპონიის საფეხბურთო ლიგაში, ჯეი ლიგაში, პირველი ფრე დაფიქსირდა — „ჯეფ იუნსიტედსა“ და „ურავა რედ დაიმონდს“ შორის შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა, ეს კი ჯეი ლიგის არსებობის შვიდწლიანი ისტორიის მანძილზე პირველი შემთხვევაა. 1993 წელს დაარსებული ჯეი ლიგის ხელმძღვანელობა წესდების თანახმად ფრეებს კრძალავდა — შეხვედრის ფრედ დასრულების შემთხვევაში ინიშნებოდა პენალტების სერია, ანუ გამარჯვებული ყველა ვარიანტში ვლინდებოდა. მიმდინარე სეზონის წინ წესდების რამდენიმე პუნქტი შეიცვალა და ფრეზე ერთი ქულაც დაწესდა.**

შოტლანდიის ყველაზე ძლიერი კლუბის — „გლაზგო რეინჯერსის“ მფლობელი, მულტიმილიონერი დევიდ მიურეი შესაძლოა ინგლისის მეორე დივიზიონში დაქვეითებული „მანჩესტერ სიტის“ მფლობელი გახდეს. გაზეთ „სანდი მეილის“ ცნობით, მიურეი „მანჩესტერ სიტის“ აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას 32 მილიონ დოლარად აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ვალი თითქმის 20 მილიონი დოლარია. შეგახსენებთ, რომ მიურეი მძიმე მრეწველობის მაგნატი და ბრიტანეთის ერთ-ერთი მდიდარი კაცია. ცნობისთვის: დევიდ მიურეიმ „გლაზგო რეინჯერსი“ 1988 წელს შეისყიდა სულ რაღაც 10 მილიონ დოლარად, მისი ინვესტიციების წყალობით კი კლუბი შოტლანდიაში უძლიერესად იქცა. ახლა კლუბის ფასი დაახლოებით 300 მილიონი დოლარია.

**ბრაზილიის და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციებმა განაცხადეს, რომ ზაფხულში მათი გუნდები არ მიიღებენ მონაწილეობას პანამერიკული თამაშებში. ტურნირი ვინიპეგში გაიმართება 26 ივლისიდან 8 აგვისტომდე და სამხრეთ ამერიკის ორ უძლიერეს ნაკრებს მოისაკლისებს. პანამერიკული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელ მარიო ვასკეს თქმით, ბრაზილიის და არგენტინის ნაბიჯი მცდარია. თამაშებში საფეხბურთო შეჯიბრი მაინც გაიმართება და მასში 10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: მექსიკა, აშშ, იამაიკა, ტრინიდადი, კუბა, გვატემალა, ჰონდურასი, კანადა, სალვადორი და კოსტა რიკა.**

რუსეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ალბათ დააკლდება ალექსანდრ მოსტოვოი. ვიგოს „სელტას“ გამთამაშებელს საზარდულის ტრავმა სტანჯავს. 27 მარტს რუსეთი სომხეთს ეთამაშება, ოთხი დღის შემდეგ კი ანდორას. „ექიმებს უნდა გავესინჯო, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მდგომარეობა გაცილებით გამიუარესდეს. ტკივილებს ვგრძნობ და ვშიშობ, კარგა ხნით არ მომიწიოს დასვენება“ — განაცხადა მოსტოვოიმ. რუსეთის ნაკრების მწვრთნელ ოლეგ რომანცევის განცხადებით, თუ მის გუნდს მოსტოვოი დააკლდება, მას გასული წლის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი ეგორ ტიტოვი შეცვლის. შეგახსენებთ, რომ აქამდე ნათამაშები სამი შესარჩევი მატჩიდან, რუსეთის ნაკრებს ჯერ ქულაც არ მოუპოვებია.

**გერმანიის კიდევ ერთი კლუბი და დაინტერესდა პარიზული პსჟ-ში მოთამაშე კრისტიან ვიორნსით. აქამდე ფეხბურთელის გადაბირება მიუნხენის „ბაიერნს“ სურდა, მაგრამ მათ ვიორნსის თაობაზე პსჟ-სთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, დორტმუნდის „ბორუსია“ კი ფრანგთა პირობებს დათანხმდა. „ბორუსიას“ პრესატაშეს თქმით, პარიზულ კლუბთან გარკვეული პირობები შეთანხმებულია, მაგრამ ოფიციალურად არაფერია გადაწყვეტილი. ვიორნსი პსჟ-ში ლევერკუზენის „ბაიერიდან“ გადავიდა, თუმცა საფრანგეთში ცხოვრებას ვერ შეეგუა და უკან დაბრუნება სწადია. მას კლუბთან კონტრაქტი 2001 წელს ეწურება.**

შოტლანდიის პოპულარულმა კლუბმა „სელტიკმა“ განაცხადა, რომ გუნდს ახალი აღმასრულებელი დირექტორი ეყოლება — ბრიტანეთის ავიაკომპანიის მენეჯინგის დირექტორი აზიასა და აფრიკაში ალან მაკდონალდი. იგი „სელტიკში“ მუშაობას 1 ივლისიდან დაიწყებს, მანამდე კი თავის საქმეს გააგრძელებს. ალან მაკდონალდი ბავშვობიდან „სელტიკის“ ქომაგია. „სელტიკის“ პრესატაშემ ასევე განაცხადა, რომ ბიზნესმენმა ფრენკ ოკლაგენმა შესაძლოა კლუბის თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავოს, რადგან გუნდის აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი ფერგიუს მაკკენი კლუბიდან წასვლას აპირებს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## ინგლისი

### თასის მეოთხედფინალი

**ბარნსლი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 ჟინოლა (68)

ბარნსლი: ტ. ბალოკი, დე ზეუვი, მოზესი, მორგანი, იდენი, ტინკლერი, მაკკლეირი (ვან დერ ლაანი 67), ჯონსი, ბლექმორი (მ. ბალოკი 75), ჰინეტი, დაიერი (შერონი 82)

ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ვეგა, კემპბელი, ტარიკო, ფროინდი, ანდერტონი, შერვუდი, ჟინოლა (სინტონი 89), არმსტრონგი, ფერდინანდი (ივერსენი 81)

გაფრთხილება: კარი, მოზესი, ანდერტონი, ტინკლერი, მორგანი

მსაჯი: რიდი

„ტოტენჰემმა“ პირველი დივიზიონის „ბარნსლის“ გაჭირვებით მოუგო და ასოციაციის თასის ნახევარფინალში გავიდა, სადაც თემურ ქეცბაიას „ნიუკასლთან“ მოუწევს ბრძოლა. ამ მატჩში ერთადერთი ბურთი გავიდა, მაგრამ ძალიან ლამაზი — ლონდონელთა ფრანგმა ლეგიონერმა დავიდ ჟინოლამ „ბარნსლის“ ოთხი მცველი მოატყუა და შორიდან ძლიერად გაისროლა. ეს გოლი ძალიან ჰგავდა 1981 წელს ამავე თასის ფინალის გადათამაშებაში რიკი ვილას მიერ „მანჩესტერ სიტის“ კარში გატანილს. ჟინოლა „ტოტენჰემის“ თავკაცმა ჯორჯ გრემმაც შეაქო და თქვა, ასეთი საუცხოო გოლი იშვიათად მინახავსო.

**ნახევარფინალის კენჭისყრა.** ნიუკასლი — ტოტენჰემი. მანჩესტერი — ოლდ ტრეფორდი, მანჩესტერ იუნაიტედი — არსენალი, ბირმინგემი — ვილა პარკი.

*მატჩები კვირას, 11 აპრილს გაიმართება.*

REUTERS ბარნსლიდან



ტოტენჰემელი ლეს ფერდინანდი „ბარნსლის“ მცველთა მარწუხებში

### პირველი დივიზიონი

**ბერი 0:0 ვულვერჰემპტონი**

**კრიუ 0:0 გრიმსბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 37 | 24 | 10 | 3 | 71:22 | 82 |
| იფსვიჩი | 37 | 21 | 7 | 9 | 53:25 | 70 |
| ბრედფორდი | 36 | 20 | 7 | 9 | 63:36 | 67 |
| ბირმინგემი | 37 | 19 | 10 | 8 | 58:30 | 67 |
| ბოლტონი | 36 | 17 | 13 | 6 | 67:47 | 64 |
| ვულვზი | 36 | 15 | 11 | 10 | 50:35 | 56 |
| უოტფორდი | 37 | 14 | 12 | 11 | 51:50 | 54 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 15 | 8 | 14 | 61:58 | 53 |
| შეფილდ იუნ. | 36 | 14 | 11 | 11 | 57:54 | 53 |
| ჰადერსფილდი | 37 | 14 | 11 | 12 | 53:59 | 53 |
| გრიმსბი | 34 | 14 | 8 | 12 | 34:36 | 50 |
| ნორვიჩი | 36 | 12 | 12 | 12 | 50:51 | 48 |
| კრ. პალასი | 37 | 11 | 13 | 13 | 49:58 | 46 |
| ტრანმერი | 37 | 10 | 15 | 12 | 50:51 | 45 |
| სტოკპორტი | 37 | 10 | 14 | 13 | 43:47 | 44 |
| პორტსმუთი | 37 | 10 | 12 | 15 | 49:57 | 42 |
| ბარნსლი | 36 | 9 | 15 | 12 | 42:43 | 42 |
| სვინდონი | 37 | 10 | 10 | 17 | 51:63 | 40 |
| ქუინზ პარკი | 36 | 9 | 10 | 17 | 37:47 | 37 |
| პორტ ვეილი | 35 | 10 | 5 | 20 | 38:64 | 35 |
| ოქსფორდი | 37 | 8 | 11 | 18 | 36:59 | 35 |
| ბერი | 37 | 7 | 14 | 16 | 29:51 | 35 |
| კრიუ | 35 | 7 | 9 | 19 | 40:67 | 30 |
| ბრისტოლი | 35 | 5 | 14 | 16 | 43:65 | 29 |

# როცა ყველაფერი ცხადია

### თასების თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

Cup Winners' Cup

ევროშეჯიბრებათა დებიუტანტი, ესპანური „რეალ მალიორკა“, ორი კვირის წინ ხორვატიაში, „ვარტექსთან“ ნათამაშევი 0:0-ის შემდეგ ისტორიულ მწვერვალს კიდევ ერთი ნაბიჯით დღეს მიუახლოვდება — ის უდავო ფავორიტია. აი, რას ამბობს გუნდის არგენტინელი თავკაცი ეკტორ კუპერი:

„ჩემი გუნდი ისეთია, იოლად არაფრით დაკმაყოფილდება. ვიცით, რომ ამ სეზონში რაღაც განსაკუთრებულის მოპოვება ძალგვიძს. „ვარტექსის“ წინააღმდეგ, უეჭველად, მოსაგებად გავალთ მოედანზე. ჩვენ წინ, თასისკენ ვიყურებით“.

„მალიორკას“ მართლაც საგანგებო სეზონი უდგას, ესპანური პრიმერა დივიზიონის ცხრილში მეოთხე ადგილზეა და რაც ყველაზე საამაყოა, გზად მადრიდის „რეალსაც“ მოუგო და „ბარსელონასაც“. სამეფო თასზეც ჩინებულად თამაშობენ კუპერის ბიჭები, ისინი ნახევარფინალში არიან.

„ვარტექსი“ პალმა დე მალიორკაში ჩასვლის წინ, ეროვნულ პირველობაზე, აუტსაიდერ „მლადოსტს“ შეხვდა და 6:0 მოუგო, მაგრამ მისი დღევანდელი გამარჯვება ძალიან საეჭვოა.

და მაინც, „ვარტექსს“ ამ საღამოს მხოლოდ და მხოლოდ სენსაციური გამარჯვება სჭირდება, მისებრ გრანდების წინააღმდეგ მოთამაშე კიდევ სამი გუნდი კი, არც მეტი არც ნაკლები, სასწაულს ელის.

ლონდონის „ჩელსი“ ნორვეგიაში, ბოლოს, 1997 წელს იყო, როდესაც არქტიკულ ამინდში „ტრომსოს“ ეთამაშა. იმ დღეს „ტრომსომ“ 3:2 იძალა.

„ვალერენგა“, ლონდონელთა დღევანდელი მოწინაამღდეგე, ამ საღამოს ორი ფორვარდით აპირებს თამაშს. ტრადიციულად მას ერთი თავდამსხმელი, ჯონ კერიუ ჰყავს, რომელიც, როგორც ამბობენ, 7 მილიონ დოლარად იტალიურ „ბოლონიაში“ უნდა გადავიდეს.

რისი იმედი აქვთ ოსლოელებს? იქნებ იმის, რომ „ჩელსიმ“ ბოლო ორ შეხვედრაში შინ მარცხი იწვნია, „ვესტ ჰემთან“ პრემიერლიგის შეხვედრაში, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თასზე? თუმცა არაა გამორიცხული, რომ მათ ამინდისაც ეიმედება — გუშინ ნორვეგიის დედაქალაქში ძლიერ თოვდა, დღეისთვის კი წვიმა იყო გამოცხადებული.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსიმ“ „ვალერენგას“ ორი კვირის წინ 3:0 მოუგო.

ასეთივე უპირატესობა აქვს მოსკოვის „ლოკომოტივს“ ისრაელის „მაკაბისთან“ ქალაქ ჰაიფადან. რუსებს არ ეყოლებათ დაშავებული მცველი ანდრეი სოლომატინი, მაგრამ, ორი კვირის წინანდელი ჰეთ-თრიკის ავტორი ზაზა ჯანაშია მწყობრშია.

„ლაციოს“ „ჩელსიზე“ და „ლოკომოტივზე“ უკეთეს ქუდში აქვს თავი — პირველ შეხვედრაში სტუმრად, „პანიონიოსთან“ 4:0 მოიგო. როგორც ამბობენ, რომაელთა შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი დღეს თავისი გუნდის მთავარ ფორვარდებს, კრისტიან ვიერისა და მარსელო სალასს დაასვენებს.

„ჩვენ კი მაინც გულით ვითამაშებთ, ვინაიდან გამოცდილებას ვეშურებით და შედეგი არ გვაღელვებს“ — განაცხადა „პანიონიოსის“ ნახევარმცველმა გეორგე მიციუპულოსმა.

**პაპუნა კიდ[illegible]**



ჯანლუკა ვიალის და მის „ჩელსის“ დღეს ავდარი და სუსტი გუნდი ელის

# მოდი, მოდი, სანამ დროა

„სტად დე ფრანსი“, რომელსაც „პარი სენ ჟერმენმა“ უარი შეუთვალა, შენ ჩემს ბინად ვერ გაქცევო, ახლა აცხადებს, რომ მზადაა ლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე მდგომ პარიზულ კლუბს ჩემპიონატის დარჩენილი შეხვედრების ჩასატარებლად გული და კარი გაუღოს.

„მზად ვართ სეზონის ბოლო მონაკვეთზე „პარი სენ ჟერმენის“ მასპინძლად ვიქცეთ, რამეთუ ამ გუნდს პირველ დივიზიონში ადგილის შენარჩუნება აუცილებლად სჭირდება“ — თქვა გაეტან დესრულმა, „სტად დე ფრანსის“ მენეჯერმა, „ფრანს ფუტბოლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

დღეისთვის „პარი სენ ჟერმენი“ მე-12 ადგილზეა და მხოლოდ ხუთი ქულით ჯობს სახიფათო ზონაში მყოფთ. სეზონის დამთავრებამდე სულ რვა თამაშია, კლუბში კი არეულობაა — ახლახან მოხსნეს პორტუგალიელი მწვრთნელი არტურ ჟორჟე და მის ნაცვლად დანიშნეს ფილიპ ბერჟერო, კაცი, რომელიც გასულ სეზონში მესამე მწვრთნელი იყო.

მენეჯერმა დესრულმა განაცხადა, რომ „პარი სენ ჟერმენს“ დარჩენილ შეხვედრებში დიდი მხარდაჭერა სჭირდება, მით უფრო, რომ წინაა ორი დიდი მატჩი მარსელის „ოლიმპიკთან“ და „ბორდოსთან“. ეს თამაშები მაისში გაიმართება.

მოგეხსენებათ, „სტად დე ფრანსი“, სადაც 1998 წლის 12 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გაიმართა, 80 ათას მაყურებელს იტევს, ხოლო „პარი სენ ჟერმენის“ მუდმივი ბინა „პარკ დე პრენსი“ 48500 ადამიანზეა გათვლილი.

დესრული იმედოვნებს, რომ პარიზული კლუბი დიდი სტადიონის შეთავაზებაზე უარს არ იტყვის და საერთოდაც გადახედავს თავის დამოკიდებულებას „პარკ დე პრენსისადმი“.

წინა კვირაში კი „სტად დე ფრანსზე“ ერთობ უცნაური და დესრულისთვის გასახარი ამბავი მოხდა. პარიზულმა კლუბმა „რედ სტარმა“, რაც ქართულად წითელ ვარსკვლავს ნიშნავს, „სენტ ეტიენთან“ შეხვედრაზე 45 ათასი გულშემატკივარი შეჰყარა. ზოგადად ამ გუნდის თამაშებზე 5 ათასი კაცი თუ დაიარება, მაგრამ, აგერ, ზედა ლიგაში ასვლისთვის მებრძოლ კონკურენტთან მატჩმა რამხელა ინტერესი გამოიწვია.

„თან „პარი სენ ჟერმენს“ „სტად დე ფრანსზე“ თამაში არასდროს წაუგია“ — თქვა მენეჯერმა.

მართლაც, „პარი სენ ჟერმენმა“ ამ სარბიელზე, გასულ სეზონში, როგორც საფრანგეთის თასის, ასევე ლიგის თასის ფინალებში გაიმარჯვა.

## ლიბერტადორესის თასი

### I ჯგუფი

**ესტუდიანტესი (არგენტინა) 3:1 ნასიონალი (ურუგვაი)**

0:1 და კოსტა (7), 1:1 ვალენილა (12), 2:1 მორანი (57), 3:1 ვერა (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტუდიანტესი (არგენტინა) | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| ნასიონალი (ურუგვაი) | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| მონტერეი (მექსიკა) | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ბელავისტა (ურუგვაი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

### II ჯგუფი

**დეპორტივო კალი (კოლუმბია) 1:0 ველეს სარსფილდი (არგენტინა)**

1:0 ლოსანო (29)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო კალი (კოლუმბია) | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| კალდასი (კოლუმბია) | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

### III ჯგუფი

**პალმეირასი (ბრაზილია) 1:1 ოლიმპია (პარაგვაი)**

0:1 კონტრერასი (19), 1:1 ჟორჟე მანუელი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალმეირასი (ბრაზილია) | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ოლიმპია (პარაგვაი) | 3 | 1 | 1 | 1 | 8:7 | 4 |
| კორინთიანსი (ბრაზილია) | 2 | 1 | 0 | 1 | 8:3 | 3 |
| სერო პორტენო (პარაგვაი) | 3 | 1 | 0 | 2 | 8:16 | 3 |

### IV ჯგუფი

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 1:1 კოლო კოლო (ჩილე)**

1:0 მადეირა (48), 1:1 ხაიმე (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტარიო (პერუ) | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |

### V ჯგუფი

**ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 1:0 ბლუმინგი (ბოლივია)**

1:0 კონტრერასი (33)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიგა დე კიტო (ეკვადორი) | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ემელეკი (ეკვადორი) | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| ბლუმინგი (ბოლივია) | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ვილსტერმანი (ბოლივია) | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

*შენიშვნა: შემდეგ ეტაპზე ჯგუფებიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. ლიბერტადორესის თასის ბოლო მფლობელი ბრაზილიის „ვასკო და გამა“ მეორე ეტაპზე პირდაპირაა დაშვებული.*

## გერმანია

### გადადებული მატჩი

**ბოხუმი 2:0 ჰამბურგი**

1:0 ფიშერი (21ს.კ.), 2:0 მაპდავიკია (80)

ბოხუმი: ტ. ერნსტი, ფარენჰორსტი, რაისი, ვალდოხი, ცაიერი, შინდცილორცი, ბასტურკი, ჰოფმანი, ბუკლი (ტოპლაკი 86), იონი (შრაიბერი 75), დრინჩიჩი (მაპდავიკია 66)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, გრავესენი, ფიშერი, ჰოოგმა, გროთი, კურტიანუ (დოლი 46), იეპსენი, ფ. ერნსტი, ჰოლერბახი (ილმაზი 78), იებოა, დემბინსკი (გრუბაჩი 71)

გაფრთხილება: ბასტურკი, ბუკლი, იონი, ფ. ენრსტი, კურტიანუ, ჰოლერბახი, დოლი

მსაჯი: დარდენე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 18 | 2 | 2 | 54:13 | 56 |
| ლაუტერნი | 22 | 12 | 6 | 4 | 35:30 | 42 |
| ლევერკუზენი | 22 | 11 | 8 | 3 | 43:20 | 41 |
| მიუნხენ 1860 | 22 | 10 | 7 | 5 | 37:28 | 39 |
| დორტმუნდი | 22 | 11 | 5 | 6 | 33:21 | 38 |
| ვოლფსბურგი | 22 | 9 | 8 | 5 | 40:30 | 35 |
| ჰერტა | 22 | 10 | 5 | 7 | 31:21 | 35 |
| შტუტგარტი | 22 | 7 | 8 | 7 | 29:28 | 29 |
| ფრაიბურგი | 22 | 6 | 9 | 7 | 25:26 | 27 |
| დუისბურგი | 22 | 6 | 8 | 8 | 26:33 | 26 |
| ვერდერი | 22 | 6 | 7 | 9 | 29:30 | 25 |
| ჰამბურგი | 22 | 6 | 7 | 9 | 24:31 | 25 |
| ბოხუმი | 22 | 6 | 6 | 10 | 27:37 | 24 |
| შალკე 04 | 22 | 5 | 8 | 9 | 23:36 | 23 |
| აინტრახტი | 22 | 4 | 7 | 11 | 23:36 | 19 |
| ნიურნბერგი | 22 | 3 | 10 | 9 | 24:39 | 19 |
| ჰანზა | 22 | 3 | 8 | 11 | 28:46 | 17 |
| გლადბახი | 22 | 3 | 5 | 14 | 22:48 | 14 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

თასების თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

18 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვალერენგა — ჩელსი | (15,0-1,01) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ლაციო — პანიონიოსი | (—-50-0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| მალიორკა — ვარტექსი | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| მაკაბი — ლოკომოტივი | (5,0-1,1) | 2,1 | 2,9 | 3,2 |

ჰოლანდიის ჩემპიონატი.

18 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| როდა — ტილბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

ჰოკეი. NHL

18 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონრეალი — ნეშვილი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| სტ. ლუისი — ფინიქსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კოლორადო — კაროლინა | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

კალათბურთი. NBA

18 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვაშინგტონი — იუტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| ნიუ იორკი — ორლანდო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| კლივლენდი — ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,35 |
| ჩიკაგო — ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| მილუოკი — ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ვანკუვერი — მინესოტა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| საკრამენტო — პორტლენდი | 2,3 | 12,0 | 1,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



თასების მფლობელთა თასი

III გათამაშება 1962-63 წლები

ტოტენჰემ ჰოტსპური

ლონდონი, ინგლისი

სოლომონ ქულიაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

# სფურზი მწყობრად მიდის წინ!

## ინგლისელების პირველი ევროთასი

***Glory! Glory! Hallelujah!***
დიდება! დიდება! ალილუია!
***Glory! Glory! Hallelujah!***
დიდება! დიდება! ალილუია!
***And the spurs go marching on!***
სფურზი მწყობრად მიდის წინ!

„ტოტენჰემის“ ძველი სიმღერის ეს სიტყვები გაისმოდა 15 მაისის საღამოს ჯერ როტერდამის სტადიონზე, შემდეგ ქუჩებში. „სფურზის“ („ტოტენჰემის“ მეტსახელია და ქართულად „დეზებს“ ნიშნავს) ფანები უსაზღვროდ ბედნიერნი იყვნენ. მათმა ბიჭებმა ფინალში ჩინებული საფეხბურთო სპექტაკლი აჩუქეს მაყურებელს, 5:1 გაანადგურეს წინა წლის გამარჯვებული მადრიდის „ატლეტიკო“ და ინგლისური კლუბებიდან პირველებმა მოიპოვეს ევროთასი.

პირველი მსოფლიო ომის გასრულებიდან სამი თვის შემდეგ იორკშირში დაბადებულმა ბილ ნიკოლსონმა 60-იანი წლების დასაწყისში ლონდონში უძლეველი გუნდი შეიქმნა. მისი მთავარმწვრთნელობით „სფურზმა“ 1961-ში ინგლისის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც. მეოცე საუკუნის ინგლისურ ფეხბურთში ეს პირველი დუბლი იყო და ამ გუნდს (Double Winning Team) დღესაც დიდი მოწიწებით იხსენებენ. მომდევნო წელს „ტოტენჰემმა“ კვლავ აიღო ქვეყნის თასი და მერე ამას თასების თასიც მიაყოლა.

იმდროინდელ გუნდში რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელიც თამაშობდა. შესანიშნავ ფორმაში იყო შემტევი ჯიმი გრივსი. იმ სეზონში ინგლისის ჩემპიონატში ყველაზე მეტი — 37 გოლი გაიტანა. ეს მაჩვენებელი დღესაც კლუბის რეკორდად რჩება. თასების თასზე კი 6 ბურთი მიითვალა და ბულგარელ ასპარუხოვთან ერთად ტურნირის საუკეთესო მეგოლეც გახდა. გრივსს „სფურზის“ მეორე რეკორდიც ეკუთვნის — კარიერის განმავლობაში 220 გოლი. ამდენი „ტოტენჰემის“ მოთამაშეებიდან არასოდეს არავის გაუტანია. 1966 წელს კი გრივსმა უმაღლესი ტიტული მოიგო, ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

მეორე გამორჩეული ფიგურა მარჯვენა ნახევარმცველი, ჩრდილოირლანდიელი დენი ბლენჩფლაუერი გახლდათ. „ტოტენჰემისა“ და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების კაპიტანი 1954 წელს გადმოიყვანეს „ასტონ ვილადან“ და მაშინდელი დროისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა — 30 ათასი ფუნტი გადაიხადეს. „სფურზის“ ხერხემალმა როტერდამული ტრიუმფიდან ექვს თვეში მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და კარიერა დაამთავრა. მერე ჟურნალისტად მუშაობდა. 1993 წლის 9 დეკემბერს კი 67 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა. როგორც ინგლისელი მიმომხილველები წერენ, თასების თასის მომგები გუნდიდან ბლენჩფლაუერმა პირველმა დაასრულა კარიერაც და სიცოცხლეც.

ტურნირის პირველი და უძნელესი გამოცდა „ტოტენჰემმა“ მერვედფინალში ჩააბარა, როცა გლაზგოს „რეინჯერსის“ ძლიერი გუნდი დაამარცხა. პირველ მატჩში ლონდონელებმა რეინჯერებს ხუთი ბურთი გაუტანეს ორის წინააღმდეგ. ჯერ უაიტმა, გრივსმა, ალენმა და ნორმანმა გამოიჩინეს თავი, მერე ამას გლაზგოელი შირერის ავტოგოლიც მოჰყვა. სქოთების, ბრენდისა და მილერის გოლებს ბევრი არაფერი შეუცვლია. განმეორებითი თამაში უფრო დაძაბული გამოდგა. სმიტის ორ ბურთს ერთი გრივსმაც მიაყოლა და „სფურზმა“ 3:2 იმარჯვა. „ტოტენჰემმა“ ყველას დაანახა, რომ სერიოზული მიზნებისთვის საბრძოლველად იყო განწყობილი.

ფინალამდე მისი მეტოქე მადრიდის „ატლეტიკოც“ ღირსეულად მივიდა. მეოთხედფინალში ესპანელებმა ბულგარეთის თასის მფლობელი, პლოვდივის „ბოტევი“ გაანადგურეს. ის „ბოტევი“, სამი წლის წინათ უეფას თასიდან თბილისის „დინამო“ რომ გამოაგდო. მაშინ „ბოტევი“ საკმაოდ კარგი გუნდი იყო. წინა ხაზის ლიდერმა გეორგი ასპარუხოვმა პირველ ორ რაუნდში 6 ბურთი გაიტანა და გრივსთან ერთად ტურნირში ყველაზე მეტი გოლი დაუგროვდა. „ბოტევში“ თამაშობდა ბულგარული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი დინკო დერმენჯიევი. სწორედ ის დერმენჯიევი, ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევ ციკლში ბულგარელთა ახალგაზრდულ ნაკრებს რომ თავკაცობდა და ქართველებს ორჯერ მოუგო. ბულგარელთა შეკრულ გუნდს ესპანელებმა შავი დღე აყარეს. ნახევარფინალში კი 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, მაქს მორლოკისა და კომპანიის სოლიდური „ნიურნბერგი“ იმსხვერპლეს.

ფინალური მატჩის წინ ევროპულ პრესაში პოლემიკა გაიმართა. რა მოხდებოდა? ისევ სამხრეთელები იმარჯვებდნენ (წინა ტურნირები იტალიელებმა და ესპანელებმა მოიგეს) თუ, ბოლოს და ბოლოს, ბრიტანელებს გაუღიმებდათ ბედი. სპეციალისტთა უმეტესობის სიმპათიები მაინც ინგლისელებისკენ იხრებოდა და აი, რატომ. 1963 წლისთვის ინგლისელებს არც ერთი ევროთასი არ ჰქონდათ მოპოვებული, ფეხბურთის დამაარსებლებისთვის კი ეს კატასტროფის ტოლფასი გახლდათ. მეორეც, იმ პერიოდში იტალიურ და ესპანურ კლუბებში მრავალი უცხოელი მოთამაშე გამოჩნდა, ბრიტანელები და გერმანელები კი ისევ საკუთარი ფეხბურთელების ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას. მაშინდელ ევროპაში ეს დიდად ფასობდა და „ტოტენჰემისადმი“ თანაგრძნობაც გასაკვირი აღარ იყო.

ფინალში ინგლისელებმა ყველაფერში დაჯაბნეს მოწინააღმდეგე. გრივსისა და უაიტის სისწრაფეს ესპანელები ვერაფერს უხერხებდნენ. მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმის დასაწყისში მიეცათ მადრიდელებს იმედი, როცა კოლარმა შეაგდო და ანგარიში 1:2 გახადა, მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა. ორჯერ დაისონმა და გრივსმა 85-ე წუთისთვის ყოველგვარი ეჭვი გაფანტეს და „ატლეტიკო“ შინ შერცხვენილი გაუშვეს. ხუთი ბურთი არც მანამდე და არც შემდეგ თასთა თასის ფინალში აღარავის გაუტანია.

იმ წელს ტოტენჰემელთა შედეგიანობა მართლაც გასაკვირი იყო. ევროტურნირში მათ 24 ბურთი გაიტანეს (პროცენტულად, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თასების თასის ისტორიაში), ხოლო ინგლისის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს და ყველაზე მეტი — 110 გოლი შეაგდეს. ეს მაშინ, როცა ჩემპიონ „ევერტონს“ 84 ჰქონდა გატანილი, მესამეადგილოსან „ლესტერს“ კი მხოლოდ 76.

დღემდე სამივე ევროტურნირზე ინგლისელებს 22 თასი აქვთ მოგებული. მაგრამ „ტოტენჰემი“ პირველი იყო და ამიტომ მისი გამარჯვება განსაკუთრებით ფასობს.



ტოტენჰემი 1963 წელს. დგანან: ჯონსი, ჰენრი, ჰოპკინსი, ნორმანი, ჰოლოუბრედი, ბრაუნი, ბ. სმითი, უაიტი, გრივსი და ჯ. სმითი.
სხედან: სოლი, ბეიკერი, მკაი, ბლენიფლაუერი, მარჩი, ალენი, დაისონი და კლეიტონი.



ნახევარფინალი. ნიურნბერგი-ატლეტიკო 2:1.
გერმანელი დახლაუერის (ცენტრში) დარტყმულს მადრიდელთა მეკარე მადინაბეიტია იგერიებს

...ოსპორტის ჩინოსნებმა „არაკეთილსინდისიერ“ სპორტსმენებსა და ...ათ დამქაშებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და აღარავის ინდობენ.

ასე დაემართა ორი დღის წინ გერმანელ ველომრბოლ კარსტენ ვოლფსაც, რომელიც ექვსი თვით მოკვეთა სპორტიდან თავისი ქვეყნის ფედერაციამ.

ვოლფს აკრძალული პრეპარატი შარშან ოქტომბერში მიუღია. მაშინ იგი საფრანგეთში, „გრენობლის ექვს დღეში“ მონაწილეობდა. გარდა დისკვალიფიკაციისა, გერმანელს 2000 შვეიცარიული ფრანკის გადახდაც დააკისრეს



კარსტენ ვოლფი

უწევს კონკურენციას ისეთ ტურნირებს, როგორებიცაა „ტურ დე ფრანსი“ ანდა „ჯირო დ იტალია“, თუმცა იგი მაინც ველოსპორტის მოყვარულებისა და მიმდევრების საკმაო ინტერესს იწვევს.

მსოფლიოს თასის ეგიდით სულ 10 ეტაპი გაიმართება და თითოეულ მათგანში 25 რეაკციანი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ამ 25 გუნდიდან 22 უკვე გარკვეულია, ისინი მსოფლიო კლასიფიკაციის მოწინავენი არიან, ბოლო სამი კი ყოველ ეტაპზე შეიძლება შეიცვალოს.

ქულების დარიცხვის სისტემა შემდეგნაირია: გამარჯვებულს 100 ქულა ერგება, მომდევნოებს კი — 70, 50, 40, 36, 28, 24, 20, 16, 15 14, 13... სულ ოცდახუთი სპორტსმენი მიიღებს ქულას. საბოლოო სატურნირო ცხრილში რომ ფიგურირებდეს, მრბოლმა სულ ცოტა, ექვს ეტაპში მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ფლანდრი“ (ბელგია, 04.04); 3. პარიზი — რუბე (საფრანგეთი, 11.04); 4. ლიეჟი — ბასტონი — ლიეჟი (ბელგია, 18.04); 5. „ამსტელ გოლდ რეისი“ (ჰოლანდია, 24.04); 6. „კლასიკა სან სებასტიან“ (ესპანეთი, 07.08); 7. „ჰამბურგის თასი“ (გერმანია, 15.08); 8. „ციურიხის ჩემპიონატი“ (შვეიცარია, 22.08); 9. პარიზი — ტური (საფრანგეთი, 03.10); 10. „ტურ დე ლომბარდი“ (იტალია, 16.10)

გუნდები: „ტელეკომი“ (გერმანია), „ლოტო“ (ბელგია), „ბანესტო“, „კელმე“ „ONCE“ და „ვიტალისიო“ (ესპანეთი), „პოსტალი“ (აშშ), „კაზინო“, „კოფიდისი“, „კრედი აგრიკოლი“, „ფესტინა“ და „ლა ფრანსეზ დე ჟეო“ (საფრანგეთი), „კანტინა ტოლო“, „ლამპრე“, „მაპეი“, „მერკატონე უნო“, „პოლტი“, „საეკო“, „ვინავილი“ და „ვინი კალდიროლა“ (იტალია), „რაბობანკი“ და „TVM“ (ჰოლანდია)

**გაიოზ თალაქვაძე**

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში



# სერგო კუტივაძე

საბჭოთა კავშირის ნაკრების სახეს წლების მანძილზე მოსკოვის კლუბების, კიევისა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები განსაზღვრავდნენ. მართლაც გამორჩეული, ჩემპიონი ლიდერი უნდა ყოფილიყო სხვა კლუბის ფეხბურთელი, რომ ამ სახელგანთქმული კლუბების მოთამაშეებთან ერთად საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრილიყო. იმ ქართველ ფეხბურთელებს შორის, რომელთაც საბჭოთა კავშირის ნაკრებში უთამაშიათ, მხოლოდ ორი არ წარმოადგენდა თბილისის „დინამოს" (სლავა მეტრეველი და ანზორ კავაზაშვილი არა გვყავს მხედველობაში, ისინი ნაკრებში მოსკოვის კლუბებიდან მოხვდნენ) — რამაზ ურუშაძე და სერგო კუტივაძე.

1962 წელი ქართული ფეხბურთისთვის ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ უმაღლეს ლიგაში თბილისის „დინამოს" გარდა პირველად ითამაშა არათბილისურმა ქართულმა კლუბმა — ის კლუბი იყო ქუთაისის „ტორპედო".

ქუთაისელთა გუნდში ბევრი კარგი ფეხბურთელი ასპარეზობდა, რომელთაც შემდეგ სეზონში ახალგაზრდა ნიჭიერი ნახევარმცველი სერგო კუტივაძეც შეემატა. იგი ძალიან მალე იქცა გუნდის ერთ-ერთ ლიდერად.

— „ქუთაისის „ტორპედოში" ისე მოვხვდი, საფეხბურთო სკოლაში არც მივლია. ავტოქარხნის სტადიონზე ვთამაშობდით ბიჭები, საიდანაც ცნობილმა მწვრთნელმა კარლო ხურციძემ რამდენიმე კაცი თავის გუნდში აგვიყვანა. რაკი 1961 წელს ქუთაისელებმა უმაღლეს ლიგის საგზური მოიპოვეს, აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ დუბლ-შემადგენლობა და მე იქ მოვხვდი, 1963 წლიდან კი უკვე ძირითადშიც" გაიხსენა კუტივაძემ.

უკვე ვთქვით, რომ სერგო კუტივაძე მალე გახდა გუნდის ლიდერი, საყურადღებო კი მაშინ გახდა, როცა ქუთაისელებმა შესანიშნავად ითამაშეს ორი უძლიერესი მატჩი სტუმრად მოსკოვის ცსკა-სთან და „ლოკომოტივთან". ქუთაისელებმა ორივე შეხვედრა 1:0 მოიგეს და ორივე მატჩში ეს გადამწყვეტი გოლები სერგო კუტივაძემ გაიტანა.

ტექნიკური, ჭკვიანი მოთამაშით, რომელსაც შესანიშნავი დარტყმა ჰქონდა, უმალ დაინტერესდნენ სპეციალისტები და 1964 წელს იგი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს, შემდეგ კი — ოლიმპიურ ნაკრებშიც. ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში სერგო კუტივაძემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეორე ნაკრებთან მოუწია შეხვედრა, სადაც მსოფლიო ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ფრანც ბეკენბაუერი თამაშობდა.

1965 წელს სერგო კუტივაძე უკვე პირველი ნაკრების შემადგენლობაში სამხრეთ ამერიკაში ტურნეზე იქ ცნობილი კლუბების წინააღმდეგ მოუწია თამაში. ასე რომ, სანაკრებო დონეზე მატჩი მას ოფიციალური ძლიერ გუნდთან ჩაუტარდა, რომელიც საბჭოთა პირველ გუნდს მოსკოვში ეხტურა (0:0).

მიუხედავად კარიერის ასეთი გამორჩეული დასაწყისისა, კუტივაძე კვლავ ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში გამოდიოდა. თუმცა, როგორც იმ წლების პრაქტიკა მოწმობს, ნიჭიერ ფეხბურთელს მალევე იწვევდნენ თბილისის „დინამოში". მისი „დინამოში" გადმოსვლა შედარებით იმიტომ დაგვიანდა, რომ საქართველოს უპირველესი კლუბი ჯერ კიდევ ჩემპიონობის შემადგენლობით ასპარეზობდა და მეორეც — ქუთაისის „ტორპედოს" უჭირდა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა, ამიტომ ასეთი დონის ფეხბურთელის გამოკლება ...

სვლა ყოვნდებოდა, მოსკოვის გუნდებმა გადაწყვიტეს, ესარგებლათ შემთხვევით და „დინამომ", „სპარტაკმა" და „ტორპედომ" ახალგაზრდა ნახევარმცველზე ნადირობა დაიწყეს. განსაკუთრებით ზეწოლას სერგო კუტივაძე ნაკრების მწვრთნელ ნიკოლაი მოროზოვისგან განიცდიდა, რომელიც მოსკოვის ტორპედოელი იყო და უნდოდა, კუტივაძე თავის გუნდში ენახა.

1966 წელს მოსკოვის „სპარტაკმა" გადაწყვიტა, ესარგებლა დებულებით, რომელიც ევროთასებზე მოასპარეზე გუნდებს მეორე წრიდან მოთამაშეების დამატების უფლებას აძლევდა და კუტივაძით და ოდესელი ბაკატოვით შეევსოთ გუნდის გაძლიერება. „სპარტაკში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საქმეში საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე სერგო სიხარულიძე ჩაერია და კუტივაძე საქართველოში დარჩა.

ცხადი იყო, რომ ამ დონის ფეხბურთელს ქუთაისში დიდხანს მაინც არავინ გააჩერებდა და კუტივაძეც თბილისის „დინამოს" წევრი გახდა. მისი გუნდში მისვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა თბილისის „დინამოს" სახელოვანი შემადგენლობა უკვე წასვლას აპირებდა, ახალგაზრდები კი მათი ადგილის დაკავებას ცდილობდნენ.

წარმოიდგინეთ, რა კონკურენცია იყო ნახევარდაცვის ხაზშიც: შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ალექსი ილურიძე, სერგო კუტივაძე, გოჩა ხარაიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, კახი ასათიანი. თუმც კუტივაძემ საკმაოდ ბევრი მატჩი ითამაშა „დინამოს" შემადგენლობაში. კუტივაძემ „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში აღმოჩენილი 1968 წლის სეზონში დაიმკვიდრა და ბევრი დასამახსოვრებელი მატჩიც ჩაატარა.

სერგო კუტივაძისთვის გამორჩეული დასამახსოვრებელი 1970 წლის სეზონი იყო, როდესაც მან 10 გოლი გაიტანა და იგი, ნახევარმცველი, გატანილი გოლების მაჩვენებლებით გუნდში, მხოლოდ თავდამსხმელ გივი ნოდიას ჩამორჩა. მას კი იმ წელს არამარტო კუტივაძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილე ვერცერთი მოთამაშე გაუტოლდა. გივი წლის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 17 გოლით.

რითი დაამახსოვრებდით კუტივაძის თამაში: ეს იყო მეტად ელეგანტური, უმაღლესი საფეხბურთო აზროვნების მოთამაშე, რომელსაც ყუმბარისებური დარტყმა ჰქონდა. მისი შორეული დარტყმები განსაკუთრებით გვახსენდება დღეს, როცა ქართველ ფეხბურთელებს ასე უჭირთ საჯარიმო მოედნის გარედან გოლის გატანა (რასაკვირველია, საერთაშორისო მატჩებს ვგულისხმობთ, თორემ ჩვენს ჯერჯერობით დაბალი დონის ჩემპიონატის მატჩებში ყველანაირი გოლები გადის). არადა, რა დიდი დანაკლისია, როცა შუა ხაზის მოთამაშეს უჭირს დაყენებული, შორეული დარტყმები.

# ელეგანტური ნახევარმცველი ყუმბარისებური დარტყმებით



სარბიელის არქივიდან

თბილისის „დინამო" — ქუთაისის „ტორპედო".
შოთა იამანიძისა (ბურთით) და სერგო კუტივაძის ორთაბრძოლა



სარბიელის არქივიდან

გულშემატკივრებს, ალბათ, გაახსენდებათ ასეთი ეპიზოდი: კიევის „დინამოს" უძლიერეს გუნდს (საბჭოთა კავშირის ზედიზედ სამჯერ ჩემპიონს) ვეთამაშებოდით თბილისში. საჯარიმოს დარტყმა დაინიშნა ცენტრის ხაზთან ახლოს, ჩვენი შეტევის მარცხენა ფლანგზე. კუტივაძემ ბურთი დარტყმის ადგილზე დადო და კარში დარტყმისთვის მოემზადა. საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ევგენი რუდაკოვი იცავდა. „რას შვრება სერგო, ხომ არ გაგიჟდა, ამ მანძილიდან კარში დარტყმას აპირებს?" გაიძახდა ტრიბუნა. კუტივაძემ, რა თქმა უნდა, არც ცოცხალი კედელი აღუმართავს. 40 მეტრიდან დარტყმული ბურთი მაშინ, როცა მეკარე თავისუფლად ხედავდა ბურთს და დამრტყმელს, რასაკვირველია, ავანტიურად ჩანდა, მაგრამ ბურთი ელვისებურად აღმოჩნდა რუდაკოვისგან მარცხენა მაღალ კუთხეში..

— ასეთი მანძილიდან ქუთაისის „ტორპედოში" თამაშის დროს ერევნელებსაც გავუტანე. მაშინ ჯემალ ხერხაძე ჩვენი გუნდის ფორვარდი მეუბნებოდა, ხომ არ შეიშალე, კარში ურტყამო? და ბურთი მაშინაც ბადეში აღმოჩნდა იხსენებს სერგო კუტივაძე.

კუტივაძემ ძალიან ადრე, 28 წლისამ, დაანება თამაშს თავი და ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელის დარად გულშემატკივრებში უკმარისობის გრძნობა დატოვა. რა იყო ამის მიზეზი?

სერგო კუტივაძე: „განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, ფეხბურთი აღარ მგვრიდა სიამოვნებას და ასეთ შემთხვევაში მოთამაშე მაყურებელსაც ვერ ასიამოვნებს. საკუთარი სახელით სპეკულაცია კი, ალბათ, არ ეგების".

სერგო კუტივაძე, როგორც ფეხბურთელი, ადრე წავიდა მინდვრიდან, მაგრამ ასევე ახალგაზრდულ ასაკში გახდა თბილისის „დინამოს" მწვრთნელი. მას შემდეგ იგი კვლავ დიდ ფეხბურთშია, მხოლოდ ხანმოკლე შესვენებით, და ბევრი დიდი წარმატების მონაწილე და შემოქმედიც ყოფილა, მათ შორის ქართული ფეხბურთის ევროპულ ასპარეზზე ტრიუმფისაც. სერგო კუტივაძე დღესაც ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი თავკაცია და, ალბათ, არ იქნებოდა მართებული, დღევანდელ ჩვენს ნაკრებზეც არ მოგვესმინა მისი აზრი:

— მრავალი დიდი მწვრთნელის ხელში გამივლია, ისეთების, როგორიც იყვნენ ანდრო ჟორდანია, მიხაილ იაკუშინი, გავრილ კაჩალინი, ვსევოლოდ ბლინკოვი, ნოდარ ახალკაცი და, ალბათ, მაქვს გარკვეული უფლება, ვთქვა, რომ ვლადიმერ გუცაევი მზარდი, მონდომებული მწვრთნელია. გუცაევმა სხვებზე არანაკლებ იცის ჩვენი თითოეული მოთამაშის ფასი და ერთადერთი, რაც მას უნდა, ისაა, რომ ნაკრებში იყოს ჯანსაღი კონკურენცია, არც ერთმა მოთამაშემ არ ჩათვალოს, რომ მან უკვე მიაღწია სრულყოფას და მუდმივი სტიმული ჰქონდეს თავისი ადგილის დასამკვიდრებლად. ჩვენ ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს, მაგრამ მუდმივი შრომის გარეშე უმაღლეს ოსტატობას ვერ მიაღწევ — აი, ეს მოთხოვნა აქვს გუცაევს. მან გარისკა და ცდილობს იმას, რაც სხვამ ვერ გაბედა — ნაკრების გადახალისებას. თანაც იმ დროს, როცა გუნდისგან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას ითხოვენ, ამ საკითხში მის გვერდით დგომაა საჭირო, რადგან ასეთი ამოცანის გადაწყვეტას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ნაკრების გადახალისება არაა მწვრთნელის კაპრიზი. მას უნდა, რომ რაც შეიძლება მეტი მოთამაშე იყოს საერთაშორისო დონის, რომ გუნის მწვრ...

## სპორტინგ კრისტალი (პერუ) 1:1 კოლო კოლო (ჩილე)

1:0 მადეირა (48), 1:1 ხაიმე (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტარიო (პერუ) | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |

### V ჯგუფი

## ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 1:0 ბლუმინგი (ბოლივია)

1:0 კონტრერასი (33)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიგა დე კიტო (ეკვადორი) | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ემელეკი (ეკვადორი) | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| ბლუმინგი (ბოლივია) | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ვილსტერმანი (ბოლივია) | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

*შენიშვნა: შემდეგ ეტაპზე ჯგუფებიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. ლიბერტადორესის თასის ბოლო მფლობელი ბრაზილიის „ვასკო და გამა" მეორე ეტაპზე პირდაპირაა დაშვებული.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 22 | 11 | 5 | 6 | 33:21 | 38 |
| ვოლფსბურგი | 22 | 9 | 8 | 5 | 40:30 | 35 |
| ჰერტა | 22 | 10 | 5 | 7 | 31:21 | 35 |
| შტუტგარტი | 22 | 7 | 8 | 7 | 29:28 | 29 |
| ფრაიბურგი | 22 | 6 | 9 | 7 | 25:26 | 27 |
| დუისბურგი | 22 | 6 | 8 | 8 | 26:33 | 26 |
| ვერდერი | 22 | 6 | 7 | 9 | 29:30 | 25 |
| ჰამბურგი | 22 | 6 | 7 | 9 | 24:31 | 25 |
| ბოხუმი | 22 | 6 | 6 | 10 | 27:37 | 24 |
| შალკე 04 | 22 | 5 | 8 | 9 | 23:36 | 23 |
| აინტრახტი | 22 | 4 | 7 | 11 | 23:36 | 19 |
| ნიურნბერგი | 22 | 3 | 10 | 9 | 24:39 | 19 |
| ჰანზა | 22 | 3 | 8 | 11 | 28:46 | 17 |
| გლადბახი | 22 | 3 | 5 | 14 | 22:48 | 14 |

| | | | |
|---|---|---|---|
| კოლორადო — კაროლინა | 1,35 | 4,4 | [illegible] |
| ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | [illegible] |

## კალათბურთი. NBA

18 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვაშინგტონი — იუტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| ნიუ იორკი — ორლანდო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| კლივლენდი — ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,35 |
| ჩიკაგო — ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| მილუოკი — ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ვანკუვერი — მინესოტა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| საკრამენტო — პორტლენდი | 2,3 | 12,0 | 1,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტე...

# ოცდამეერთეში ბაბუსთან ერთად!




სოპ-ში აქამდე სხვებიც იძახდნენ, გუშინ კი უკვე თავად ხუან ანტონიო სამარანჩმაც განაცხადა, რომ კანტორის შენობაში დარჩენას 2001 წლამდე აპირებს. კანტორამაც — ცალკერძ, შეფისთვის 19-წლიანი ამაგის დაფასების ამბავში, ცალკერძ, იმის გამო, რომ შექმნილ მურდალ ვითარებაში ყველა ჩექმა სჯობს ისევ ბაბუს ჭუჭყიან წვერებს შეეხოცოს — თავისი 108-ე სესიის გამხსნელი საკითხი, სამარანჩის ნდობა-არნდობის შესახებ სულ რიხინრიხინით ჩააგრიალა.

ამ ტაკიმასხრობას ფარული კენჭისყრის სახე ჰქონდა. მეტი დემოკრატობანობისთვის 89-დან ორმა წევრმა „წინაალმდეგ" მისცა, ხოლო ერთმა წევრმა ფაფახში ცარიელი ბლანკი ჩააგდო. რაც შეეხება დანარჩენ 86-ს, მათი ხმები სასწორის აქეთა მხარეს დაიყარა.

„ბოლო-ბოლო თავისი სახელი დაერქვა" — ხარობდა სოკ-ის მახვშთაგანი ჟაკ როჟე — „ახლა პრეზიდენტს ყოველგვარი უფლება აქვს, იურიდიულიც და მორალურიც, რომ გასაკეთებელი მეტი შემართებითა და ჯიგრით გააკეთოს".

„მართალი ბრძანებაა" — კვერი დაუკრავს სამარანჩსაც — „სოკ-ი ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება... ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მისი შებღალული ღირსება გადავარჩინოთ. საამისოდ ამ კენჭისყრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — აწ უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ კომიტეტი მენდობა და ძველებურად აქვს ჩემი იმედი. გპირდებით, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც პრეზიდენტობის გასრულებამდე დამრჩა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასეთი სირცხვილი აღარასოდეს ვჭამოთ. ამიერიდან ყველაფერი სხვანაირად, უკეთესად იქნება".

როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ — ნეტარ არიან ბაბუები...

ეგ არის და ეგ!




ხუან ანტონიო სამარანჩს ხმა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომაც შეაწია და გადარჩენაც მიულოცა




სამარანჩი თავის საუფლოში 2001 წლამდე დარჩება

# თურმე, კვებეკსაც მიუძღვის

კვებეკი ის ქალაქია, სოლტ ლეიკს 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობას რომ ეცილებოდა. ეს შეცილება რაგვარი ბინძური ქვეშქვეშობით დამთავრდა, ეგ ლამის უკვე ანტარქტიდელმა პინგვინებმაც იციან. ჰოდა, კვებეკელებმაც — როგორ თუ ეგეთი მსუქანი ლუკმა ეგრე არაკაცურად დაგვაკარგვინეთო — გასულ თვეში სოკ-ს 7,8 მლნ დოლარის ანაზღაურება მოთხოვეს. თურმე ნუ იტყვით და, მთელი წინასაკენჭისყრო-მოსამზადებელი განამაწია ფრანგულენოვან კანადელებს სწორედ ამოტოლა თანხა დასჯდომიათ. ხელმომჭირნე სოკ-მა ამ თანხის გადახდისგან თავი რასაკვირველია, შეიკავა და როგორც ახლა ირკვევა, დიახაც გონივრულად...

კვებეკური გაზეთის „ლე სოლეის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კვებეკელები ისეთივე ხვითოები არიან, როგორც სოლტლეიკელები, მათ შორის განსხვავება კი მხოლოდ ისაა, რომ თუკი უკანასკნელნი სოკ-ის პირდაფჩენილ წევრებს ხახებში სულ 1000-დოლარიანებს უკუჭავდნენ, პირველები მხოლოდ მეტროს ჟეტონებს უყრიდნენ. ხოლო 1000-დოლარიანის მიმცემი და ჟეტონის მიმცემი რომ ორივე მიმცემია, ამაზე მხოლოდ ზანზიბარშილა თუ დავობენ.

რალა ბევრი გავაგრძელოთ, „ლე სოლეის" მიხედვით კვებეკის საინიციატივო კომიტეტს სოკ-ის წევრებისთვის სხვადასხვა საჩუქრებისა და რამე-რუმეების გაკეთებაზე წესებით გათვალისწინებულთან შედარებით 4-ჯერ მეტი ფული დაუხარჯავს. ასე მაგალითად: თუკი სოკ-ის წესდება თითო წევრზე დიდი-დიდი, 150-დოლარიან „საჩუქრებს" ითვალისწინებს (რაც 100 წევრზე 15-ათასამდე ქაჩავს), კვებეკელები ჯამში 65 ათას დოლარს გამოსულან. აქედან მარტო პირშავ კონგოელს, ჟან-კლოდ განგას, რომელიც პარალელურად სოლტ ლეიკშიც ნოყივრად ძოვდა და ამის გამო გუშინ სოკ-იდან უნდა დაეჭიტყლაყებინათ, ერთბაშად 18 ათას 823 დოლარი მოუხაფავს, ხოლო სოკ-ის ვითომ კდემამოსილ ვიცე-პრეზიდენტსა და კუდიანთა პირველ შემრისხავს, კანადელ დიკ პაუნდს — 3 ათასი დოლარი. ეს ფული ხან გადაფრენა-გადმოფრენაზე, ხანაც იქაურ საავადმყოფოებსა და აბანოებში უფასო მკურნალობასა და ცანგალაობაზე დახარჯულა.

ასე რომ, ისე კვებეკელებს აღარ მოელანდოთ ოლიმპიური ბუბლიკები, სანამ მაგათ სოკ-ისგან 7,8 მლნ დოლარი არ მიიღონ.

ველორბოლა

# ზედახორა ფინიშის ხაზთან

ტირენო-ადრიატიკოს ველორბოლის მე-7 ეტაპი, რომელიც ალბა ადრიატიკიდან ჩივიტანოვა მარკემდე 160 კმ-ზე იყო გადებული, ფინიშისწინა ზედახორით გამოირჩა.

ბოლო ხაზამდე 75 მეტრით ადრე იტალიელმა ფაბიო ბალდატომ სასპრინტო სიჩქარის აკრეფისას როგორღაც მარჯვნივ გადაუხვია, თანამემამულე ნიკოლა მინალის გეზი გაუმრუდა და გვერდით მიმავალ მარიო ჩიპოლინის მიაჯახა. ჩიპოლინი, თავის მხრივ, სარეკლამო ფირნიშს ეძგერა, ველოსიპედითურთ ტრასაზე გაიშხლართა და ორივე — ბალდატოცა და მინალიც ზედ წამოიკიდა. ამათ კიდევ წამოწეული ჯუზეპე პალომბო, ენდრო ლეონი და ბიაჯო კონტე გამოცელეს...

მოკლედ და კონკრეტულად, მთელ ამ გაუგებრობაში ყველაზე მაგრად ისევ წამომწყები, ფაბიო ბალდატო და პალომბო დაშავდნენ. მათ ლავიწის ძვლები გადაემტვრათ. ამასთან, ფაბიოს თაბაშირთან ერთად დისკვალიფიკაციაც დაადეს და შინისკენ გაისტუმრეს.

ზედახორას გადარჩენილთაგან უკანასკნელი მეტრი ყველაზე სწრაფად ჰოლანდიელმა სტივენ დე იონგმა გადალახა, მაგრამ ლიდერის ქოშები და ხალათი მაინც იტალიელმა მიკელე ბარტოლიმ შეინარჩუნა. რაც შეეხება ფირნიშს შეჯახებულ ჩიპოლინის, რამდენადაც ეს მისი მეორე საამრბოლო ვარდნა იყო (პირველად იგი პარასკევს მესამე ეტაპზე გაბითურდა), მან რბოლის მიტოვება გადაწყვიტა: „არა, ძმაო, 5 დღეში ორი დაცემა უკვე ძალიან ბევრია... აწი უჩემოდ გააგრძელონ" — უთქვამს მრბოლს და ტკივილისგან დამანჭულა.

**ლევან ძელაურაძე**

სტივენ დე იონგი — 4 სთ, 19 წთ, 10 წმ; ზბიგნევ შპრუხი (პოლონეთი); ფაბრიციო გვიდი (იტალია); ლარს მიხელსენი (დანია); ერიკ ცაბელი (გერმანია); ალესანდრო პეტაკი (იტალია); ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი); ანხელო ედო (ესპანეთი); ლეონარდო გვიდი (იტალია); მიკელე ბარტოლი.

საერთო ჩათვლა: ბარტოლი — 31 სთ, 39 წთ, 16 წმ; დავიდ რებელინი (იტალია) — ჩამორჩენა 9 წმ; სტეფანო გარცელი (იტალია) — 14 წმ; ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) — 21 წმ; იგორ გონსალესი (ესპანეთი) — 30 წმ; ალესანდრო სპეციალეტი (იტალია) — 1 წთ, 56 წმ; ბო ჰამბურგერი (დანია) — 3 წთ, 57 წმ; კრისტოფერ იენერი (ახალი ზელანდია) — 4 წთ, 26 წმ; ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) — 4 წთ, 27 წმ; დავიდ კაზაროტო (იტალია) — 4 წთ, 28 წმ.



ველოდომხალი იტალიურად

## შხამად შეგერგებათ!

შარშან „ტურ დე ფრანსის" დროს ატეხილი დოპინგ-სკანდალის შემდეგ ველოსპორტის ჩინოსნებმა „არაკეთილსინდისიერ" სპორტსმენებსა და მათ დამქაშებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და აღარავის ინდობენ.

ასე დაემართა ორი დღის წინ გერმანელ ველომრბოლ კარსტენ ვოლფსაც, რომელიც ექვსი თვით მოკვეთა სპორტიდან თავისი ქვეყნის ფედერაციამ.

ვოლფს აკრძალული პრეპარატი შარშან ოქტომბერში მიუღია. მაშინ იგი საფრანგეთში, „გრენობლის ექვს დღეში" მონაწილეობდა. გარდა დისკვალიფიკაციისა, გერმანელს 2000 შვეიცარიული ფრანკის გადახდაც დააკისრეს



კარსტენ ვოლფი

# იტალიაში იწყება და მთავრდება

შაბათს მილან — სან რემოს რბოლით დაიწყება მსოფლიოს თასის გათამაშება ველოსპორტში. თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე ეს შეჯიბრი ჯერ კიდევ ვერ უწევს კონკურენციას ისეთ ტურნირებს, როგორებიცაა „ტურ დე ფრანსი" ანდა „ჯირო დ იტალია", თუმცა იგი მაინც ველოსპორტის მოყვარულებისა და მიმდევრების საკმაო ინტერესს იწვევს.

მსოფლიოს თასის ეგიდით სულ 10 ეტაპი გაიმართება და თითოეულ მათგანში 25 რვაკაციანი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ამ 25 გუნდიდან 22 უკვე გარკვეულია, ისინი მსოფლიო კლასიფიკაციის მოწინავენი არიან, ბოლო სამი კი ყოველ ეტაპზე შეიძლება შეიცვალოს.

ქულების დარიცხვის სისტემა შემდეგნაირია: გამარჯვებულს 100 ქულა ერგება, მომდევნოებს კი — 70, 50, 40, 36, 28, 24, 20, 16, 15 14, 13... სულ ოცდახუთი სპორტსმენი მიიღებს ქულას. საბოლოო სატურნირო ცხრილში რომ ფიგურირებდეს, მრბოლმა სულ ცოტა, ექვს ეტაპში მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

აქვე გაგაცნობთ მსოფლიოს თასის ეტაპებს და მასში გამოსვლადაბევებულ 22 გუნდს:

1. მილანი — სან-რემო (იტალია, 20.03); 2. „ტურ დე ფლანდრი" (ბელგია, 04.04); 3. პარიზი — რუბე (საფრანგეთი, 11.04); 4. ლიეჟი — ბასტონი — ლიეჟი (ბელგია, 18.04); 5. „ამსტელ გოლდ რეისი" (ჰოლანდია, 24.04); 6. „კლასიკა სან სებასტიან" (ესპანეთი, 07.08); 7. „ჰამბურგის თასი" (გერმანია, 15.08); 8. „ციურიხის ჩემპიონატი" (შვეიცარია, 22.08); 9. პარიზი — ტური (საფრანგეთი, 03.10); 10. „ტურ დე ლომბარდი" (იტალია, 16.10)

გუნდები: „ტელეკომი" (გერმანია), „ლოტო" (ბელგია), „ბანესტო", „კელმე" „ONCE" და „ვიტალისიო" (ესპანეთი), „პოსტალი" (აშშ), „კაზინო", „კოფიდისი", „კრედი აგრიკოლი", „ფესტინა" და „ლა ფრანსეზ დე ჟეო" (საფრანგეთი), „კანტინა ტოლო", „ლამპრე", „მაპეი", „მერკატონე უნო", „პოლტი", „საეკო", „ვინავილი" და „ვინი კალდიროლა" (იტალია), „რაბობანკი" და „TVM" (ჰოლანდია)

**გაიოზ თალაკვაძე**

რეგულარული ჩემპიონატი

# ვინ ბეიკერს უბრუნდება ფერი

# ტიმ დანკანს კი არ სწამს არაფერი



REUTERS

ინდიანა — ატლანტა. მასპინძელმა დეილ დევისმა (№32) დიკემბე მუტომბოს ჩაუტენა

16 მარტი

**სიეტლი 87:85 ვანკუვერი**

**სიეტლი:** პეიტონი (12), ჰოკინსი (8), ელისი (14), ბეიკერი (31), პოლინაისი (8 ქულა, 15 მოხსნა), ბერი (5), შრემპფი (5), ვილიამსი (4)

**ვანკუვერი:** ბიბი (15), ლოპესი (8), აბდურ-რაჰიმი (21 ქულა, 11 მოხსნა), პარქსი (9 ქულა, 10 მოხსნა), რივზი (21); სმიტი (6 ქულა, 11 მოხსნა), ჰენდერსონი (3), როუდზი (2), მაიბერი, ჩილქათი

„ვანკუვერ გრიზლიზი" ის გუნდია, სიეტლში თავის ისტორიაში რომ არ მოუგია იქაური „სონიქსისთვის". ეს კანადური გუნდი 1995 წელს ჩაერთო კალათბურთის ეროვნული ასოციაციის გათამაშებაში და მეოთხე სეზონს ატარებს. ამ ხნის განმავლობაში ვანკუვერის ყველაზე უკეთესი შედეგი გახლდათ ის, რომ წინა სეზონში შუა დასავლეთის ცხრილში ბოლოსწინა ადგილი დაიკავა და მხოლოდ მაშინდელ, ლიგის ყველაზე სუსტ გუნდს — „დენვერ ნაგიტსს" აჯობა. დღესდღეობით „გრიზლიზი" თამაშს თამაშზე აგებს და სიეტლში მარცხის შემდეგ ზედიზედ 13 დაუგროვდა. თუმცა მას ბევრი უკლია კლუბის ანტირეკორდამდე, ზედიზედ 23 ჩაფლავებულ მატჩამდე.

1996 წლის ნბა-ს ფინალისტმა ასეთ გუნდთან ლამის მარცხს გამოჰკრა ხელი და ძლივსძლიობით მოახერხა, ზედიზედ მესამე გუნდი დაემარცხებინა. შეგახსენებთ, რომ არც წინა ორის — ჩიკაგოსა და კლიპერსის ძლევას სჭირდებოდა დიდი ოფლისღვრა, მაგრამ სიეტლს კი გაუჭირდა. პოლ ვესტფოლისეული სიეტლი აშკარად ჩამოუვარდება ჯორჯ კარლისეულს. ჯორჯ კარლი სიეტლს ზედიზედ ექვს სეზონში აგებინებდა 82 თამაშიდან 50-ზე მეტს. დღევანდელ „სუპერსონიკსს" კი ბედად ეს სუსტი გუნდები რომ არ გადაჰყროდა, წაგება მოგებაზე მეტი ექნებოდა.

ამ შეხვედრაში მასპინძელთა სუსტი გარჯა იმანაც გამოიწვია, რომ თამაში არ წაუვიდა გერი პეიტონს. სამაგიეროდ, როგორც წინა ორ მატჩში, მშვენივრად გაისარჯა ვინ ბეიკერი, რომელიც თანდათან ფერზე მოდის და ჩვეულად იპყრობს ფარს. ბეიკერმა თამაშში 19 სროლიდან 13 ჩაუგდო მეტოქეს და საბოლოოდ მისთვის ამ სეზონში ყველაზე მეტი, 31 ქულა შეაგროვა. მისი კარგი გარჯის მიუხედავად, სიეტლი მაინც ჩამორჩა თამაშში მეტოქეს, ბოლო მეოთხედის დაწყებამდე სხვაობამ ექვს ქულას მიაღწია და მასპინძელი უდიდესი სირცხვილის წინაშე აღმოჩნდა. მატჩის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე ვანკუვერი 83:77 იგებდა, მაგრამ ბეიკერმა გაიბრძოლა, ზედიზედ რვა ქულა ჩაუგდო მეტოქეს და თავისიანები წინ გაიყვანა. ვანკუვერის ახალბედა გამთამაშებელმა მაიკ ბიბიმ 15 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა — 85:85. აქ სიეტლელმა დეტლეფ შრეპფმა, რომელიც უკვე ორ კვირაზე მეტია, სასტარტო ხუთეულში არ დგას, გარღვევაზე ბურთი ააცილა (აღსანიშნავია, რომ მას ამაზე უკეთესი არაფერი გაუკეთებია თამაშში), რომელიც ვინ ბეიკერმა მოუხსნა სტუმრებს და გადამწყვეტი ბურთი ჩაუგდო. თამაშის შემდეგ მატჩის გმირმა მორცხვად მიიღო მილოცვები და არც შრემპფს დაუკარგა „გარჯა". ამბობდა, უბრალოდ შრემპფმა რომ ბრწყინვალე გარღვევაზე ბურთი ააცილა, გამიმართლა და მას (ბურთს) საჭირო დროს საჭირო ადგილზე დავხვდიო.

---

16 მარტი

**საკრამენტო 109:121 სან ანტონიო**

**საკრამენტო:** დივაცი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**სან ანტონიო:** დანკანი (29 ქულა, 12 მოხსნა), ელი (23)

„სან ანტონიო სფურზი" რომ აღმავლობის გზაზეა, ეს საკრამენტოსთან მატჩმაც დაამტკიცა. სან ანტონიომ ზედიზედ მერვე თამაში მოიგო, თან საკმაოდ იოლად გაუმკლავდა არცთუ სახუმარო მეტოქეს, ვისაც თავისი ლიდერის, კრის ვებერის (15 ქულა) დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს უკანასკნელი აშკარად დაჩაგრა სტუმართა სუპერვარსკვლავმა ტიმ დანკანმა. ეს ყმაწვილი, რომელიც ნბა-ში მეორე სეზონს ატარებს და უკვე მოასწრო დუნია აელაპარაკებინა, სან ანტონიოს ლიდერად იქცა და მის წარმატებაში ლომის წილი დაიდო. დანკანმა აშკარად დაჩრდილა გუნდის მთავარი მოთამაშე, ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი დევიდ რობინსონი. 34 წლის „ადმირალი" აღიარებს კიდეც დანკანის უპირატესობას. დანკანი ამ თამაშში ფარზე სრულიად გაბატონდა, 16 სროლიდან მხოლოდ სამი ააცილა და თავის კარიერაში პირველი სამქულიანც ჩააგდო.

**მილუოკი 92:110 ფინიქსი**

**მილუოკი:** კარი (18)

**ფინიქსი:** რობინსონი (20)

„მილუოკი ბაქსს" აშკარად დააკლდა ტერელ ბრენდონი და სანამ მის ნაცვლად გუნდში მოსული სემ კასელი ნატკენ კოჭს მოირჩენს, ამ გუნდს ფაქტობრივად გამთამაშებლის გარეშე უწევს მეტოქეებთან ჭიდილი. ასე იყო ამჯერადაც და ეს კი ფინიქსმა არ აპატია, უკვე პირველი მეოთხედის ბოლოს 33:15 უგებდა. მასპინძლებსაც აღარ აღმოაჩნდათ იმდენი ძალ-ღონე, უსაშველოდ წინ გაჭრილ არიზონელებს წამოსწეოდნენ და ზედიზედ მეოთხე მატჩი დაუთმეს მეტოქეს.

**მინესოტა 101:107 ლეიკერსი**

**მინესოტა:** სმიტი (22 ქულა, 13 მოხსნა), გარნეტი (21 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი)

**ლეიკერსი:** ონილი (24), რაისი (22), ბრაიანტი (21)

ლეიკერსმა საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში არცთუ სახუმარო მეტოქის დამარცხება შეძლო. მინესოტა ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და სწრაფ ტემპში მოთამაშე გუნდია და თავსაც არც ერთ გრანდს არ დაუხრის, მაგრამ ვარსკვლავებით გადაჭედილ ლოსანჯელესურ გუნდს მაინც ვერაფერი მოუხერხა. მატჩის პირველ ნახევარში მასპინძელი გუნდი დომინირებდა, რაც უფრო მეტად მის ლიდერთა ტრიოს (გარნეტი-სმიტი-ბრენდონი) დამსახურებაა. ტერელ ბრენდონმა (18 ქულა) წარმატებით შეცვალა სტივენ მარბერი და ამ მატჩში ლეიკერსის ბებერ გამთამაშებელს დერეკ ჰარპერს, რომელიც მას მეურვეობდა, ბევრი პრობლემა გაუჩინა. პირველი ნახევარი მასპინძლებმა 7 ქულით მოიგეს. მერე ლეიკერსმა შეძლო თამაშისა და ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ურონდმანოდ ფარქვეშ დაიჩაგრა (მინესოტამ 51:38 აჯობა მოხსნებში) და ფონს ისევ სამქულიანებით გავიდა. მატჩის ბოლო ხუთ წუთში გლენ რაისმა და კობი ბრაიანტმა ოთხი სამქულიანი ჩააგდეს, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

**მაიამი 94:85 ვაშინგტონი**

**მაიამი:** ჰარდევეი (24), მურნინგი (19 ქულა, 14 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** რიჩმონდი (22)

ტრავმირებულ როდ სტრიკლენდის გარეშე მოთამაშე დედაქალაქელებმა ვერაფერი მოუხერხეს შებერებულ, მაგრამ მაინც ბრწყინვალე ფორმაში მყოფ ტიმ ჰარდევეის, რომელმაც მურნინგთან ერთად პირველ ნახევარშივე დაჩაგრა მეტოქე, და ტაიმიც 11 ქულით დათმეს. ვაშინგტონი იბრძოდა, მაგრამ ამაოდ. ჰარდევეიმ თავისი 24 ქულიდან 11 ბოლო მეოთხედში ჩაუგდო სტუმარ გუნდს და მაიამის ზედიზედ მეთერთმეტედ მოაგებინა შინ.

**კლივლენდი 86:82 დეტროიტი**

**კლივლენდი:** კემპი (20), ნაითი (19 ქულა, 9 პასი)

**დეტროიტი:** ჰილი (23 ქულა, 12 მოხსნა)

კლივლენდს ორი ყოფილი საბჭოელი ცენტრი — ლიტველი ჟიდრუნას ილგაუსკასი და უკრაინელი ვიტალი პოტაპენკო ჰყავდა, მაგრამ პირველი ისე დაუშავდა, მთელ სეზონს თავისიანებს ვერაფრით შეეშველება, უნიათო უკრაინელი კი კლუბმა ბოსტონს გაუცვალა თავდამსხმელ ენდრიუ დეკლერკში. ამ უკანასკნელმა ახალ გუნდში პირველად ითამაშა ძირითად ხუთეულში და ადგილიც შეიშნოვა, რვა ქულას 17 მოხსნაც დაუმატა და თავისი კარიერის რეკორდი დაიმყარა.

**ნიუ იორკი 113:89 კლიპერსი**

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (31), ჰიუსტონი (24), ჯონსონი

**კლიპერსი:** მიურეი (18), ტეილორი (18)

ნიუ იორკის ბებერი ცენტრი და გუნდის ლიდერი პატრიკ იუინგი უკვე კვირაზე მეტი ხანია, აქილევსის მყესმა გააწამა და ისიც შორიდან უყურებს თავისიანთა წარმატებულ სვლას. ნიუ იორკმა ზედიზედ მესამე მეტოქე შეიწირა, თან ლიგის ყველაზე უსუსურ გუნდს ისე მოუგო, ხეირიანად ოფლიც არ მოუდენია. მასპინძელთაგან მხოლოდ ერთი კაცი — ლატრელ სპრიუელი თამაშობდა გამწარებით. მან საცოდავ მეტოქეს ბლღვირი აღინა და სეზონში ყველაზე მეტი, 31 ქულაც მიითვალა.

**ინდიანა 79:85 ატლანტა**

**ინდიანა:** სმიტსი (22)

**ატლანტა:** ჰენდერსონი (19), მუტომბო (10 ქულა, 20 მოხსნა)

ფავორიტად მიჩნეულ ინდიანას ატლანტამ მკაცრი დაცვა შესთავაზა და ამან შედეგიც გამოიღო. ინდიანას და მის ლიდერ რეჯი მილერს თითქოს ურიგოდ არ უთამაშიათ, მაგრამ მან მთელ თამაშში მხოლოდ ოთხი სამქულიანი და სამი საჯარიმო ჩააგდო, მისმა გუნდელმა რიკ სმიტსმა კი 26 სროლიდან 16 ააცილა და აქედან მეტ წილს ატლანტას ზაირელი ცენტრი დიკემბე მუტომბო დაეპატრონა და მას ამ სეზონში ყველაზე მეტი მოხსნა დაუგროვდა.

**ჰიუსტონი 101:93 პორტლენდი**

**ჰიუსტონი:** ოლაჯუონი (21)

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (17)

ჰიუსტონი 9 დღის წინ პორტლენდში ერთობ შერცხვა, 71:111 წააგო და ახლა რევანშისთვის კარგად მოემზადა. მართალია, მასპინძლებმა მეტოქე ძალიან ვერ დაჩაგრეს, მაგრამ ტეხასელთა ბებერმა ლიდერებმა ოლაჯუონმა, პიპენმა (18 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა) და ბარკლიმ (15 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი) თავიანთი საქმე მშვენივრად გააკეთეს და აჯობეს საკმაოდ ახალგაზრდულ პორტლენდს.

**ტორონტო 100:85 ნიუ ჯერსი**

**ტორონტო:** კარტერი (20 ქულა, 15 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** მარბერი (22)

ნიუ ჯერსის იმდენი ვარსკვლავი ჰყავს, ცხრილში მასზე გაცილებით მაღლა მდგომ კლუბებსაც კი შეშურდებათ, მაგრამ ჯერ კიდევ შარშან საკმაოდ ძლიერი გუნდი ამჯერად სხვათა საჯიჯგნი გამხდარა და თვით აღმოსავლეთში ყველაზე სუსტ გუნდად მიჩნეულ ტორონტოსთანაც იჩაგრება. ტორონტოს თავისი ლიდერი, მხცოვანი კევინ ვილისი აკლდა, მაგრამ ვერც ამან, ვერც სტივენ მარბერიმ და ვერც ახალმა მწვრთნელმა დონ კეისიმ ვერ იხსნა „ნეტსი" ზედიზედ მერვე მარცხისგან.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 17 | 5 | 77,3 |
| ორლანდო | 16 | 7 | 69,6 |
| ნიუ იორკი | 14 | 9 | 60,9 |
| ფილადელფია | 12 | 9 | 57,1 |
| ვაშინგტონი | 9 | 13 | 40,9 |
| ბოსტონი | 7 | 12 | 36,8 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 18 | 14,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 15 | 6 | 71,4 |
| ატლანტა | 13 | 9 | 59,1 |
| მილუოკი | 12 | 9 | 57,1 |
| დეტროიტი | 12 | 10 | 54,5 |
| კლივლენდი | 10 | 10 | 50,0 |
| ტორონტო | 8 | 12 | 40,0 |
| შარლოტი | 6 | 14 | 30,0 |
| ჩიკაგო | 6 | 15 | 28,6 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 18 | 4 | 81,8 |
| სან ანტონიო | 14 | 8 | 63,6 |
| ჰიუსტონი | 14 | 9 | 60,9 |
| მინესოტა | 13 | 10 | 56,5 |
| დალასი | 8 | 15 | 34,8 |
| დენვერი | 6 | 16 | 27,3 |
| ვანკუვერი | 4 | 19 | 17,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 17 | 5 | 77,3 |
| ლეიკერსი | 17 | 7 | 70,8 |
| სიეტლი | 12 | 9 | 57,1 |
| ფინიქსი | 12 | 10 | 54,5 |
| საკრამენტო | 11 | 13 | 45,8 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 13 | 40,9 |
| კლიპერსი | 1 | 20 | 0,48 |

## კვირის მოთამაშე

### ალონზო მურნინგი (მაიამი)



ალონზო მურნინგმა გასული კვირაში საშუალოდ 19,8 ქულა, 10,5 მოხსნა და 2,5 დაფარება გააკეთა. მისმა გუნდმა კი ოთხიდან ყველა მატჩი მოიგო.

მურნინგი მატჩიდან მატჩამდე ზრდიდა შედეგიანობას. კვირის საწყის შეხვედრაში ფილადელფიას (91:89) 15 ქულა ჩაუგდო; ატლანტას (88:78) — 16 ქულა; ტორონტოს (83:73) — 23 ქულა და 16 მოხსნა, ხოლო ნიუ ჯერსის (102:76) — 25 ქულა.

ამჟამად მურნინგი პირველ ადგილზეა ლიგაში დაფარებებში (საშუალოდ 3,86), მერვეა მოხსნებში (10,4) და მეათე — ბომბარდირებში (21,0).

კაცის გაჩენაში ღმერთი რომ ჩაერევა და თავის კალთას დააბერტყავს, ჯილდოდ ნიჭიერებას არგუნებს ხოლმე. სხვა საქმეა, როგორ გამოიყენებ უფლის ამ საჩუქარს, რამდენად სალად შეაფასებ მოვლენებს და რა მიმართულებას მისცემ ღვთისგან ნაბოძებ ნიჭს. უდიდესი ძალისხმევა მართებს ადამიანს, ეს ძღვენი რომ შეიმნოვოს, თავდაუზოგავი შრომა და მტკიცე ნებისყოფაა საჭირო დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე. შემდეგ კი... ხალხის აღიარებასაც არაფერი დაუდგება წინ.
სწორედ ხალხმა შეიყვარა ვლადიმერ სტეფანია. კაცი, რომელიც უნიკალური მოვლენაა ქართული სპორტის ისტორიაში. ვოვამ სიყმაწვილეშივე მოიტოვა უკან სულმღაფავი ქართული კალათბურთის სანახები და სწორად წარმართული უნარისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით თვით ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ამოყო თავი.
დღეს მას იცნობენ, პატივს სცემენ. ქართველობა ამაყობს სტეფანიათი...



# მოგზაურობა სიეტლის «კადილაკით» სტეფანიასთან ერთად

*„სიეტლ-სუპერსონიქსის“ ჩვენებურ კალათბურთელთან სალაპარაკო ბლომად დავროვილიყო, მაგრამ თავად ვოვამ ერთი საათით გადადო ჩემთან საუბარი. სიეტლში ერთ-ერთ სომხურ ოჯახს დამეგობრებული სტეფანია კავკასიელებს წვეულებაზე მიეპატიჟებინათ და მანაც სუფრის წეს-კანონს სცა პატივი. მეც მოგვიანებითღა მოვიხელთე ქართველი, როდესაც გუნდისვან დროებით დათმობილ „კადილაკს“ შინისკენ მიაქროლებდა:*

— კარგი სამეგობრო ოჯახი გავიჩინე. ერევნიდან არიან, ცოლ-ქმარია; კარგა ხანია, რაც აქ ცხოვრობენ და გაცნობის დღიდან მშვენიერი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ახლაც მათგან მოვდივარ.

**— ქართველებს არსად გადაჰყრიხარ სიეტლში?**

— როგორ არა, ქართველებიც არიან, თუმცა ახალგაზრდები ნაკლებად. ძირითადად ოჯახებით არიან ჩამოსულები და ბიზნესში საქმიანობენ.

**— შენს თამაშებზე თუ დადიან ხოლმე?**

— თუ დავპატიჟებ და ბილეთს მივცემ, მოდიან. რამდენჯერმე ასეც მოვიქეცი.

**— გავიგეთ, სასტუმროდან ბინაში გადასულხარ...**

— ქალაქგარეთ ორსართულიანი სახლი ვიქირავე. 20 წუთის სავალია მანქანით დარბაზამდე. ლამაზი ადგილია და საცხოვრებელი პირობებიც ყველანაირად მაკმაყოფილებს.

**— თუ არ ვცდები, ბინაში მარტო არა ხარ.**

— სახლის პატრონია ჩემთან ერთად. კალათბურთის გუნდს ავარჯიშებს ერთ-ერთ კოლეჯში. ეს ვარიანტი თავად შემომთავაზა და მეც უყოყმანოდ დავთანხმდი. შემეძლო, ცალკე ვყოფილიყავი, მაგრამ ასე მერჩივნა, რადგან მინდა ენა გავიტეხო, ინგლისურად ჯერაც ვერ ვლაპარაკობ თავისუფლად.

**— გუნდს როგორ შეეწყვე?**

— ჩინებულად. ყველასთან ნორმალურად ვარ, გამორჩეულად არავისთან ვმეგობრობ. მწვრთნელებიც და თანაკლუბელებიც პატივისცემით მეპყრობიან და მეც მეტი რა მინდა.

**— გერი პეიტონზე ამბობენ, ცოტა შერეკილიაო.**

— ეგ მართალია. რაღაც თავისებური ბიჭია, ხანდახან ძალიან უცნაურად იქცევა ხოლმე. ქუჩაში შვიდი პირადი მცველით დადის, რაც საერთოდ არ სჭირდება. ცოტა უჟმურიც არის, მაგრამ მოედანზე დიდსულოვანია. თუ დაგეჯახება, მოგიბოდიშებს, წამოგაყენებს. ერთი სიტყვით, ცვალებადი ხასიათი აქვს, როგორც კალათბურთელი კი უნაკლოა.

**— ბოლო ხანს ვინ ბეიკერს პრესა აღარ სწყალობს. მწვრთნელი ვესტფოლიც უკმაყოფილოა მისით. არადა, იგი მწორედ შენს პოზიციაზე თამაშობს „სონიქსში“.**

— ბეიკერის დარდი სულაც არა მაქვს. მე ჩემს თავზე უნდა ვიფიქრო. ისე, ვინი მართლაც ცუდ სეზონს ატარებს, მაგრამ საეჭვოა, უახლოეს მომავალში ხუთეულიდან ამოვაგდო.

**— რატომ, გაგიჭირდა პროფესიონალებში თამაში?**

— არც ისე, როგორც მეგონა, მაგრამ არც მთლად უამისობაა. ყველაზე მეტად ფიზიკურ მომზადებაში მოვიკოჭლებ, თორემ ტაქტიკურად ევროპული კალათბურთიც არანაკლებია. აქ საზრიან და კომბინაციურ თამაშს პატივს კი სცემენ, მაგრამ ფიზიკურ სიძლიერეს ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევენ. მე კი ჯერ არ მომდევს საიმისო ჯანი, მეტოქეს ტოლ-სწორად ვეთამაშო. სხვა მხრივ, ყველაფერი რიგზეა.

**— მიუხედავად ამისა, ვესტფოლმა რამდენჯერმე შეგიშვა მოედანზე. ერთხელ სულაც დევიდ რობინსონის წინააღმდეგ გაგამწესა.**

— ვფიქრობ, ცუდად არც ერთხელ მითამაშია, მაგრამ მე ჯერ სახელი არა მაქვს, იმიჯი კი აუცილებელია, რათა მწვრთნელის ნდობა დაიმსახურო. იმავე რობინსონს არაფერში ჩამოვრჩი, მაგრამ მომდევნო შეხვედრები კვლავაც სათადარიგო სკამზე გავატარე. ვესტფოლი, ალბათ, ასე თვლის საჭიროდ. უთამაშებლობა დიდად არ მაღიზიანებს, რადგან ყველაფერი დროის ამბავია და მეც მომავლის იმედი მაქვს.

**— ბოლო ხანს „სიეტლი“ არადამაჯერებლად თამაშობს. მართალია, ზედიზედ სამი გამარჯვებით ოდნავ გამოიკეთეთ მდგომარეობა, მაგრამ იქამდე ხუთი მატჩი არ მოგეგოთ. არადა, სეზონი რიხიანად დაიწყეთ. რით ახსნი ყოველივეს?**

— მე გუნდში მეათე კაცად ვითვლები. პრინციპულ შეხვედრებში კი მხოლოდ რვა კალათბურთელი თამაშობს. ამიტომაც, ბუნებრივია, ბიჭები გადაიღალნენ. მთელი სეზონის სიმძიმე, ფაქტობრივად, რვა მოთამაშის ზურგზე გადადის, კვირაში დაახლოებით სამი-ოთხი მატჩი უწევთ და რა გასაკვირია, რომ სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშს ვერ ახერხებენ. დასვენებულმა და მომზადებულმა გუნდმა სეზონის დასაწყისში ექვსიდან ექვსივე თამაში მოიგო, შემდეგ წაგებებსაც ვუხშირეთ და ამას მხოლოდ „სონიქსის“ დაღლას ვაბრალებ.

**— ყველაზე დიდი შთაბეჭდილება შენზე რომელმა გუნდმა დატოვა?**

— „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“. მისი თამაში განსაკუთრებით მხიბლავს. ძალიან ჰარმონიული გუნდია და ვფიქრობ, ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტია.

**— ვარჯიშებზე ძალიან იტვირთები?**

— ვარჯიშები თითქმის აღარა გვაქვს. იშვიათად, მწვრთნელებმა დაგვტვირთონ და ისიც მსუბუქად. გადატვირთული კალენდრის გამო საამისოდ დრო აღარც გვრჩება, ხანდახან თუ წავითამაშებთ ხოლმე.

**— ადგილობრივი ჟურნალისტები თუ გაკითხავენ?**

— ერთი-ორჯერ ვრცელი ინტერვიუები დაბეჭდეს აქაურმა გაზეთებმა. ახლა, რაც აღარ ვთამაშობ, ცოტა დამივიწყეს, მაგრამ ეს სრულიად არ მაღელვებს.

*სტეფანიასთან ისედაც ვაპირებდი გამომშვიდობებას, თუმცა ერთმა პატარა კურიოზმა კიდევ უფრო დააჩქარა ჩვენი განშორება. ჩემი და იქაური გზების გადამკიდე ვოვამ „კადილაკი“ თურმე სხვა გზას გაუყენა და, მგონი, დავიკარგეთ, შემომჩივლა. ამან უხერხულობაში ჩამაგდო — გზა-კვალი რომ აერია, ამაში არცთუ უმნიშვნელო წვლილი ხომ მეც მიმიძღოდა. თავს იმითღა ვინუგეშებ, რომ რაც სტეფანიამ „სონიქსის“ მაისური მოირგო, ეს ქართველი მკითხველისთვის განკუთვნილი მისი პირველი ინტერვიუ გახლავთ.*

**გიორგი გიქაშვილი**

# ამიერიდან მხოლოდ შაბათ-კვირას...

საქართველოს ჩემპიონატი 20 მარტს, მესამე წრის მატჩებით განახლდება, ტურები კი მხოლოდ უქმე დღეებში გაიმართება.

**საქართველოს VIII ჩემპიონატის კალენდარი. III წრე**

**XIX ტური**
20 მარტი, შაბათი

| | |
|---|---|
| აზოტი — კოლხა | 11.00 |
| შევარდენი — დინამო | 12.30 |
| მაკაბი — თსუ | 14.00 |
| ვითა — ასკ | 15.30 |
| სტუ — სდასუ | 17.00 |

**XX ტური**
21 მარტი, კვირა

| | |
|---|---|
| ვითა — შევარდენი | 11.00 |
| ასკ — დინამო | 12.30 |
| აზოტი — მაკაბი | 14.00 |
| კოლხა — სტუ | 15.30 |
| სდასუ — თსუ | 17.00 |

**XXI ტური**
27 მარტი, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხა — დინამო | 11.00 |
| შევარდენი — მაკაბი | 12.30 |
| სტუ — თსუ | 14.00 |
| ასკ — აზოტი | 15.30 |
| ვითა — სდასუ | 17.00 |

**XXII ტური**
28 მარტი, კვირა

| | |
|---|---|
| შევარდენი — ასკ | 11.00 |
| თსუ — კოლხა | 12.30 |
| აზოტი — სდასუ | 14.00 |
| მაკაბი — სტუ | 15.30 |
| დინამო — ვითა | 17.00 |

**XXIII ტური**
3 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| ასკ — კოლხა | 11.00 |
| აზოტი — შევარდენი | 12.30 |
| დინამო — თსუ | 14.00 |
| სდასუ — მაკაბი | 15.30 |
| ვითა — სტუ | 17.00 |

**XXIV ტური**
4 აპრილი, კვირა

| | |
|---|---|
| სტუ — ასკ | 11.00 |
| კოლხა — შევარდენი | 12.30 |
| თსუ — აზოტი | 14.00 |
| ვითა — მაკაბი | 15.30 |
| სდასუ — დინამო | 17.00 |

**XXV ტური**
8 აპრილი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| შევარდენი — სდასუ | 11.00 |
| ვითა — კოლხა | 12.30 |
| ასკ — თსუ | 14.00 |
| მაკაბი — დინამო | 15.30 |
| სტუ — აზოტი | 17.00 |

**XXVI ტური**
17 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| მაკაბი — კოლხა | 11.00 |
| სდასუ — ასკ | 12.30 |
| შევარდენი — სტუ | 14.00 |
| თსუ — ვითა | 15.30 |
| დინამო — აზოტი | 17.00 |

**XXVII ტური**
18 აპრილი, კვირა

| | |
|---|---|
| შევარდენი — თსუ | 11.00 |
| კოლხა — სდასუ | 12.30 |
| ასკ — მაკაბი | 14.00 |
| სტუ — დინამო | 15.30 |
| ვითა — აზოტი | 17.00 |

**საქართველოს ჩემპიონატი — 18 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 18 | 17 | 1 | 1507:1276 | 35 |
| სტუ | 18 | 13 | 5 | 1394:1318 | 31 |
| ვითა(-1) | 18 | 13 | 5 | 1182:1034 | 30 |
| თსუ | 18 | 12 | 6 | 1440:1347 | 30 |
| დინამო | 18 | 10 | 8 | 1355:1342 | 28 |
| სდასუ | 18 | 10 | 8 | 1325:1339 | 28 |
| მაკაბი | 18 | 5 | 13 | 1333:1447 | 23 |
| კოლხა | 18 | 5 | 13 | 1283:1473 | 23 |
| შევარდენი | 18 | 4 | 14 | 1248:1432 | 22 |
| ასკ | 18 | 1 | 17 | 708:765 | 19 |






დავით კილასონია

# პატარა ბორჯღალოსნების მაქსიმუმი და მინიმუმი

თუ საქართველოს რაგბის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს თასზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად ჯერ ტონგელები, შემდეგ კი ჰოლანდია — კორეას შორის გამარჯვებული უნდა დაამარცხოს, ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს თასის დასკვნითი ეტაპის საგზური შარშან დაისაკუთრა და დღეს დილით ლონდონის გავლით გაემგზავრა უელსში, სადაც ეს ტურნირი ჩატარდება. ქართველებს მსოფლიოს 16 უძლიერესს შორის თამაში შარშან B ლიგაში პირველობამ გაუხსნა. ბუნებრივია, ახლა მეტოქეები გაცილებით ძლიერები არიან, მაგრამ ნაკრების მწვრთნელი **დავით კილასონია** იმედიანადაა და ოთხეულში მოხვედრაც შესაძლებლად მიაჩნია. ეს მან გუშინ „სარბიელთან“ საუბრისას განაცხადა:

— პროგრამა-მინიმუმი ჩვენთვის უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, მაქსიმუმი — ოთხეულში მოხვედრა. ამის ძალა, მგონი, შეგვწევს. ორ წელიწადში ჩვენ მოვახერხეთ, C ლიგიდან A-ში გადავსულიყავით. შარშანწინ C-ში ყველა მატჩი მოვიგეთ, შარშან კი ეს შედეგი B-შიც გავიმეორეთ და რაც მთავარია, ამ ხნის განმავლობაში მეტოქეებმა მხოლოდ ერთი ლელო გაგვიტანეს. ეს, ალბათ, უნიკალური შემთხვევაა. ახლა იმავეს განმეორება გაგვიძნელდება, უფრო სწორად, შეუძლებელია, რადგან ჯგუფში მეტოქეებად ირლანდია, იტალია და ჩილე გვყავს. ტურნირი 26 მარტს იწყება და პირველ შეხვედრაში ირლანდიას ვეთამაშებით. ტრადიციის თანახმად, პირველ მატჩში ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონი და ქვედა ლიგაში გამარჯვებული ხვდებიან. ირლანდიელები მსოფლიოს ჩემპიონები არიან და რა გუნდიც ეყოლებათ, ყველა მიხვდება, იტალიის ნაკრებიც ძალიან კარგია. საერთოდ, იტალიაში რაგბი ბოლო დროს ძალიან განვითარდა. ჩილელებიც საკმაოდ ძლიერები არიან. მათ ორი წელია, ვუყურებ და მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებენ, შარშან სამხრეთაფრიკელებსაც დაუზავდნენ — 20:20. ჩვენ ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძვით და ახლაც ასე იქნება, მაგრამ ზუსტად რა გამოგვივა, ვერ გეტყვით. ლიგაში აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ადგილი, რადგან ამ ბიჭებს გაისადაც მოუწევთ თამაში, ეს კი მათ უდიდეს გამოცდილებას შესძენს. მომავალში ხომ ისინი ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლებენ. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრი პრობლემა გვქონდა, რის გამოც ათდღიანი შეკრების ნაცვლად მხოლოდ ერთი კვირით ადრე მივემგზავრებით, მაგრამ ამაზეც უდიდეს მადლობას ვუხდით რაგბის კავშირს. აქედან 23 მორაგბე მიგვყავს. ადგილზე კიდევ ორი შემოგვიერთდება — მიშელ იაშვილის უმცროსი ვაჟი დიმიტრი და დათო ჯალაღონია. ორივე ფრანგულ კლუბში თამაშობს. ალბათ, ტონგასთან თამაშის მერე მალხაზ ურჯუკაშვილსაც დავიმატებთ.

*ქართველთა სრული შემადგენლობა: ვახტანგ შენგელია, ტარიელ რატიანიძე, დათო ჯალაღონია, გიორგი ბიძინაშვილი, გიორგი ჯორჯაძე, ზვიად მაისურაძე, თამაზ სუჯაშვილი, გიორგი გუნდიშვილი, არჩილ ჭუმბურიძე, შოთა სვანიძე, თედო ზიბზიბაძე, დათო ცაგურია, ირაკლი მაჩხანელი, გიორგი ჯავრიშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი, კობა დანელია, დიმიტრი იაშვილი, ზვიად კობერიძე, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი სანადირაძე, გიორგი ტრაპაიძე, ჯაბა დავლიანიძე, დათო თავაძე, ვალერი ცნობილაძე, ზურაბ გიგაური, ილია გომარელი.*

**პაატა თოთაძე**

# ლუისს მეტი ფული უნდა

## ფრენკ მელოუნმა, თუ ბიჭები ხართ, ლონდონში გვეჩხუბეთო

კვლავ გრძელდება ხმაური ლუის-ჰოლიფილდის დიდი შეხვედრის უსამართლო შედეგების გამო.

საყოველთაო აზრია, რომ რემატჩი უნდა გაიმართოს. იმ სამი საკრივო დაწესებულების პრეზიდენტებმა, რომელთა ქამრებსაც ეცილებოდნენ ერთმანეთს ჰოლიფილდი და ლუისი, საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ექვს თვეში მოკრივეები კიდევ ერთხელ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

მაგრამ, როგორც ირკვევა, რემატჩის გამართვა იოლი საქმე არ იქნება და მრავალნაცად დონ კინგს გვარიანი ოფლისღვრა მოუწევს. საქმე ისაა, რომ „მედისონ სკვერ გარდენსა“ და ლენოქ ლუისს შორის გაფორმებულ კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც ძალიან არ მოეწონება ევანდერ ჰოლიფილდს.

ამ პუნქტის მიხედვით, თუკი პირველი შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა, რემატჩის შემთხვევაში ლუისის ჰონორარი ხუთი მილიონი დოლარით უნდა გაზრდილიყო.

ფრეს, ალბათ, ბევრი არავინ ელოდა, მაგრამ დამთვლელ მსაჯთა წყალობით, კონტრაქტის სწორედ ეს პუნქტი ამუშავდა. ასე რომ, რემატჩის შემთხვევაში, ლუისმა 15 მილიონი უნდა მიიღოს. საჰონორარო ფონდი კვლავაც შემოსაზღვრულია 30 მილიონი დოლარით. პირველი ბრძოლისთვის განაწილებული თანხა, ჰოლიფილდისთვის 20 მილიონ დოლარს შეადგენდა, ლუისისთვის — ათს. ახლა კი ყველაზე რთული ის იქნება, რომ ჰოლიფილდი 20 მილიონზე ნაკლებ ჰონორარზე დაიყოლიონ, ანუ ისევე, როგორც ლუისს, მასაც 15 მილიონი გადაუხადონ.

ნიუჯერსულმა საკრივო კანტორამ „მეინ ივენთმა“, რომელიც „პენიქს პრომოუშენთან“ ერთად პატრონობს ლუისს ამერიკაში, თავისი პრესმდივნის პირით განაცხადა, რომ ჰოლიფილდს თანხა უნდა ჩამოეჭრას, რადგან ლუისმა მთელს მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ უძლიერესია.

აქვე, საქმეში ჩაერთო ტელესისტემა „ეიჩბიოუ“, რომელიც საგანგებო ტელერეპორტაჟებს აწყობს ხოლმე დიდი ბრძოლებიდან. ყველაზე მძიმე დღეში სწორედ ეს ტელესისტემაა, იმიტომ, რომ ჰონორარის გადამხდელი სწორედ ის არის. თუკი ჰოლიფილდი ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ ბრძოლის შედეგი სამართლიანია, მაშინ ჰონორარის შემცირებაზე მისი დაყოლიება გაჭირდება.

ამასობაში ლუისის მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა განაცხადა, რომ ამერიკა არაფერში სჭირდება და ბრძოლას ლონდონში გამართავს.

„ასი ათას კაცს დავასწრებ ამ ბრძოლას“ — წაიტრაბახა მელოუნიმ — „უდიდეს სტადიონზე გავმართავ შერკინებას“.

ამერიკელები კი ამბობენ, რომ ლონდონში ჩხუბის გამართვას ერთი დიდი პრობლემა ახლავს თან — შეძლებს კი მელოუნი ფულის მიზიდვას იმ რაოდენობით, რომ სანახაობამ მასშტაბური ხასიათი მიიღოს? მაგალითად, „მედისონ სკვერ გარდენმა“ რვა მილიონი დოლარი გაიღო მსგავსი საქმისთვის და განა გაიღებენ ამის ნახევარს მაინც „უემბლი“ ან „თვიქნემი“?

ამასთან, ეჭვქვეშ დგება დონ კინგის პირველობის საკითხიც. გასული შაბათის ჩხუბში მთავარი ფიგურა სწორედ ის იყო. ახლა კი ლუისი აცხადებს, რომ ინიციატივა „მეინ ივენთმა“ და „პენიქსმა“ უნდა აიღონ ხელში და რემატჩის საქმეთა წარმმართველნიც ისინი უნდა იყვნენ. ძნელი სათქმელია, რას ფიქრობს კინგი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ინიციატივა ახლა ლუისის ხელშია, მას უსამართლოდ დაჩაგრული კაცის შარავანდედი მოსავს და ამით ბევრი რამის მოგება შეუძლია.

ამასობაში, მეხიკო სიტიში პრესკონფერენცია გამართა საბჭოს (ფბკ) პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა. ლუისი ხომ სწორედ საბჭოს ჩემპიონია და სულეიმანმაც დაიცვა თავისი ჩემპიონი. მან ლუისს „უდავო გამარჯვებული და ღირსეული მეფე“ უწოდა. ამასთანავე, სულეიმანმა განაცხადა, რომ ფედერაციამ (იბფ) არაკვალიფიცირებული დამთვლელი მიავლინა მატჩზე.

როგორც ცნობილია, სამმა დაწესებულებამ (რომელთაგან ორის ჩემპიონი ჰოლიფილდია) თითო დამთვლელი მიავლინა შეხვედრაზე. სულეიმანი თავიდანვე შეწინააღმდეგებია ფედერაციის კანდიდატურას — ქალბატონ იუჯინია უილიამსს. სწორედ ამ უილიამსმა დათვალა ჰოლიფილდის სასარგებლოდ 115-113.

„ჩვენ ბელგიელი დამთვლელი შევარჩიეთ“ — თქვა სულეიმანმა — „მაგრამ რახან ჰოლიფილდის მხარე ამერიკელს მიაწვა და მაინც უილიამსი დანიშნა, ავდექით და ბრიტანელი ოკონელი დავნიშნეთ. ის იმდენად პატიოსანი გამოდგა, იმდენი იფიქრა იმაზე, რომ ლუისის სასარგებლოდ დათვლას მიდგომად ჩაუთვლიდნენ, რომ ფრე აღნიშნა. უილიამსმა კი ვიწრო პატრიოტიზმი გამოავლინა. ამერიკელს დაეხმარა. მე მას ბრძოლის მეხუთე რაუნდს შევახსენებ“.

მოკლედ, ხმაური არ წყდება.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



სარბიელის არქივიდან

მსაჯებმა სათვალე გაიკეთონ და ისე დათვალონ — ცხარობს ფრენკ მელოუნი (შუაში)



სარბიელის არქივიდან

დონ კინგი (შუაში) რა ჩიტია, რემატჩის მოწყობა ვინმეს დაანებოს

# ალის წეწავენ

მუჰამედ ალის ყოფილმა მენეჯერმა ჯაბიში ჰერბერტ მუჰამედმა და ალისავე ყოფილი ვექილის ვაჟმა ჯეისონ მარკუს ჰირშფილმა საქმე აღძრეს ლეგენდარული მოკრივის წინააღმდეგ. საჩივრით, ისინი 50 მილიონ დოლარს ითხოვენ.

კონფლიქტის აზრი კი ისაა, რომ ალის განთქმულ „კოლამბია ფიქჩერზისთვის“ მიუყიდია მისი ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღების უფლება, ჯაბირს და ჯეისონს კი სხვა კინოკომპანიასთან, „სონი ფიქჩერზთან“ ჰქონიათ მოლაპარაკება. თანაც, ეს ორი ადამიანი, თურმე ალისთან ერთად ინაწილებს მისი თავგადასავლის გაყიდვის უფლებას.



„ქოლამბიას“ კი უკვე სცენარიც ხელში აქვს და მთავარი როლის შემსრულებელიც უპოვნია — რეპის მოქაქანე ვარსკვლავი უილ სმიტი.

„ეს საჩივარი პირადად მუჰამედისკენაა მიმართული, მათ ჩემი ქმრის გაწეწვა გადაუწყვეტიათ“, — განაცხადა ალის მეუღლე ლონიმ.

მართლაც და, ცოდვა არ არის 57 წლის, პარკინსონით აცახცახებული ჩემპიონი სასამართლოში წანწალისთვის გაიწიროს? მაგრამ ფული, ხომ...

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფიროსმანიდან ფილიპინებზე

გუშინ ბათუმში ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე სპორტსკოლის კოხტა დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა სრულიად საქართველოს ფინალური ტურნირი კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ქვეყნის შვიდი რეგიონისა და დედაქალაქის თხმოცამდე სპორტსმენი ჩამოვიდა. მთავარი კი ის არის, რომ ბათუმის რინგმა ამჯერად ყველა უძლიერესს მოუყარა თავი. პირველობის ორგანიზატორი და დამფინანსებელი, საქართველოს კრივის ფედერაცია გახლავთ, რომელსაც აჭარის ფედერაციაც უდგას მხარში.

ბათუმში დაწყებულ ბატალიები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. საქმე ის არის, რომ აქ გამარჯვებულთაგან უნდა დაკომპლექტდეს ქვეყნის ნაკრები, რომელიც აგვისტოში ფილიპინებზე მსოფლიოს ჩემპიონატში, ხოლო მანამდე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მოუწევს ასპარეზობა.

გუშინ 17 წინასწარი ბრძოლა იყო დაგეგმილი. დიდ მოულოდნელობას ადგილი არ ჰქონია. 57 კგ. წონაში ევროპის თასის პრიზიორმა დავით ხურცილავამ დამაჯერებლად სძლია თბილისელ მიხეილ მელიქიშვილს. დიდი უპირატესობით იმარჯვა გოჩა რუსიამ (60 კგ. სამეგრელო — ზემო სვანეთი) ასევე დედაქალაქელ დავით კურტანიძესთან. ამავე წონაში გიორგი კანდელაკის (ისიც ბათუმში იმყოფება) მოწაფეს ვარიანელ მალხაზ ბერიკაციშვილს მეტოქე არ გამოუცხადდა. იმერელმა დავით ჩხეიძემ (54 კგ.) აჭარელ ავთანდილ ფართენაძეს დააყრევინა ფარ — ხმალი. დაძაბულად წარიმართა ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის რევაზ ბოჭორიშვილისა (თბილისი) და ახალგაზრდათა პირველობის გამარჯვებული ირაკლი გოგოლაძის (იმერეთი) ორთაბრძოლა, რომელშიც ჩვენი სახელოვანი მოკრივის კობა გოგოლაძის ბიძაშვილმა იმარჯვა. დარბაზში შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი მოუთმენლად ელოდა რინგზე სამშობლოში დაბრუნებული პაატა გვასალიას (სამეგრელო — ზემო სვანეთი) გამოჩენას, მაგრამ არც გვასალიას გამოუცხადდა მეტოქე. თუმცა, ყველაფერი წინ არის. ტურნირი ოთხდღიანია. ფინალური ბრძოლები კი შაბათს გაიმართება.

**იუზა ქაციტაძე ბათუმიდან**


მამუკა დარჩია ბათუმიდან

ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიალი



ირაკლი გოგოლაძემ (მარცხნივ) რევაზ ბოჭორიშვილს მოუგო



ჩაო, დებორა!

# კომპანიონი კომპანიას დაემშვიდობა

იტალიელ ჟურნალისტთა და თხილამურობის მოყვარულთა ეჭვები გამართლდა — შაბათს მსოფლიოს თასის უკანასკნელი ეტაპის შემდეგ, დებორა კომპანიონიმ სპორტიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

„ყველაფერი იცვლება, მე ვტოვებ მოთხილამურეთა და შეჯიბრებათა სამყაროს. აქედან მოყოლებული, მოგონებებით ვიცხოვრებ“ — აღნიშნა ქალთა გიგანტური სლალომის მეშვიდე ადგილზე დასრულების შემდეგ დებორამ და ცრემლებად დაიღვარა.

„ეს გადაწყვეტილება უკვე შარშან მივიღე, მაგრამ დამშვიდობება მაინც უსაშველოდ მეძნელებოდა. მსურდა, წარსულის მიღწევები გამემეორებინა, თუმცა ჯანმრთელობა ამის საშუალებას აღარ მაძლევდა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, ხვალ, ზეგ, ხვალ-მეთქი და აჰა, როგორც იქნა, მეყო ძალა, მეღიარებინა“ — დაუმატა იტალიელმა.

1998 წლის ნაგანოს ოლიმპიადის გიგანტურ სლალომში გამარჯვების შემდეგ კომპანიონის პირველი ადგილი ალარსად დაუკავებია, თუმცა მისი სტანდარტების კვალობაზე მოკრძალებული სეზონი არაჩვეულებრივად წარმატებულ კარიერას ვერაფერს დააკლებს: დებორას ანგარიშზე სამ-სამი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონატების ოქრო და მსოფლიოს თასის 16 ეტაპია.

„მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში ვერასოდეს ვიმარჯვებდი, რადგან არატექნიკურ დისციპლინებში ძლიერი არ ვიყავი, მაგრამ არაფერს ვნანობ, შესანიშნავი დრო ვატარე. სპორტმა ბევრი რამ მასწავლა — დისციპლინა, წესებისა და დროის პატივისცემა“ — განაცხადა იტალიელმა.

კომპანიონის, როგორც ამბობენ, რომანი აქვს გაჩაღებული იტალიური ტანსაცმელების კომპანიის მეპატრონე ალესანდრო ბენეტონთან, თუმცა თავად მოთხილამურემ მომავლის გეგმებისა და პირადი ცხოვრების შესახებ საუბარი არ ისურვა: „ოჯახის შექმნას არ ვაპირებ. ვფიქრობ, ზედმეტად დაკავებული ვიქნები იმისთვის, რომ მეუღლე და შვილები მყავდეს“.

დებორამ მთელი კარიერის მანძილზე ურიცხვი ტრავმა გადაიტანა და ქირურგის დანასაც არაერთხელ გაუგო გემო — ოთხი ოპერაცია მუხლზე, მხრის, ზურგის, თირკმლის ტკივილები, თუმცა მორიგი უიღბლობის შემდეგ საყვარელ და სახიფათო თოვლიან ტრასებს ისევ უშიშრად უბრუნდებოდა.

„ეს ძალიან საწყენი და დიდი დანაკლისია ქალთა თხილამურობისთვის. მე მას დიდი ხანია, ვიცნობ და წლების განმავლობაში შესანიშნავი ურთიერთობაც გვაკავშირებდა, ყველას ძალიან მოგვენატრება“ — ამ სიტყვებით გააცილა მეგობარი და მეტოქე თავადაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა შვედმა პერნილა ვიბერგმა.

# ტელევიზია გაიბუტა

სამთო თხილამურობის მოყვარულები იქნებ სულაც არ უჩივიან „ევროსპორტის“ მიერ მოწყობილ რეპორტაჟებს, მაგრამ თავად სატელევიზიო კომპანიები თურმე ფრიად აღშფოთებული ყოფილან მსოფლიოს თასის ეტაპების ორგანიზაციით.

როგორც აღმოჩნდა, 9 მსხვილი სატელევიზიო არხის წარმომადგენლები გასული კვირის ბოლოს თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის (FIS) თავკაცებს შეხვდნენ და მომავალი სეზონისთვის გარკვეული ცვლილებების განხორციელება მოსთხოვეს.

კომპანიები ძალიან შეუწუხებია იმას, რომ ფედერაცია სულაც არ დაგიდევს მათ და ტელემაყურებელთა ინტერესებს და ხშირად შეუსაბამო გადაწყვეტილებებსაც იღებს. როგორც, მაგალითად, სიერა ნევადაში გასულ კვირაში, როდესაც მოსალოდნელი ცუდი ამინდის გამო რბოლების ერთი დღით ადრე გამართვა მოინდომეს.

ბედის ირონიით, ძლიერი ქარის გამო სამშაბათის ნაცვლად ეტაპი წინასწარ დაგეგმილ ოთხშაბათს შედგა, თუმცა სხვადასხვა არხების მფლობელთა მოთმინების ფიალა კი მაინც აავსო: „ეს მცდელობა აბსოლუტურად მიუღებელი იყო. ჩვენ არ შეგვიძლია შევეგუოთ იმას, რომ ფედერაცია და საორგანიზაციო კომიტეტები ჩვენი ინტერესების გაუთვალისწინებლად მოქმედებენ, რითაც დიდ ზეგავლენას ახდენენ გადაცემათა პროგრამაზე.

მთლიანობაში სასწრაფოდ შექმნილმა ალიანსმა შვიდი მოთხოვნა წაუყენა ფედერაციას, რომელთა მიხედვითაც არ შეიძლება რბოლის დაგეგმილზე ადრე დაწყება, საჭიროა მოთხილამურეების სტარტებს შორის დროის გაზრდა გადაცემის უკეთესი ხარისხისთვის, ღამეული ეტაპების რაოდენობის შემცირება.

„FIS-მა უნდა აირჩიოს საუკეთესო ტრასები და უკუაგდოს ისეთები, სადაც მეტად ჭირვეული ამინდია“ — ნათქვამია განცხადებაში და შეუძლებელია, ტელევიზიელებს აქაც არ უთანაგრძნო: ზედმეტი თოვლისა თუ მისი ნაკლებობის, ქარის, ნისლის და ათასი სხვა უბედურების მიზეზით მსოფლიოს თასის ეტაპების ნახევარი დაგვიანებით ან სულაც არ ტარდება.

შემდეგი ნაბიჯი ფედერაციაზეა.

**ბაჩა არჯევანიძე**



# ტრაგიკომედია სენტ ლუისში

16 მარტი

**ნეშვილი — კალგარი 2:4**

**0:0 1:2 1:2**

**0:1 დომენიჩელი 24'31 (3); 0:2 სტილმანი 36'06 (23); 1:2 ბორდელო 36'30 (15); 1:3 ბურე 44'40 (19); 2:3 რონინგი 52'59 (19); 2:4 კორბე 59'30 (12)**

28 თებერვალს, ტეო ფლერის კოლორადოში გადასვლის დღეს, კალგარის ქომაგებს ეგონათ, რომ „ალების“ მზე საბოლოოდ ჩაესვენა, ისინი უიმედოდ ჩაქრებოდნენ. მაშინ კონფერენციაში მეცხრე ადგილზე მყოფ გუნდს სტუმრად შვიდმატჩიანი სერია ელოდა, თანაც უაღრესად დაძაბულ რიტმში, სულ რაღაც 13 დღის განმავლობაში. მაგრამ მოხდა სრულიად საპირისპირო. „გუნდის ლიდერის წასვლის შემდეგ ჩვენ შევიგნეთ, რომ ამჟამად ყველას გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება. ჩვენისთანა ახალგაზრდა გუნდმა უნდა დაამტკიცოს, რომ ფლერის გარეშეც შევეფერებით ნჰლ-ის დონეს“ — თქვა ფორვარდმა კორი სტილმანმა და ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები რომ არ არის, მან საქმითაც დაამტკიცა, კრიტიკულ მომენტში თავად წარუძღვა თანაგუნდელებს. ამჯერადაც, ლიგის დებიუტანტთან პაექრობაში, გადამწყვეტი გოლი სწორედ ამ 25 წლის ფორვარდმა გაიტანა და თან მაშინ, როცა ანგარიში ჯერ 0:1 იყო და კალგარელები უმცირესობაში იყვნენ. მერე მათ უპირატესობა აღარ გაუშვეს ხელიდან და სერიის ბოლო თამაშს ჩინებული შედეგით (+5=0-1) შეხვდნენ.

„ფლერის ტახტი არ დაობლებულა. სტილმანის, ვალერი ბურესა და ჯერომ იგინლას დაწინაურებამ ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა. მათ ჩემი ნდობა გაამართლეს“ — თქვა კლუბის თავკაცმა ბრაიან სატერმა.

**სენტ ლუისი — ფილადელფია 5:2**

**0:0 1:1 4:1**

**1:0 იანგი 26'10 (16); 1:1 რეკი 38'59 (14); 2:1 იეიკი 41'27 (8); 3:1 დემიტრა 46'47 (31); 4:1 ტარჯონი 49'11 (25); 4:2 ზელეპუკინი 49'35 (14); 5:2 პელერინი 59'57 (16)**

ფილადელფიელთა თავკაცი ასეთი გაცხარებული არავის უნახავს. ხუჭუჭა და მუდამ მომღიმარ როჯერ ნეილსონს, რომელიც უფრო კომიკოს მსახიობს მოგვაგონებს, ახლა ვერ იცნობდით.

თავისი გუნდის ხანგრძლივი უხეირობით („მფრინავებს“ ხომ 12 თამაშია, ვერ მოუგიათ, რაც საკლუბო რეკორდი გახლავთ) დაბოღმილმა მწვრთნელმა სენტ ლუისში თავი ვეღარ შეიკავა. მან ჩათვალა, რომ მატჩის 47-ე წუთზე მთავარმა მსაჯმა ბილ მაკრირიმ მასპინძელთა აშკარა უხეშობა ვერ შეამჩნია. ნეილსონმა ჯერ გვარიანად გამოლანძღა არბიტრი, მერე ერთ-ერთ მოთამაშეს ხელიდან ყვანჯი გამოგლიჯა, შუაზე გადატეხა და ყინულზე მოისროლა. ამით კიდევ უფრო დააბნია შეგირდები და მისი გამოხდომის გამო უმცირესობაში დარჩენილმა „მფრინავებმა“ სენტლუისელთა მეოთხე შაიბის შემდეგ ფარ-ხმალი დაყარეს.

**პიტსბურგი — დალასი 2:2**

**2:0 0:1 0:1 0:0**

**1:0 იაგრი 2'52 (33); 2:0 სტრაკა 8'48 (35); 2:1 ზუბოვი 24'11 (9); 2:2 ჰრკაჩი 50'59 (10)**

იარომირ იაგრის (1+1) გუნდმა ძლივს მიატანა მატჩის ბოლომდე. პიტსბურგელებმა უკვე შეხვედრამდე ჩამოყარეს ყურები, როდესაც თავიანთი წამყვანი მცველის, დარიუს კასპარაიტისის ამბავი შეიტყვეს — მას ტრავმა გართულებია, ოპერაცია ესაჭიროება და ჩემპიონატის ბოლომდე ვერ ითამაშებს. მეორე პერიოდის მიწურულს მასპინძლებს მეკარე პეტერ სკუდრაც გამოაკლდათ და კიდევ კარგი, რომ დებიუტანტი ჟან-სებასტიან ობენი დარჩენილ დროში გაუმკლავდა სტუმართა შეტევებს.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS

პიტსბურგში ახლახან გადასულმა ცნობილმა შფოთისთავმა მეტიუ ბარნაბიმ არც ახალ გუნდში დააგდო ძველი ხელობა, მაგრამ დალასელ აარონ გეივისგან (23) გვარიანად მოხვდა

## სატურნირო ვითარება

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 66 | 38 | 2 | 0 | 196:141 | 84 |
| ნიუ ჯერსი | 66 | 37 | 8 | 21 | 196:165 | 82 |
| კაროლინა | 68 | 30 | 14 | 24 | 177:167 | 74 |
| ტორონტო | 67 | 37 | 5 | 25 | 212:191 | 79 |
| პიტსბურგი | 66 | 34 | 10 | 22 | 205:179 | 78 |
| ფილადელფია | 69 | 30 | 17 | 22 | 200:167 | 77 |
| ბუფალო | 67 | 31 | 13 | 23 | 177:150 | 75 |
| ბოსტონი | 66 | 29 | 10 | 27 | 171:155 | 68 |
| რეინჯერსი | 68 | 29 | 9 | 1 | 89:188 | 67 |
| ფლორიდა | 66 | 25 | 17 | 24 | 168:173 | 67 |
| მონრეალი | 67 | 27 | 9 | 31 | 160:175 | 63 |
| ვაშინგტონი | 67 | 27 | 6 | 34 | 175:179 | 60 |
| აილენდერსი | 69 | 19 | 9 | 41 | 158:206 | 47 |
| ტამპა | 66 | 16 | 5 | 45 | 142:239 | 37 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი * | 66 | 42 | 12 | 12 | 195:132 | 96 |
| კოლორადო | 67 | 34 | 8 | 25 | 186:167 | 76 |
| დეტროიტი | 67 | 33 | 6 | 28 | 196:170 | 72 |
| ფინიქსი | 67 | 32 | 11 | 24 | 165:161 | 75 |
| ანაჰაიმი | 67 | 30 | 10 | 27 | 176:163 | 70 |
| სენტ ლუისი | 67 | 29 | 10 | 28 | 193:178 | 68 |
| სან ხოსე | 67 | 25 | 14 | 28 | 151:156 | 64 |
| კალგარი | 67 | 26 | 10 | 31 | 182:190 | 62 |
| ედმონტონი | 67 | 25 | 10 | 32 | 187:184 | 60 |
| ლოს ანჯელესი | 67 | 26 | 5 | 36 | 156:175 | 57 |
| ნეშვილი | 68 | 24 | 6 | 38 | 163:209 | 51 |
| ვანკუვერი | 68 | 20 | 11 | 37 | 163:208 | 51 |
| ჩიკაგო | 67 | 19 | 9 | 39 | 152:210 | 47 |

*ბომბარდირები:* იაგრი (პიტსბურგი) 104 (33+71); ლინდროსი (ფილადელფია) 89 (38+51); სელიანე (ანაჰაიმი) 83 (37+46); ლეკლერი (ფილადელფია) 81 (38+43); კარია (ანაჰაიმი) 81 (29+52); ფორსბერგი (კოლორადო) 80 (22+58); იაშინი (ოტავა) 78 (38+40); მოდანო (დალასი) 73 (30+43); სტრაკა (პიტსბურგი) 72 (35+37); საკიკი 71 (32+39); ფლერი (ორივე — კოლორადო) 70 (31+39); სუნდინი (ტორონტო) 68 (24+44)

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. ვარსკვლავით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი.



## კვირის მოთამაშე

### სტივ შილდსი (სან ხოსე)

სტუდენტობისას, როცა მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა, სტივ შილდსს ერთი ოცნება ჰქონდა — ოდესმე სახელოვანი დეტროიტის წევრი გამხდარიყო. გავიდა წლები. ბიჭუნას ოცნება არ აუხდა (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით), მაგრამ ბუფალოდან სან ხოსეში გადასული მეკარისთვის თასის მფლობელთან ყოველი შეხვედრა მაინც განსაკუთრებული, დაუვიწყარი მოვლენაა. 13 მარტს კი შილდსმა თავისი ოცნების გუნდს შავი დღე აყარა — 26-ჯერ დამრტყმელი ერთხელაც არ ახეირა. დეტროიტთან შეხვედრის შემდეგ შილდსს ისეთი აღმაფრენა დაეუფლა, რომ მთელი გასული კვირა ერთობ ეფექტურად ჩაატარა და ჩემპიონის გარდა კიდევ ორი ლიდერი — ფინიქსი და ოტავა იმსხვერპლა. ლიგამაც სათანადო პატივი მიაგო, რაც ახალგაზრდა მეკარის კარიერაში პირველი აღიარებაა.

**საუკეთესო ექვსეული**

*სტივ შილდსი* (სან ხოსე); *ფილ ჰაუსლი* (კალგარი, 2) — *რობ ბლეიკი* (ლოს ანჯელესი, 2); *სებასტიან ბორდელო* (ნეშვილი, 1) — *ალექსეი იაშინი* (ოტავა, 4) — *იარომირ იაგრი* (პიტსბურგი,6)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები. 17 მარტი

CHAMPIONS LEAGUE

### კაიზერსლაუტერნი — *ბაიერნი* 0:4 (0:2)

0:1 ეფენბერგი (93), 0:2, 0:3 იანკერი (22, 39), 0:4 ბასლერი (56)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, ჰრუტკა, კოხი, რატინიო (როოსი 46), რიდლი (ჟუნიორი 60), ბალაკი, ვაგნერი, რაიხი, რიშე, სფორცა, როსლერი (ოჯიგვე 76)
ბაიერნი: კანი, ლიზარაზუ, მათეუსი, ბაბელი, ლინკე, კუფური, იერემისი (ფინკი 46), ეფენბერგი (შოლი 46), ბასლერი (სალიჰამიჯიჩი 73), იანკერი, ციკლერი
გაძევება: ჰრუტკა (8)

### ოლიმპიაკოსი — *იუვენტუსი* 1:1 (1:2)

1:0 გოგიჩი (12), 1:1 კონტე (85)
ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი, ანატოლაკისი, გეორგატოსი, მავროგენიდისი, კარაპიალისი (ამპონსა 78), პურსანიდისი, ჯორჯევიჩი, იანაკოპულოსი, გოგიჩი
იუვენტუსი: რამპულა, მირკოვიჩი, იულიანი, მონტერო, დი ლივიო, კონტე, დეშამპი, დავიდსი, ზიდანი, ინძაგი, ესნაიდერი (ამორუზო 69)

### ინტერი — *მანჩესტერი* 1:1 (0:2)

1:0 ვენტოლა (63), 1:1 სქოულზი (88)
ინტერი: პალიუკა, ბერგომი (მორიერო 69), კოლონეზე, ვესტი, ძანეტი, სილვესტრი, სიმეონე (ზე ელიასი 32), კოე, ბაჯო, სამორანო, რონალდო (ვენტოლა 60)
მანჩესტერი: შმაიხელი, ბერგი, სტამი, გ. ნევილი, ირვინი, კინი, იონსენი (სქოულზი 76), ბექემი, გიგზი (ფ. ნევილი 81), კოული, იორკი

### *დინამო* — რეალი 2:0 (1:1)

1:0, 2:0 შევჩენკო (62პ, 79)
დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, კალაძე, ხაცკევიჩი (ბელკევიჩი 46), გუსინი, კარდაში, კოსოვსკი (იაშკინი 85), შევჩენკო, რებროვი
რეალი: ილგნერი, პანუჩი, კამპო, იერო, რობერტო კარლოსი, რედონდო, სანჩისი (გუტი 71), ზეედორფი (შუკერი 67), რაული, იარნი (კარემბუ 82), მორიენტესი



ინტერო — მანჩესტერი 1:1. მანჩესტერელი ენდი კოული ბენუა კოეს და ფრანჩესკო კოლონეზეს ალყაში

REUTERS მილანიდან

## ჰოლანდია

### სიტარდი 3:2 უტრეხტი

1:0 კოლი (7), 2:0 ჯეფრი (8), 2:1 რობემონდი (16პ), 3:1 ჰამინგი (25), 3:2 მოლსი (50)

### კამბური 1:5 ფეიენოორდი

1:0 ვან უტრეხტი (11), 1:1 კალუ (18), 1:2 ტომასონი (30), 1:3 კრუზი (32), 1:4 ვან გობელი (35), 1:5 კრუზი (45)

### ბრედა 0:2 ვალვაიკი

0:1 ჰუგენდორპი (23), 0:2 ეჩტენდი (66)

## ლასე ლოსია?

*ნორვეგიელი სამთომოთხილამურე ლასე კიუსი ამ სეზონში შეუდარებლად სრიალებდა. მსოფლიო თასის უკანასკნელ, სიერანევადურ (ესპანეთი) ეტაპზე მან, მართალია, მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა, მაგრამ საერთო ჩათვლაში მეტოქეების და მათ შორის და უახლოესი მდევრის ჰერმან მაიერის დასაძლევად ესეც საკმარისი გამოდგა, „ჰერმინატორმა“ კიუსს ტრასაზე რომ ვერაფერი დააკლო, ზურგსუკანღა ექილიკება და თავის ჭკუაში რქებს ადგამს დიად მოსრიალეებს კი გვერდს ქალთა სლალომში ნამსოფლიოთასევი, ავსტრიელი საბინე ეგერი უმშვენებს.*




REUTERS სიერა ნევადიდან

## ნუ დაცხრები, ედი!

ავსტრალიაში ნახეირები ედი ირვინი თავის „ფერარის“ კვლავაც სხვებზე სწრაფად დააგელვებს. ფორმულა 1-ის საძმოშ ამ დღეებში ბარსელონის „კატალუნიაზე“ ივარჯიშა და ბრიტანელმა აქაც ყველას გადაუქროლა — მის 1 წუთსა და 23,967 წამს ვერავინ შესწვდა. მეორე შედეგი ზაუბერელმა ჟან ალეზიმ აჩვენა 1.24,053; მესამე კი ჯორდანელმა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა — 1.24,103.

ამასობაში ინგლისში „სილვერსტოუნზე“ მოჯომარდე მაკლარენელები ერთმანეთს გაეპაექრნენ. დევიდ კულჰარდმა (1.25,934) თავის ჩემპიონ კოლეგას, ფინელ მიკა ჰაკინენს (1.26,164) აჯობა.

რაც შეეხება ფოტოზე ასახულ სცენას, მისი შინაარსი უალრესად მარტივია: ირვინს მავანი კეთილი მეგობარი დედალი ნიანგის ღვიძლისგან დამზადებულ მალამოს აწვდის — რათა ედი რბოლის მერეც ისეთივე ფიცხი და დაუცხრომელი იყოს, როგორც რბოლისას.

## მისი გადამდგარი ბრწყინვალება



*კალათბურთის გადამდგარი ფელდმარშალი მაიკლ ჯორდანი ახლა ორლანდოშია და თავის კეთილ მეგობრებთან, მომღერალ ემი გრანტსა და ვინმე ერნოლდ პალმერთან ერთად გოლფის თამაშით ერთობა... მოსეირეთა თქმით, ყვანჯის ქნევა დიად მაიკლს ისევე დიდებულად გამოსდის, როგორც ბურთთან ალერსი და ადამიანებთან ურთიერთობა...*



REUTERS ორლანდოდან



REUTERS ბარსელონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29